

# სახელმძღვანელო

მიღებულ დებულებებზე ანგარიშების  
მომზადების შესახებ  
ევროპის სოციალური ქარტიის  
ანგარიშების პროცედურის  
ფარგლებში





# სახელმძღვანელო

მიღებულ დებულებებზე ანგარიშების  
მომზადების შესახებ  
ევროპის სოციალური ქართის  
ანგარიშების პროცედურის  
ფარგლებში

საქართველოს მაგალითი

**მოამზადა მონიკა სუბ-კულუზაძე,**  
მეცნიერებათა დოქტორი<sup>1</sup>

<sup>1</sup> ევროპის საბჭოს საერთაშორისო ექსპერტი, პოლონეთის ლოდის უნივერსიტეტის ლექტორი, სამართლის მეცნიერებათა დოქტორი, ლოდის საოლქო სასამართლოს მოსამართლე, პოლონეთის მართლმსაჯულებისა და პროკურატურის ეროვნული სკოლის ლექტორი.

ინგლისურენოვანი გამოცემა:  
MANUAL ON PREPARATION OF NATIONAL REPORTS  
ON ACCEPTED PROVISIONS UNDER THE REPORTING  
PROCEDURE OF THE EUROPEAN SOCIAL CHARTER

ამ ნაშრომში მოსაზრებები გამოთქმულია ავტორ(ებ)ის პასუხისმგებლობით და აუცილებელი არ არის, ასახავდეს ევროპის საბჭოს ოფიციალურ პოლიტიკას. ყველა შეცდომა ავტორ(ებ)ის პასუხისმგებლობაა.

პუბლიკაცია შემუშავებულია ევროპის საბჭოს პროექტის ფარგლებში: „სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვის გაძლიერება საქართველოში“.

პირველი ორი თავი გადმოტანილია დანუტა ვიშნიევსკა-გაზალის მიერ მომზადებული პუბლიკაციიდან, რომელიც შემუშავდა ევროპის საბჭოს პროექტის ფარგლებში: „ადამიანის სოციალური უფლებების ხელშეწყობა, როგორც უკრაინაში მდგრადი დემოკრატიის ძირითადი ფაქტორი.“

დოკუმენტიდან ამონარიდების (500 სიტყვამდე) ხელახლა გამოყენება ნებადართულია მხოლოდ არაკომერციული მიზნებით, თუ დაცულია ტექსტის მთლიანობა, ამონარიდი არ გამოიყენება კონტექსტიდან ამოღებულად, არ წარმოგვიდგენს არასრულ ინფორმაციას, ან სხვაგვარად არ შეჰყავს შეცდომაში მკითხველი ტექსტის ბუნებასთან, გამოყენების სფეროსა ან შინაარსთან მიმართებით. წყარო ტექსტი ყოველთვის აღიარებული უნდა იყოს შემდეგნაირად: „@ევროპის საბჭო, გამოცემის წელი“.

ყველა თხოვნა დოკუმენტის მთლიან ან ნაწილობრივ რეპროდუქციაზე/თარგმნაზე უნდა წარედგინოს კომუნიკაციის დირექტორატს, ევროპის საბჭოს (F-67075 სტრასბურგი Cedex ან [publishing@coe.int](mailto:publishing@coe.int)).

ყველა სხვა თხოვნა ამ დოკუმენტთან დაკავშირებით უნდა წარედგინოს სოციალური უფლებათა დეპარტამენტს, DGI, ევროპის საბჭო, F-67075 სტრასბურგი Cedex ან [social.charter@coe.int](mailto:social.charter@coe.int).

ყდა და დიზაინი: დოკუმენტების წარმოებისა და პუბლიკაციების დეპარტამენტი (SPDP), ევროპის საბჭო

ფოტო: Shutterstock.

წინამდებარე პუბლიკაციას არ გაუვლია რედაქტირება SPDP-ის სარედაქციო განყოფილებაში, ტიპოგრაფიული ან გრაფიკული შეცდომების გასასწორებლად.

© ევროპის საბჭო, აპრილი 2024

## Contents

შესავალი	5
თავი I. ევროპის სოციალურ ქარტიასთან დაკავშირებულ მოსაზრებათა მოკლე შეჯამება	6
ანგარიშგების პროცედურა და მისი გამართივა – მიმოხილვა	7
ეროვნული ანგარიშების შედგენა	11
თავი II. პრაქტიკული ინფორმაცია	15
არაოფიციალური (ალტერნატიული) ანგარიშები	17
თავი III. საქართველო და ევროპის სოციალური ქარტია	19
ეროვნული ანგარიშების მომზადება – პრაქტიკული მითითებები და ინფორმაცია საქართველოსთვის	22
ეროვნული ანგარიშის პროექტის შედგენა – პრაქტიკული მითითებები მე-2 მუხლის გაგალითებაზე (მიზნობრივი კითხვები – დასკვნები 2022)	27
ინფორმაციის წყაროები	40
ანგარიშის მომზადებაში ჩართული სხვადასხვა უწყების კონტაქტები და მოტივაცია	41
წარმოდგენილი მასალების კოორდინაცია და სინთეზი	43
პრაქტიკული სირთულეები (საბოლოო ვადების დაცვა, ენობრივი პრობლემები და ა.შ.)	47
ანგარიშგება პირველი ჯგუფის მიხედვით	49
ანგარიშგება მეორე ჯგუფის მიხედვით	50
ანგარიშგების გამომდინარეობა 2023 წლამდე არსებული პროცედურის მიხედვით - ბოლო ანგარიში მე-3 თემატურ ჯგუფზე „შრომითი უფლებები“ (ეროვნული ანგარიში 2021 – დასკვნები 2022)	51
ანგარიშგების გამომდინარეობა 2023 წლამდე არსებული პროცედურის მიხედვით - ბოლო ანგარიში მე-4 თემატურ ჯგუფზე „ბავშვები, ოჯახები და მიგრანტები“ (ეროვნული ანგარიში 2022 – ბოლოს გამოქვეყნებული დასკვნები 2019)	55
ანგარიშგების გამომდინარეობა 2023 წლამდე არსებული პროცედურის მიხედვით - ბოლო ანგარიში 1-ელ თემატურ ჯგუფზე „დასაქმება, მომზადება და თანაბარი შესაძლებლობები“	61
ანგარიშგების გამომდინარეობა 2023 წლამდე არსებული პროცედურის მიხედვით - ბოლო ანგარიში მე-2 თემატური ჯგუფზე „ჯანმრთელობა, სოციალური უზრუნველყოფა და სოციალური დაცვა“	66



## შესავალი

---

სახელმწიფოები სულ უფრო მზარდი მოთხოვნების წინაშე დგანან, როცა საკითხი ეხება მრავალი სახელმწიფოებო ვალდებულების შესრულებას, ანგარიშების წარდგენას ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და რეგიონული სისტემების ფარგლებში და მათ საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციებისა თუ გადაწყვეტილებების გათვალისწინებას.

წინამდებარე სახელმძღვანელო, რომელიც შეეხება ევროპის სოციალური ქარტიის ანგარიშების პროცედურის ფარგლებში სახელმწიფოთა მიერ ანგარიშების წარდგენას სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტისთვის, მიზნად ისახავს ეფექტიანი და ქმედითი ეროვნული ანგარიშების ძირითად ელემენტთა გაერთიანებას, რომელიმე ერთი ფორმატის შეთავაზების გარეშე.

ეროვნულ ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტესა და გამჭვირვალობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის მიერ სახელმწიფოში არსებული ვითარების სამართლიანად შეფასებისთვის; ასევე, შესაბამისი დასკვნების შესამუშავებლად, რომელთა მიზანია, ხელი შეუწყოს სახელმწიფოებს იმ პირთა სოციალური უფლებების დაცვაში, რომლებსაც შეუძლიათ აღნიშნული უფლებებით სარგებლობა.

ევროპის სოციალური ქარტიის შესრულებაზე მონიტორინგის პროცედურაში ჩართვა და მასზე ანგარიშგება წევრ სახელმწიფოებს უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს, რომ ადგილზე შეაფასონ სიტუაცია (მათ შორის, მონაცემთა შეგროვებითა და გაანალიზებით) და განიხილონ არსებული კანონმდებლობა და პოლიტიკა.

სახელმძღვანელო ეძღვნება ევროპის სოციალური ქარტიის მიღებულ დებულებებზე ანგარიშგების პროცედურას. მისი მთავარი მიზანია, გაუმჯობესდეს სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტისთვის წარდგენილი ეროვნული ანგარიშების ხარისხი და შემცირდეს შესაბამისი დასკვნები, ან დასკვნები შეფასების გადავადების შესახებ, რომლებიც მიიღება კომიტეტის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის ნაკლებობის გამო.

## თავი I.

# ევროპის სოციალურ ქარტიასთან დაკავშირებულ მოსაზრებათა მოკლე შეჯამება

ევროპის სოციალური ქარტია არის ევროპის საბჭოს ხელშეკრულება, რომლითაც გარანტირებულია ძირითადი სოციალური და ეკონომიკური უფლებები. იგი მოიაზრება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შემავსებელ ინსტრუმენტად, რომელიც, ძირითადად, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს ეხება. ორივე დოკუმენტი სათავეს იდებს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციიდან, რომელიც 1948 წელს მიიღო გაერომ და მათი გამოყენება უშუალოდ შეუძლიათ ეროვნულ სასამართლოებს.

ქარტიის გამოყენების სფერო ფართოა: ის შეიცავს 31 მუხლს ან 98 დანომრილ პუნქტს, რომლებიც მოიცავს საყოველთაოდ აღიარებულ სოციალურ უფლებებს, როგორცაა: უფლება საცხოვრებელზე, ჯანმრთელობის დაცვის უფლება, დასაქმების უფლება, განათლების უფლება, სოციალური უზრუნველყოფისა და კეთილდღეობის უფლება. თითოეულ ამ სფეროში არსებობს დებულებები, რომლებიც იცავს კონკრეტულ სამიზნე ჯგუფებს (ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ხანდაზმულები და მიგრანტები). დაცული უფლებებით სარგებლობა გარანტირებული უნდა იყოს დისკრიმინაციის გარეშე.

საერთოევროპულ დონეზე არცერთი სხვა სამართლებრივი ინსტრუმენტი არ იცავს ფუნდამენტურ სოციალურ უფლებებს ისეთ ფართოდ და ყოვლისმომცველად, როგორც ევროპის სოციალური ქარტია, რომელიც, ამასთანავე, სარეფერენციო დოკუმენტია ევროკავშირის კანონმდებლობასთან მიმართებით ამ სფეროში. შესაბამისად, ქარტია მოიაზრება, როგორც ევროპის სოციალური კონსტიტუცია და ადამიანის უფლებათა სისტემის არსებითი ელემენტი კონტინენტზე.

1961 წელს მიღებული და 1996 წელს შესწორებული ქარტია რატიფიცირებული აქვს ევროპის საბჭოს 47 წევრი სახელმწიფოდან 43-ს. აქედან 34-მა იკისრა შესწორებული ქარტიით გათვალისწინებული დებულებების შესრულება, ხოლო 9 ქვეყანა ჯერ კიდევ პასუხისმგებელია 1961 წლის ქარტიით გათვალისწინებულ დებულებათა შესრულებაზე.

ქარტია აღგენს ზედამხედველობის მექანიზმებს წევრ სახელმწიფოთა მიერ ქარტიით დადგენილი უფლებების პატივსაცემად. კერძოდ, ესენია: ანგარიშგების სისტემა და კოლექტიური საჩივრების პროცედურა. ეს უკანასკნელი ძალაში შევიდა 1998 წელს და, ჯერჯერობით, რატიფიცირებულია 15 ქვეყანაში (ბელგია, ბულგარეთი, ხორვატია, კვიპროსი, ჩეხეთი, ფინეთი, საფრანგეთი, საბერძნეთი, ირლანდია, იტალია, ნიდერლანდები, ნორვეგია, პორტუგალია, სლოვენია და შვედეთი).



# ანგარიშგების პროცედურა და მისი გამარტივება – მიმოხილვა

## სამართლებრივი ჩარჩო

ანგარიშგების სისტემა მოცემულია 1961 წლის ქარტიის IV ნაწილში (მუხლები 21-29). ამ დებულებებში ცვლილებები შევიდა 1991 წლის ტურინის ოქმით (ETS No.142), რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ქარტიის მონიტორინგის მექანიზმი.

აღნიშნული ოქმი ადასტურებს მინისტრთა კომიტეტისა და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პოლიტიკურ როლს ევროპის სოციალური ქარტიის განხორციელებაზე მონიტორინგის პროცედურაში. იგი განმარტავს ორი ძირითადი საზედამხებლო ორგანოს ფუნქციებს, ესენია: სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი (შეზღუდული ტიპის ორგანიზაცია; შედგება დამოუკიდებელი პირებისგან და აკონტროლებს ქვეყნების შესაბამისობას ქარტიის მოთხოვნებთან, როგორც საკანონმდებლო, ისე პრაქტიკულ დონეზე) და ევროპის სოციალური ქარტიისა და სოციალური უზრუნველყოფის კოდექსის სამთავრობო კომიტეტი (ორგანო, რომელიც შედგება თითოეული მხარის წარმომადგენლისგან და ამზადებს მინისტრთა კომიტეტის სამუშაოს). ოქმი ხელს უწყობს სოციალური პარტნიორობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობასაც.

2006 წლის 3 მაისს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა შეასწორა 1961 წლის ქარტიის 21-ე მუხლი (რომელიც შეეხება მიღებულ დებულებებზე ანგარიშებს) და მიიღო ევროპის სოციალური ქარტიის ფარგლებში ანგარიშების წარდგენის ახალი სისტემა (იხ. CM(2006)53):

1. სახელმწიფოები ყოველწლიურად წარადგენენ ანგარიშს ქარტიის დებულებათა ნაწილზე (იქნება ეს 1961 წლის ქარტია, თუ 1996 წლის შესწორებული ქარტია). თავად დებულებები 2023 წლამდე იყოფოდა ოთხ თემატურ ჯგუფად:

ჯგუფი 1 დასაქმება, მომზადება და თანაბარი შესაძლებლობები	ჯგუფი 2 ჯანდაცვა, სოციალური უზრუნველყოფა და სოციალური დაცვა	ჯგუფი 3 შრომითი უფლებები	ჯგუფი 4 ბავშვები, ოჯახები, მიგრანტები
<ul style="list-style-type: none"> <li>▶ მუხლი 1</li> <li>▶ მუხლი 9</li> <li>▶ მუხლი 10</li> <li>▶ მუხლი 15</li> <li>▶ მუხლი 18</li> <li>▶ მუხლი 20</li> <li>▶ მუხლი 24</li> <li>▶ მუხლი 25</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>▶ მუხლი 3</li> <li>▶ მუხლი 11</li> <li>▶ მუხლი 12</li> <li>▶ მუხლი 13</li> <li>▶ მუხლი 14</li> <li>▶ მუხლი 23</li> <li>▶ მუხლი 30</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>▶ მუხლი 2</li> <li>▶ მუხლი 4</li> <li>▶ მუხლი 5</li> <li>▶ მუხლი 6</li> <li>▶ მუხლი 21</li> <li>▶ მუხლი 22</li> <li>▶ მუხლი 26</li> <li>▶ მუხლი 28</li> <li>▶ მუხლი 29</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>▶ მუხლი 7</li> <li>▶ მუხლი 8</li> <li>▶ მუხლი 16</li> <li>▶ მუხლი 17</li> <li>▶ მუხლი 19</li> <li>▶ მუხლი 27</li> <li>▶ მუხლი 31</li> </ul>

შესაბამისად, ქარტიის თითოეულ დებულებაზე ანგარიშგება ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ხორციელდება.

2. ანგარიშები უნდა წარედგინოს ყოველი წლის 31 ოქტომბერს. სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი დასკვნებს ამზადებს მომდევნო წლის დასრულებამდე.

სისტემა ძალაში შევიდა 2007 წლიდან.

## განხორციელება

ანგარიშგების პროცედურა შედგება სამი ეტაპისგან.

**პირველ ეტაპზე** სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი განიხილავს წევრ სახელმწიფოთა მიერ წარდგენილ წინა წლის ანგარიშებს, რის შემდეგაც ასკვნის, შეესაბამება თუ არა ქვეყანაში არსებული ვითარება ქარტიის მოთხოვნებს.

კომიტეტის დასკვნები, რომლებიც მომზადებულია სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით (შესაბამისი მუხლების ან პუნქტების მიხედვით), მიუთითებს, რომ:

- ▶ ვითარება შესაბამება ქარტიის მოთხოვნებს;
- ▶ ვითარება არ შეესაბამება ქარტიას, ვინაიდან... (მოჰყვება მიზეზების დასახელება). მდგომარეობა ქარტიის შეუსაბამოდ მიიჩნევა, თუ კანონმდებლობა შეუთავსებელია ქარტიის მოთხოვნებთან, ან თავსებადი კანონმდებლობა არასწორად/არასრულად გამოიყენება;
- ▶ დასკვნა გადაავადა იმის გამო, რომ მიწოდებული ინფორმაცია არ არის რელევანტური, საკმარისად მკაფიო და/ან ამომწურავი, ან საერთოდ არ არსებობს. კომიტეტი დასკვნის მიღებას გადადებს მანამდე, სანამ არ განიხილავს მომდევნო ანგარიშს მოცემული დებულების შესახებ. მას დასკვნის გადავადება შეუძლია მხოლოდ ერთხელ;
- ▶ ვითარება არ შეესაბამება ქარტიას იმ საფუძვლით, რომ არ დადგენილა შესაბამისობა წევრი სახელმწიფოსთვის წინა ციკლში დასმული კითხვების უპასუხოდ დატოვების გამო (დასკვნები შეიძლება გადაიდოს 8 ან, თუნდაც, 12 წლით, რაც ამკარად ზედმეტად გრძელი პერიოდია სისტემის ეფექტიანობისთვის).

სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის მიერ ანგარიშგების სისტემის ფარგლებში მიღებული დასკვნები ყოველწლიურად ქვეყნდება. მათი ნახვა შესაძლებელია ევროპის სოციალური ქარტიის HUDOC-ის მონაცემთა ბაზის გამოყენებით: <https://hudoc.esc.coe.int/>.

როდესაც სოციალურ უფლებათა ევროპულ კომიტეტს გამოაქვს დასკვნა ქარტიის მოთხოვნებთან შეუსაბამობაზე, დაინტერესებულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა გადადგას ნაბიჯები, რათა ვითარება გახდეს ქარტიის შესაბამისი.

**მეორე ეტაპზე** სახელმწიფოს, რომლის მიმართაც მიღებულია დასკვნა შეუსაბამობაზე, სთავაზობენ, რომ სხვა წევრ სახელმწიფოებს, კერძოდ, ევროპის სოციალური ქარტიისა და სოციალური უზრუნველყოფის კოდექსის სამთავრობო კომიტეტს („სამთავრობო კომიტეტი“), წარუდგინოს ინფორმაცია ზომებზე, რომელთა გატარებასაც აპირებს სახელმწიფო ვითარების ქარტიასთან შესაბამისობისთვის.

შეუსაბამობის პირველად დადგენის შემთხვევაში, ეს ინფორმაცია მიეწოდება წერილობით და, როგორც წესი, არ განიხილება სამთავრობო კომიტეტში. თუ სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი კვლავ დადებს შეუსაბამობის დასკვნას, სამთავრობო კომიტეტი განიხილავს ჩაატარებს მას შემდეგ, რაც შესაბამისი სახელმწიფო წარადგენს ინფორმაციას ვითარების შესაბამისობისთვის მიღებულ ან გათვალისწინებულ ღონისძიებებზე. ამრიგად, აღნიშნული პრევენტაცია უნდა შეიცავდეს ყველა საჭირო ინფორმაციას სოციალურ უფლებათა

ევროპული კომიტეტის მიერ წამოჭრილ საკითხებზე.

სამთავრობო კომიტეტს მუშაობაში ეხმარებიან დამკვირვებლები, რომლებიც წარმოადგენენ ევროპის დამსაქმებელთა ორგანიზაციებსა და პროფკავშირებს.

როგორც წესი, სამთავრობო კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობისთვის მოწვეულია:

- ▶ დამსაქმებელთა ორი ორგანიზაცია: დამსაქმებელთა საერთაშორისო ორგანიზაცია და ევროპის მრეწველთა კონფედერაცია (Business Europe); და
- ▶ მუშაკთა ერთი ორგანიზაცია: ევროპის პროფკავშირების კონფედერაცია.

სამთავრობო კომიტეტი შეიმუშავებს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტისთვის წარსადგენ ანგარიშს. დოკუმენტში მითითებულია ვითარება, რომელთან მიმართებითაც, მისი აზრით, სახელმწიფოსთვის უნდა შემუშავდეს რეკომენდაციები სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის ცალკეული დასკვნებისა და წევრ სახელმწიფოთა ახსნა-განმარტებების საფუძველზე, კერძოდ, ეროვნული გარემოებებისა და სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის გათვალისწინებით.

**მესამე ეტაპზე** მინისტრთა კომიტეტი სამთავრობო კომიტეტის ანგარიშის საფუძველზე იღებს რეზოლუციას, რომლითაც სრულდება მონიტორინგის თითოეული ციკლი. იგი შეიძლება შეიცავდეს ცალკეულ რეკომენდაციებს შესაბამისი სახელმწიფოსთვის, რომლებიც მიუთითებს შეუსაბამობის გამოსასწორებელ ზომებზე.

ამ დრომდე, პრაქტიკაში მინისტრთა კომიტეტი საკმაოდ იშვიათად მიმართავს რეკომენდაციებით ცალკეულ სახელმწიფოებს სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის მიერ შეუსაბამობაზე დასკვნის გამოტანის შემდეგ.

**■ ა) იმ წევრი სახელმწიფოების ანგარიშების ვალდებულება, რომლებმაც არ მიიღეს კოლექტიური საჩივრების პროცედურა**

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების შესაბამისად, წევრი სახელმწიფოები, რომლებმაც არ მიიღეს კოლექტიური საჩივრების პროცედურა, წარადგენენ წლიურ ანგარიშს, სადაც მითითებულია, თუ როგორ ახორციელებენ ქარტიას კანონმდებლობასა და პრაქტიკაში. თითოეული ანგარიში ეხება ქარტიის მიღებული დებულებებიდან შერჩეულ მუხლებს, რომლებიც იყოფა ზემოთ ჩამოთვლილ ოთხ თემატურ ჯგუფად.

**■ ბ) ანგარიშების ვალდებულებები წევრი სახელმწიფოებისთვის, რომლებმაც მიიღეს კოლექტიური საჩივრების პროცედურა**

2014 წლის აპრილში მინისტრთა კომიტეტმა შემდგომი ცვლილებები შეიტანა ქარტიის მონიტორინგის სისტემაში (იხ. CM(2014)26). ამ ცვლილებათა ძირითადი მიზანი იყო ანგარიშების სისტემის გამარტივება წევრი სახელმწიფოებისთვის, რომლებმაც მიიღეს კოლექტიური საჩივრების პროცედურა.

შესაბამისად, 2014 წლის ოქტომბრიდან ასეთმა წევრმა სახელმწიფოებმა ეროვნული ანგარიში უნდა წარმოადგინონ მხოლოდ ორ წელიწადში ერთხელ.

15 სახელმწიფო, რომლებმაც მიიღეს კოლექტიური საჩივრების პროცედურა, ორ ჯგუფად იყოფა.

ჯგუფებში სახელმწიფოები გადანაწილებულნი არიან მათ წინააღმდეგ დარეგისტრირებულ საჩივართა რაოდენობის მიხედვით (მაქსიმალურიდან მინიმალურამდე):

- ▶ ჯგუფი A შედგება რვა სახელმწიფოსგან: საფრანგეთი, საბერძნეთი, პორტუგალია, იტალია, ბელგია, ბულგარეთი, ირლანდია, ფინეთი;

► გვერდი 10

- ჯგუფი B შედგება შვიდი სახელმწიფოსგან: ნიდერლანდები, შვედეთი, ხორვატია, ნორვეგია, სლოვენია, კვიპროსი, ჩეხეთის რესპუბლიკა.

სისტემა შემდგენიარად ფუნქციონირებს:

2020 წლის დეკემბერში სახელმწიფოებმა, რომლებიც მიეკუთვნებიან A ჯგუფს, უნდა წარადგინონ გამარტივებული ანგარიში. სხვა სახელმწიფოებს მოეთხოვებათ „სტანდარტული“ ანგარიშის წარდგენა დებულებებზე მე-2 თემატური ჯგუფიდან: ჯანდაცვა, სოციალური უზრუნველყოფა და სოციალური დაცვა.

2021 წლის ოქტომბერში სახელმწიფოებმა, რომლებიც მიეკუთვნებიან B ჯგუფს, უნდა წარადგინონ გამარტივებული ანგარიში. სხვა სახელმწიფოებმა კი უნდა წარადგინონ „სტანდარტული“ ანგარიში დებულებებზე მე-3 თემატური ჯგუფიდან: შრომითი უფლებები.

გამარტივებული ანგარიშების წარმდგენ წევრ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ, მიუთითონ ის შემდგომი ღონისძიებები, რომლებიც გაატარეს სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის მიერ კოლექტიურ საჩივრებზე მიღებული გადაწყვეტილებების საპასუხოდ; ასევე, უპასუხონ ნებისმიერ წამოჭრილ შეკითხვას ისეთი შეუსაბამობის შემთხვევაში, რომელიც გამოწვეულია ინფორმაციის ნაკლებობით განსახილველ თემატურ ჯგუფთან დაკავშირებულ დებულებებზე.

თუ ახალი წევრი სახელმწიფოები მიიღებენ კოლექტიური საჩივრების პროცედურას, მონაცვლეობით გადანაწილდებიან B ჯგუფში, შემდეგ A ჯგუფში, მერე ისევ B ჯგუფში და ა.შ. ანგარიშგების ეს სისტემა ამ ახალი წევრი სახელმწიფოებისთვის ძალაში შევა კოლექტიური საჩივრის პროცედურის მიღებიდან ერთი წლის შემდეგ.

## ეროვნული ანგარიშების შედგენა

ყოველწლიურად, სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი წევრ სახელმწიფოებს უგზავნის წერილებს და სთავაზობს თავიანთი ანგარიშების წარდგენას, რომლებშიც უნდა გაეცეს პასუხი მის შეკითხვებს. საჭიროების შემთხვევაში, უთითებს შესავსები ანგარიშის ფორმასაც.

### ფორმა

2008 წლის 26 მარტს მინისტრთა კომიტეტმა დაამტკიცა ანგარიშების ფორმები, რომლებიც უნდა წარედგინოს ევროპის სოციალური ქარტიის (შესწორებული), 1961 წლის ქარტიისა და 1988 წლის დამატებითი ოქმის შესაბამისად.

ფორმები შეგიძლიათ ნახოთ შემდეგ მისამართებზე:

<https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentid=09000016804922f8> (1996 წლის ქარტია)

და

<https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentid=09000016804922f6> (1968 წლის ქარტია).

მათი დანიშნულებაა, სახელმწიფოებს დაეხმარონ ანგარიშების მომზადებაში.

ფორმების შესაბამისად, ეროვნულ ანგარიშებში ქარტიის ყოველი მიღებული დებულებისთვის უნდა იყოს წარმოდგენილი შესაბამისი ინფორმაცია მის განსახორციელებლად მიღებულ ზომებზე, კერძოდ:

- ▶ სამართლებრივი ჩარჩო - ნებისმიერი კანონი ან რეგულაცია, კოლექტიური ხელშეკრულება ან სხვა დებულება, რომელიც ხელსუწყობს მის შესრულებას; საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ეროვნული პრეცედენტული სამართალი - სასამართლოებისა და მართლმსაჯულების სხვა ორგანოების გადაწყვეტილებები;
- ▶ მიღებული ზომები (ადმინისტრაციული ღონისძიებები, პროგრამები, სამოქმედო გეგმები, პროექტები და ა.შ.) სამართლებრივი ჩარჩოს განსახორციელებლად;
- ▶ ყველა შესაბამისი ციფრი, სტატისტიკა თუ სხვა ინფორმაცია, რომლებიც შესაძლებლობას იძლევა, შეფასდეს ამ დებულებათა შესრულების ხარისხი.

ქარტიის რომელიმე დებულებით განსაზღვრული საკითხების სათანადოდ გასაცნობიერებლად, გასათვალისწინებელია შესაბამისი მუხლის განმარტება სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის მხრიდან. ეს განმარტებები შეჯამდა პრეცედენტული სამართლის კრებულში.

კრებულის უახლესი ვერსია ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://rm.coe.int/digest-2018-parts-i-ii-iii-iv-en/1680939f80>.

სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის განმარტებაზე მითითებისას გასათვალისწინებელია სამთავრობო კომიტეტის გადაწყვეტილებები, რომლებიც ეფუძნება სოციალური, ეკონომიკური და ზოგადი პოლიტიკის სხვა მოსაზრებებს.

სამთავრობო უწყებათა პასუხებში მკაფიოდ უნდა განისაზღვროს:

- ▶ ისინი მხოლოდ კონკრეტული ქვეყნის მოქალაქეთა მდგომარეობას ეხება, თუ სხვა ქვეყნების მოქალაქეებსაც;
- ▶ მოქმედებს თუ არა ისინი მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე;
- ▶ ვრცელდება თუ არა ისინი დებულებით გათვალისწინებული ყველა კატეგორიის პირზე.

ქარტიის ძალაში შესვლის შემდეგ, სახელმწიფოს მიერ წარდგენილი პირველი ეროვნული ანგარიში უნდა შეიცავდეს დეტალურ ინფორმაციას დებულების ყველა შესაბამის ასპექტზე, შემდგომი ანგარიშისთვის კი საკმარისი იქნება წინა ანგარიშებში წარმოდგენილ სამართლებრივ და პრაქტიკულ ჩარჩოზე ინფორმაციის განახლება. იგივე პრინციპი ვრცელდება ქარტიის ყოველ დებულებაზე, რომელიც შემდგომ მიიღება.

### სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია

2019 წლამდე სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი სვამდა კითხვების ორ წყებას:

- ▶ ე.წ. „ზოგადი“ კითხვები, რომლებიც ეხება ყველა სახელმწიფოს და წარმოდგენილია ყოველწლიურად გამოქვეყნებული დასკვნების ზოგად შესავალში. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანი იყო, რომ ანგარიშების შემდგენელ პირებს, კონკრეტულ დებულებასთან დაკავშირებით, მიეთითებინათ დასკვნების ბოლო ტომი ამ დებულების შესახებ.
- ▶ კონკრეტული კითხვები, რომლებიც შეეხება კონკრეტულ სახელმწიფოს და შეტანილია ამ სახელმწიფოსთან დაკავშირებული დასკვნების ტომში. სწორედ დასკვნის ტექსტში, კერძოდ, მის ბოლო ნაწილში განიმარტება მიზეზები, რომელთა გამოც სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი ვითარებას შეუსაბამოდ მიიჩნევს.

2019 და 2020 წლებში სოციალურ უფლებათა ევროპულმა კომიტეტმა სახელმწიფოებს შესთავაზა, ეპასუხათ მიზნობრივ კითხვებზე, რომლებიც დაისვა გარკვეულ დებულებათა შესაბამისად, საჭიროებიდან გამომდინარე, ანგარიშების ფორმის მითითებით. კომიტეტს არ დაუსვამს ყველა დებულებით გათვალისწინებული კითხვები. ყოველ წელს კითხვები განსხვავებული იქნება.

ამ მიდგომის მიზანი იყო მონიტორინგის ფოკუსირება ყველაზე აქტუალურ საკითხებზე და ქვეყნებზე დაკისრებული ტვირთის შემცირება მოთხოვნით, რომ პასუხი გაეცეს შერჩეულ და მიზნობრივ კითხვებს, ისე, რომ არ შეიზღუდოს პასუხების გაცემის შესაძლებლობა წინა საანგარიშო ციკლებიდან ჯერ კიდევ გაუცემელ კითხვებზე.

ამ ნაბიჯს განაპირობებს: ადამიანის უფლებათა მმართველი კომიტეტის (CDDH) მიერ შესრულებული სამუშაო, რომლის მიზანია კარგი პრაქტიკის გამოვლენა ევროპაში სოციალურ უფლებათა განხორციელების გასაუმჯობესებლად; ასევე, სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის წინადადებები, რომელთა მიზანია, ევროპის სოციალური ქარტიის ფარგლებში ანგარიშების პროცედურა იყოს ეფექტიანი და მიზანმიმართული.

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა მმართველი კომიტეტის აზრით, ეს პროცედურა კიდევ უნდა გამარტივდეს და გახდეს უფრო მიზანმიმართული, რათა ყურადღება გამახვილდეს სოციალურ უფლებათა განხორციელებასა და დაცვასთან დაკავშირებულ სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხებზე.

2019 წლის 18-21 ივნისს მიღებული CDDH-ის ანგარიში შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: <https://rm.coe.int/improving-the-protection-of-social-rights-in-europe-volume-ii-en/168097adf3..>



ანგარიშგების პროცედურის გადასინჯვა სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის ძალისხმევით ნაწილია, რომელიც მიემართება წევრ სახელმწიფოთა მიერ ევროპის სოციალური ქარტიის მიღებულ დებულებათა სრულად დაცვას; ასევე, პასუხის გაცემას ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილებებზე, რომლებიც შეეხება ქარტიის განხორციელებაზე ანგარიშგების სისტემას. ესენია:

- ▶ მინისტრის მოადგილეთა 963-ე სხდომაზე მიღებული 2006 წლის 2 მაისის გადაწყვეტილება, (პუნქტი 4.2);
- ▶ მინისტრის მოადგილეთა 1022-ე სხდომაზე მიღებული 2008 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება (პუნქტი 4.2);
- ▶ მინისტრის მოადგილეთა 1196-ე სხდომაზე მიღებული 2014 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილება (პუნქტი 4.7).

აღნიშნული გადაწყვეტილებები შეგიძლიათ იხილოთ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის ვებგვერდზე: <https://www.coe.int/en/web/cm/adopted-texts>.

## ანგარიშის შინაარსი

ანგარიშში შესატანი ინფორმაციის ბუნებასა და მოცულობაზე გადაწყვეტილების მიღებისას, ეროვნულმა სახელისუფლებო ორგანოებმა უნდა გაითვალისწინონ სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის პრევენციული სამართალი, რომელიც აისახა კომიტეტის წინა დასკვნებსა და გადაწყვეტილებებში. მათ შეუძლიათ, მიმართონ სხვადასხვა პუბლიკაციას პრევენციული სამართლის შესახებ, მათ შორის, ზემოხსენებულ კრებულს (Digest).

აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ლაკონური და ზუსტი ფორმით და ზედმიწევნით შესაბამებოდეს თითოეული განსახილველი დებულების გამოყენების სფეროს.

ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს:

### 1) მოქმედი დოკუმენტები, რომლებიც უზრუნველყოფს ქარტიის შესაბამისი დებულების განხორციელებას.

პირველ ანგარიშში საჭიროა სამართლებრივი ჩარჩოს დეტალური აღწერა. მომდევნო ანგარიშებში საკმარისია, მიუთითოთ მომხდარი ცვლილებები. მაგალითად, მიზანშეწონილია საპარლამენტო ან სამთავრობო სამუშაოსთან მიმართებით ავსნათ მიზეზები, რომლებმაც გამოიწვია საკანონმდებლო ვითარების ცვლილება, და მიზნები, რომლებსაც ემსახურება ეს რეფორმა.

სოციალურ უფლებათა ევროპულმა კომიტეტმა ამ კუთხით აღნიშნა, რომ არ კმარა იმ ეროვნული კანონების ჩამონათვალის წარდგენა, რომლებიც უკავშირდება ქარტიის შესაბამის დებულებებს. კანონმდებლობაზე ყველა მითითებას უნდა ახლდეს შესაბამისი ახსნა, თუ როგორ უზრუნველყოფს ის ქარტიის გამოყენებას.

### 2) მექანიზმები სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე ამ დოკუმენტების შესასრულებლად.

მინიშნება შეიძლება გაკეთდეს როგორც სირთულეებზე, ასევე განხორციელებულ სტრატეგიებზე, მიღებულ შედეგებზე და ა.შ. ანგარიშში უნდა განიმარტოს საანგარიშო პერიოდში განხორციელებული პოლიტიკა და დაკონკრეტდეს, თუ რამ გამოიწვია პოლიტიკის ცვლილებები, რა მიზნები ჰქონდა მას და რა შედეგები მოჰყვა.

გასათვალისწინებელია, რომ ქარტიის ზოგიერთი დებულება დაუყოვნებლივ უნდა შესრულდეს რატიფიკაციის შემდეგ (მაგ: ქარტიის მე-5 მუხლი: ორგანიზების თავისუფლება). სხვა დებულებები, პირიქით, გულისხმობს სამოქმედო გეგმების შედგენას საჭიროებების, პრიორიტეტების, ვადებისა და საჭირო კორექტირებების შეფასების საფუძველზე, რადგან მათი განხორციელება განსაკუთრებით რთულია და/ან ძვირადღირებული. ყველა ეს ელემენტი, რომლებიც განმარტავს, თუ როგორ ახერხებენ ეროვნული სახელისუფლებო

ორგანოები კონკრეტული უფლების ეტაპობრივ რეალიზებას, უნდა შევიდეს თითოეულ ანგარიშში, თითოეული საანგარიშო პერიოდისთვის. თუმცა, სოციალურ უფლებათა ევროპულმა კომიტეტმა მკაფიოდ მიუთითა, ეტაპობრივი განხორციელების რა მეთოდები შეესაბამება ქარტიას.

ამ კუთხით, ანგარიშის შედგენისას უნდა გაეცნოთ სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის პრეცედენტული სამართლის კრებულს.

### 3) მონიტორინგი კანონებისა და პოლიტიკის შესრულებაზე

ანგარიშში უნდა მიეთითოს, თუ როგორ უზრუნველყოფს ხელისუფლება კანონებისა და პოლიტიკის ეფექტიანად აღსრულებას. მინიმუმ შეიძლება გაკეთდეს მონიტორინგზე პასუხისმგებელი ინსტიტუტების შიდა ანგარიშებზე (მაგ: ქარტიის იმ დებულებებთან მიმართებით, რომლებიც შრომის უფლებებს ეხება - შრომის ინსპექციის ანგარიშებზე).

სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ გარკვეული ანგარიშების ხარისხი ჯერ კიდევ არ არის ადეკვატური და არ აძლევს კომიტეტს ვითარების შეფასების საშუალებას, რითაც აიძულებს, გადადოს დასკვნა. მიწოდებული ინფორმაცია ყოველთვის არ არის რელევანტური, საკმარისად მკაფიო და/ან ამომწურავი, ზოგჯერ კი ის საერთოდ არ არსებობს.

ამიტომ, აუცილებელია, ანგარიში შეიცავდეს ზუსტ და დეტალურ პასუხებს კომიტეტის მიერ დასმულ კითხვებზე, რომლებიც მითითებულია როგორც კითხვარში, ასევე წინა ციკლის დასკვნებში იმავე ობიექტის დებულებებთან მიმართებით.

### 4) სტატისტიკური ინფორმაცია

სოციალურ უფლებათა ევროპულმა კომიტეტმა რამდენჯერმე მიუთითა წევრ სახელმწიფოებს, რომ უნდა შეაფასონ პრაქტიკული სიტუაციები, ინდიკატორების საშუალებით.

შესაბამისად, ანგარიშები უნდა შეიცავდეს ციფრებს, როდესაც ამას კომიტეტი მოითხოვს, კერძოდ, იმის საილუსტრაციოდ, რომ მთავრობამ საკმარისად კარგად იცის ვითარება ეფექტიანი პოლიტიკის განსახორციელებლად. ოფიციალური სტატისტიკის არარსებობისას, სამთავრობო უწყებებს შეუძლიათ, მიაწოდონ მონაცემები ან შეფასებები, რომლებიც ეფუძნება სპეციალურ კვლევებსა და გამოკითხვებს, ან გამოიყენონ არსებული მონაცემები სხვა წყაროებიდან. ანგარიშები შეიძლება შეიცავდეს ეროვნული ან საერთაშორისო ორგანოების მიერ შეგროვებულ ინფორმაციას.

სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი სისტემატურად იკვლევს ევროსტატის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციისა (OECD) და ევროკავშირის მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებს, თუმცა ისინი ყველა წევრ სახელმწიფოს არ ეხება. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, ანგარიში შეიცავდეს მაჩვენებლებს ეროვნული წყაროებიდან.

### 5) პასუხი სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის განცხადებაზე ეროვნულ ანგარიშებში წარმოდგენილ და სამთავრობო კომიტეტისთვის მიწოდებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით.

სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი წევრ სახელმწიფოთა ყურადღებას ამახვილებს ვალდებულებაზე, რომ სისტემატურად შეიტანონ ეროვნულ ანგარიშებში პასუხები კომიტეტის მოთხოვნებზე ინფორმაციის მიწოდების შესახებ. გარდა ამისა, კომიტეტი წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს: ანგარიშში ყოველთვის შეიტანონ ნებისმიერი შესაბამისი ინფორმაცია, რომელიც ადრე მიაწოდეს სამთავრობო კომიტეტს წერილობით ან ზეპირად; ან ასეთ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მიუთითონ ნებისმიერი მოვლენა ან ცვლილება, რომლებიც მოხდა სამთავრობო კომიტეტისთვის ინფორმაციის მიწოდების შემდგომ.



## თავი II.

# პრაქტიკული ინფორმაცია

### საბოლოო ვადა

ანგარიში ევროპის საბჭოს უნდა წარედგინოს ყოველი წლის 31 ოქტომბრამდე.

2020 წელს, COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული შეფერხებების გამო, სოციალურ უფლებათა ევროპულ კომიტეტთან შეთანხმებით, ანგარიშის წარდგენის ვადა, გამონაკლისის სახით, გაგრძელდა 2020 წლის 31 დეკემბრამდე (2020 წლის ოქტომბრის ბოლოს ნაცვლად) და, ჯერჯერობით, არ შეცვლილა: შემდგომ შეტყობინებამდე, ანგარიში ევროპის საბჭოს უნდა წარედგინოს ყოველი წლის 31 დეკემბრამდე.

### ენები

ანგარიში უნდა წარედგინოს ინგლისურ ან ფრანგულ ენაზე. ძალიან მნიშვნელოვანია, თარგმანი იყოს მაღალხარისხიანი, რათა არ დამახინჯდეს ორიგინალ ენაზე დაწერილი შინაარსი.

კარგი პრაქტიკაა ანგარიშის წყარო ენაზე გამოქვეყნება შესაბამისი სახელმწიფოს საჯარო ვებსაიტზე. ევროპის საბჭოს სურს, კავშირი დაამყაროს ევროპის სოციალური ქარტიის ვებსაიტსა (სადაც ანგარიშები ქვეყნდება ორგანიზაციის ოფიციალურ ენაზე) და იმ საიტებს შორის, რომლებიც ამ ანგარიშებს ასაჯაროებს წყარო ენაზე.

### სოციალურ პარტნიორებთან კონსულტაცია

ევროპის სოციალური ქარტია მხარე სახელმწიფოებს ავალდებულებს, ანგარიშზე კონსულტაცია გაიარონ ეროვნულ სოციალურ პარტნიორებთანაც. სახელმწიფოდან გამომდინარე, განსხვავდება ასეთი კონსულტაციების პრაქტიკული მექანიზმები: ზოგი ქვეყანა ანგარიშის მომზადებაში რთავს სოციალურ პარტნიორებს, სხვები კი მათგან კონსულტაციებს იღებენ ანგარიშების შედგენის შემდეგ. შესაძლოა, ქვეყნებმა გაითვალისწინონ მათი წინადადებები და ანგარიშში ცვლილებები შეიტანონ ევროპის საბჭოსთვის წარდგენამდე. ზოგ სახელმწიფოში ანგარიში სოციალური პარტნიორებისთვის ხელმისაწვდომია ევროპის საბჭოში გაგზავნის შემდეგ. ასეთ შემთხვევაში, მათ შეუძლიათ, თავიანთი შენიშვნები გაუგზავნონ პირდაპირ ორგანიზაციას.

არჩეული მეთოდების მიუხედავად, დამსაქმებელთა და დასაქმებულთა პროფკავშირებთან კონსულტაცია წინაპირობაა ევროპის სოციალური ქარტიის მე-5 და მე-6 მუხლებით გარანტირებულ უფლებათა განხორციელებისთვის.

## სამოქალაქო საზოგადოების კონსულტაცია

ევროპის საბჭოს გენერალური სამდივნო პასუხისმგებელია სახელმწიფო ანგარიშების გავრცელებაზე არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, რომლებსაც აქვთ ევროპის საბჭოს მონაწილეობითი სტატუსი. პრაქტიკაში ეს უზრუნველყოფილია იმით, რომ თითოეული ანგარიში რეგისტრაციისთანავე ქვეყნდება ევროპის სოციალური ქარტიის ვებგვერდზე.

## თანამშრომლობა შესაბამის სახელისუფლებო ორგანოებს შორის

ვინაიდან ევროპის სოციალური ქარტია მოიცავს სოციალურ უფლებათა ფართო სპექტრს, მისი განხორციელება შეიძლება შეეხოს სახელმწიფოს რამდენიმე სამინისტროს ან დაწესებულებას (მაგ: განათლების, ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, შრომის ან, თუნდაც, შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროები). ეს დამოკიდებულია ადმინისტრაციულ სტრუქტურასა და უფლებამოსილების განაწილებაზე შესაბამისი სახელმწიფოს სხვადასხვა ორგანოს შორის.

თითოეული სახელმწიფოს ადმინისტრაციული სტრუქტურა განსხვავდება, ამიტომ, მათ უნდა მოძებნონ საკუთარი გზა კონტაქტების დასამყარებლად და ინფორმაციის შესაგროვებლად, რათა შეძლონ ანგარიშის პროექტის შედგენა ქარტიის მონიტორინგის სისტემის ფარგლებში. ერთი სახელმწიფოს გამოცდილება მარტივად ვერ გამოიყენება მეორე სახელმწიფოს კონტექსტში.

ნებისმიერ შემთხვევაში, იმისათვის, რომ ანგარიშმა გაამართლოს სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის მოლოდინები, აუცილებელია, სახელმწიფოთა შესაბამისი სუბიექტები უწყვეტად თანამშრომლობდნენ და ცვლიდნენ ინფორმაციას ერთმანეთთან.

თითოეული სახელმწიფო ინდივიდუალურად წყვეტს, თუ რომელი ორგანოა პასუხისმგებელი შესაბამის ეროვნულ სუბიექტებს შორის თანამშრომლობის კოორდინაციასა და ანგარიშის ევროპის საბჭოსთვის გადაცემაზე.

## ანგარიშების წარდგენის წესი

ანგარიში ელექტრონული ფორმით უნდა გაიგზავნოს მისამართზე: [DGI-ESC-Reporting-System@coe.int](mailto:DGI-ESC-Reporting-System@coe.int).

## საკონტაქტო პირი

ევროპის სოციალური ქარტიის სამდივნო რჩება მხარე სახელმწიფოთა განკარგულებაში, თუ მათთვის გაუგებარი ან საეჭვო იქნება სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის შემდგომი განმარტებები არგუმენტებისა და მოლოდინების შესახებ ([social.Charter@coe.int](mailto:social.Charter@coe.int)).

## არაოფიციალური (ალტერნატიული) ანგარიშები

ჩრდილოვანი (ან ალტერნატიული) ანგარიშების მეთოდი უფლებამოსილ ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს, შეავსონ მთავრობათა მიერ ევროპის სოციალური ქარტიის მონიტორინგის სისტემის ფარგლებში წარდგენილი ანგარიშები, ან/და ალტერნატიული ინფორმაცია წარმოადგინონ მათზე. წარდგენის შემდეგ, ალტერნატიული ანგარიში ქვეყნდება ევროპის სოციალური ქარტიის ვებგვერდზე და მას, მთავრობის ანგარიშთან ერთად, განიხილავს სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი. წარმოდგენილი შენიშვნების გათვალისწინების საკითხს წყვეტს სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი.

ქვემოთ მოცემული ინფორმაცია ეხება მხოლოდ ანგარიშების პროცედურას.

### ვის შეუძლია დამატებითი ინფორმაციის წარდგენა?

დამატებითი ინფორმაციის შეტყობინება რეგულირდება 1961 წლის ქარტიის 23§1 და 27§2 მუხლებით, რომლებშიც ცვლილებები შევიდა 1991 წლის ტურინის ოქმით.

წევრმა სახელმწიფოებმა თავიანთი ანგარიშების ასლები ევროპის სოციალური ქარტიის იმ დებულებებზე, რომლებსაც მიუერთდნენ ან არ მიერთებიათ, უნდა გაუგზავნონ გარკვეულ ეროვნულ ორგანიზაციებს, უფლებამოსილთ, რომ ეროვნული ანგარიშების პარალელურად წარუდგინონ შენიშვნები და შესაბამისი ინფორმაცია სოციალურ უფლებათა ევროპულ კომიტეტს.

ამ ორგანიზაციებმა უნდა შეისწავლონ ეროვნული ანგარიში და თავიანთი შენიშვნები წარუდგინონ სოციალურ უფლებათა ევროპულ კომიტეტს.

ეს ეხება:

- ▶ მუშაკებისთვის: ეროვნულ ორგანიზაციებს, რომლებიც არიან ევროპის პროფკავშირების კონფედერაციის (ETUC) წევრები;
- ▶ დამსაქმებლებისთვის: ეროვნულ ორგანიზაციებს, რომლებიც არიან ევროპის Business Europe-ისა და დამსაქმებელთა საერთაშორისო ორგანიზაციების წევრები;
- ▶ სამოქალაქო საზოგადოებისთვის: საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც სარგებლობენ მონაწილეობითი სტატუსით ევროპის საბჭოში; ასევე, იმ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების წევრ ეროვნულ ორგანიზაციებს, რომლებიც სარგებლობენ მონაწილეობითი სტატუსით ევროპის საბჭოში; ასევე სხვა ორგანიზაციებს (სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის რეგლამენტის 21A§1 წესის შესაბამისად).

### არაოფიციალური (ალტერნატიული) ანგარიშის წარდგენის მიზეზები

- ▶ ანგარიშის წარდგენა საშუალებას აძლევს (საერთაშორისო) არასამთავრობო ორგანიზაციებს და სხვა უფლებამოსილ ორგანიზაციებს, რომ სოციალურ უფლებათა ევროპულ კომიტეტს წარუდგინონ მთავრობის მიერ მოწოდებული ფაქტებისა და შეფასებების ალტერნატიული ვერსია.

► გვერდი 18

- ▶ ეს კარგი შესაძლებლობაა ბოლო ოთხი წლის მანძილზე ქვეყანაში არსებული მდგომარეობის განსახილველად და გასაანალიზებლად;
- ▶ ანგარიშის გამოქვეყნება ავტორებს უზრუნველყოფს საერთაშორისო ფორუმით, სადაც შეუძლიათ თავიანთი შემოთავაზებების განმარტება.
- ▶ ანგარიშმა შეიძლება გავლენა იქონიოს სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის დასკვნებზე, ქვეყანაში სოციალურ უფლებათა უკეთ დაცვის სასარგებლოდ.

### **ჩრდილოვანი (ალტერნატიული) ანგარიშის შინაარსი**

ანგარიში შეიძლება შეიცავდეს დამატებით ან ალტერნატიულ ინფორმაციას ეროვნულ ანგარიშში წამოჭრილი ყველა საკითხზე, ან შენიშვნებს ერთ საკითხთან მიმართებით.

ანგარიშში შეიძლება წარმოდგენილი იყოს ინფორმაცია, რომელიც არ არის შეტანილი მთავრობის ანგარიშში.

ყველა შემთხვევაში, ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას იმ დებულებებზე, რომლებსაც სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი განიხილავს იმავე წელს.

### **ენები**

ანგარიში უნდა წარედგინოს ინგლისურ ან ფრანგულ ენებზე. ძალიან მნიშვნელოვანია, თარგმანი იყოს მაღალი ხარისხის, რათა არ შეიცვალოს ანგარიშის შინაარსი და სანდო ინფორმაცია მიეწოდოს სოციალურ უფლებათა ევროპულ კომიტეტს.

### **საბოლოო ვადა**

ეროვნულ ანგარიშებზე შენიშვნები უნდა წარედგინოს ევროპის სოციალური ქარტიის სამდივნოს, იმ წლის 30 აპრილამდე, რომლის განმავლობაშიც სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი განიხილავს შესაბამის ეროვნულ ანგარიშს. ამ ვადის დაწესებით, სახელმწიფოებს მიეცათ დრო შენიშვნებზე პასუხის გასაცემად, თუ ამის სურვილი ექნებათ.

2020 წელს, COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული შეფერხებების გამო, სოციალურ უფლებათა ევროპულმა კომიტეტმა პროფკავშირების, დამსაქმებელთა ორგანიზაციებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის ეროვნულ ანგარიშებზე შენიშვნების წარდგენის საბოლოო ვადა გაახანგრძლივა 2021 წლის 30 ივნისამდე (ჩვეული 30 აპრილის ნაცვლად) და, ჯერჯერობით, არ შეუცვლია: შემდგომ შეტყობინებამდე, ანგარიში ევროპის საბჭოს უნდა წარედგინოს ყოველი წლის 30 ივნისამდე.

### **შენიშვნების წარდგენის წესი**

ჩრდილოვანი/ალტერნატიული ანგარიში ელექტრონული ფორმით უნდა გაიგზავნოს მისამართზე: [DGI-ESC-Reporting-System@coe.int](mailto:DGI-ESC-Reporting-System@coe.int).

სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის რეგლამენტის 21A§2 წესის შესაბამისად, რეგისტრირებული და კომიტეტისთვის წარდგენილი დაკვირვებები ეგზავნება შესაბამის მთავრობას, რომელსაც ექვსი კვირა აქვს პასუხის წარსადგენად, თუკი ამის სურვილი ექნება.

## თავი III.

# საქართველო და ევროპის სოციალური ქარტია

ევროპის სოციალური ქარტია არის ევროპის საბჭოს ხელშეკრულება, რომლითაც გარანტირებულია ძირითადი სოციალური და ეკონომიკური უფლებები, განსხვავებით ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისგან, რომელიც ეხება სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს. ის უზრუნველყოფს ადამიანის ყოველდღიურ უფლებათა ფართო სპექტრს, რომლებიც უკავშირდება დასაქმებას, საცხოვრებელს, ჯანმრთელობას, განათლებას, სოციალურ დაცვას და კეთილდღეობას. ქარტია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მოწყვლად პირთა დაცვას (მაგ: მოხუცები, ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და მიგრანტები). ის მოითხოვს, რომ შემოადინებული უფლებებით სარგებლობა გარანტირებული იყოს დისკრიმინაციის გარეშე.

საერთოევროპულ დონეზე არცერთი სხვა სამართლებრივი ინსტრუმენტი არ იცავს სოციალური უფლებებს ისეთი ფართოდ და ყოვლისმომცველად, როგორც ქარტია, რომელიც ამოსავალი წერტილია ევროკავშირის კანონმდებლობაში; ევროპის კავშირის ძირითად უფლებათა ქარტიაში სოციალური უფლებების უმეტესობა ეფუძნება ქარტიის შესაბამის მუხლებს. აქედან გამომდინარე, ქარტია განიხილება ევროპის სოციალურ კონსტიტუციად და ადამიანის უფლებათა სისტემის არსებითი ნაწილია კონტინენტზე.

მინისტრთა კომიტეტის 2006 წლის გადაწყვეტილების შესაბამისად, ქარტიის დებულებები იყოფოდა ოთხ თემატურ ჯგუფად. 2022 წლამდე მხარე სახელმწიფოები ყოველწლიურად წარადგენდნენ ანგარიშს ოთხი თემატური ჯგუფიდან ერთ-ერთის დებულებებზე. შესაბამისად, ქარტიის თითოეულ დებულებაზე ანგარიში მზადდებოდა ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ.

**დებულებები შემდგენიერად იყო დაჯგუფებული:**

- ▶ **ჯგუფი 1:** დასაქმება, მომზადება და თანაბარი შესაძლებლობები/მუხლები 1, 9, 10, 15, 18, 20, 24 და 25.
- ▶ **ჯგუფი 2:** ჯანმრთელობა, სოციალური უზრუნველყოფა და სოციალური დაცვა / მუხლები 3, 11, 12, 13, 14, 23 და 30.
- ▶ **ჯგუფი 3:** შრომითი უფლებები/მუხლები 2, 4, 5, 6, 21, 22, 26, 28 და 29.
- ▶ **ჯგუფი 4:** ბავშვები, ოჯახები, მიგრანტები /მუხლები: 7, 8, 16, 17,19, 27, 31.<sup>2</sup>

2022 წლის 27 სექტემბერს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო რეფორმების პაკეტი, რომელთა მიზანია ევროპის სოციალური ქარტიის სისტემის მოდერნიზება.<sup>3</sup> მას შემდეგ ქარტიის დებულებები ორ ნაწილად დაიყო. 2023 წლიდან წევრმა სახელმწიფოებმა, რომელთაც არ აქვთ რატიფიცირებული 1995 წლის დამატებითი ოქმი კოლექტიური საჩივრების

<sup>2</sup> <https://www.coe.int/en/web/european-social-charter/reporting-system>

<sup>3</sup> CM(2022)114-final, available at: [https://search.coe.int/cm/Pages/result\\_details.aspx?ObjectId=0900001680a8412f](https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectId=0900001680a8412f)



სისტემის შესახებ <sup>4</sup>, ორ წელიწადში ერთხელ უნდა წარმოადგინონ ანგარიშები ორი ჯგუფიდან ერთ-ერთზე. შესაბამისად, ქარტიის თითოეულ დებულებაზე ანგარიში წარედგინება ოთხ წელიწადში ერთხელ.

**დებულებათა ორი ჯგუფი წარმოდგენილია ქვემოთ:**

- ▶ **პირველი ჯგუფი: მუხლები 1, 2, 3, 4, 5, 6, 8, 9, 10, 18, 19, 20, 21, 22, 24, 25, 28 29.**
- ▶ **მეორე ჯგუფი: მუხლები 7, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 23, 26, 27, 30, 31.**

2022 წლის 27 სექტემბრის რეფორმათა პაკეტის საბოლოო მიზანია წევრ სახელმწიფოთა დახმარება, რომ მათი ვალდებულებების შესაბამისად სცენ პატივი სოციალურ უფლებებს. ამ მიზნით, ძირითადი აქცენტი გაკეთდა დიალოგის გაძლიერებაზე ქარტიის ორგანოებსა და წევრ სახელმწიფოებს, ასევე, შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს შორის (ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები, ეროვნული თანასწორობის ორგანოები, პროფკავშირები და სამოქალაქო საზოგადოების სხვა ორგანიზაციები). ქარტიის მონიტორინგის ორგანოებსა და თითოეული წევრი სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოებს შორის დიალოგის გაძლიერება წახალისებულია, იმის მიუხედავად, თუ რომელ პროცედურას მოიცავს (ანგარიშგება, კოლექტიური საჩივრები და მათი შემდგომი კონტროლი). გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება დიალოგში ჩაერთოს იმ წევრ სახელმწიფოთა ჯგუფი, რომლებიც ცდილობენ საერთო პრობლემური საკითხების მოგვარებას, ან კარგი პრაქტიკის მაგალითების გაზიარებას. დიალოგში უნდა მონაწილეობდნენ სოციალური პარტნიორები და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებიც, როგორც ევროპულ, ისე ეროვნულ დონეზე.

წევრი სახელმწიფოს ან ქარტიის ერთ-ერთი ორგანოს მიერ ინიცირებული დიალოგი შეიძლება მოიცავდეს ინფორმაციის მოთხოვნას, წერილების გაცვლას, ან შეხვედრებს. წევრმა სახელმწიფომ შეიძლება მოითხოვოს ქვეყანაში ვიზიტიც.

საქართველოში ევროპის შესწორებული სოციალური ქარტია რატიფიცირებულია 2005 წლის 22 აგვისტოს, 98 პუნქტიდან 63-ის მიღებით:

**პირველი ჯგუფი:**

- ▶ შრომის უფლება (მუხლი 1);
- ▶ უფლება შრომის სამართლიან პირობებზე (მუხლი 2);
- ▶ უფლება უსაფრთხო და ჯანსაღ სამუშაო გარემოზე (მუხლი 3);
- ▶ უფლება შრომის სამართლიან ანაზღაურებაზე (მუხლი 4);
- ▶ ორგანიზების უფლება (მუხლი 5);
- ▶ კოლექტიური მოლაპარაკების უფლება (მუხლი 6);
- ▶ დასაქმებულ ქალთა უფლება დედობის დაცვაზე (მუხლი 8);
- ▶ პროფესიული ორიენტაციის უფლება (მუხლი 9);
- ▶ პროფესიული მომზადების უფლება (მუხლი 10);
- ▶ სხვა მხარეთა ტერიტორიაზე ანაზღაურებადი საქმიანობის უფლება (მუხლი 18);
- ▶ შრომითი მიგრანტებისა და მათი ოჯახების უფლება დაცვასა და დახმარებაზე (მუხლი 19);
- ▶ თანაბარი შესაძლებლობებითა და თანასწორი მოპყრობით სარგებლობის უფლება დასაქმებისა და პროფესიული საქმიანობის სფეროში, სქესის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე (მუხლი 20);
- ▶ ინფორმაციისა და კონსულტაციის მიღების უფლება (მუხლი 21);
- ▶ სამუშაო პირობებისა და სამუშაო გარემოს განსაზღვრასა და გაუმჯობესებაში მონაწილეობის უფლება (მუხლი 22);
- ▶ დაცვის უფლება შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში (მუხლი 24);
- ▶ მუშაკთა უფლება თავიანთი მოთხოვნების დაცვაზე დამსაქმებლის გადახდისუნარიანობის შემთხვევაში (მუხლი 25);
- ▶ მუშაკთა წარმომადგენლების უფლება დაცვასა და შეღავათებზე საწარმოში (მუხლი 28);
- ▶ ინფორმაციისა და კონსულტაციის მიღების უფლება კოლექტიური დათხოვნის პროცედურებში (მუხლი 29).

4 CETS No. 158, <https://www.coe.int/en/web/conventions/full-list?module=treaty-detail&treatyid=158>

**ზემოაღნიშნული ჯგუფიდან საქართველომ მიიღო ყველა დებულება, გარდა მუხლებისა: 253, 254, 256, 3, 451, 455, 851, 852, 9, 1051, 1053, 1055, 21, 22, 24, 25 და 28.**

**მეორე ჯგუფი:**

- ▶ ბავშვებისა და ახალგაზრდების უფლება დაცვაზე (მუხლი 7);
- ▶ ჯანმრთელობის დაცვის უფლება (მუხლი 11);
- ▶ სოციალური უზრუნველყოფის უფლება (მუხლი 12);
- ▶ სოციალური და სამედიცინო დახმარების უფლება (მუხლი 13);
- ▶ სოციალური უზრუნველყოფის სამსახურებით სარგებლობის უფლება (მუხლი 14);
- ▶ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებლობის, სოციალური ინტეგრაციისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება (მუხლი 15);
- ▶ ოჯახის უფლება სოციალურ, იურიდიულ და ეკონომიკურ დაცვაზე (მუხლი 16);
- ▶ ბავშვებისა და ახალგაზრდების უფლება სოციალურ, იურიდიულ და ეკონომიკურ დაცვაზე (მუხლი 17);
- ▶ ხანდაზმულ პირთა უფლება სოციალურ დაცვაზე (მუხლი 23);
- ▶ სამუშაო ადგილზე დირსების დაცვის უფლება (მუხლი 26);
- ▶ ოჯახური ვალდებულებების მქონე მუშაკთა უფლება თანაბარ შესაძლებლობებსა და თანასწორ მოპყრობაზე (მუხლი 27);
- ▶ სიღარიბისა და სოციალური გარიყულობისგან დაცვის უფლება (მუხლი 30);
- ▶ უფლება საცხოვრებელზე (მუხლი 31);

**ზემოაღნიშნული ჯგუფიდან საქართველომ მიიღო ყველა დებულება, გარდა მუხლებისა: 1252, 1254, 13, 1551, 1552, 16, 1752, 23, 30 და 31.**

საქართველოს ჯერ არ აქვს რატიფიცირებული დამატებითი ოქმი, რომელიც ითვალისწინებს კოლექტიური საჩივრების სისტემას.

**მიღებულ დებულებათა ცხრილი საქართველოსთვის**

1.1	1.2	1.3	1.4	2.1	2.2	2.3	2.4	2.5	2.6	2.7	3.1
3.2	3.3	3.4	4.1	4.2	4.3	4.4	4.5	5	6.1	6.2	6.3
6.4	7.1	7.2	7.3	7.4	7.5	7.6	7.7	7.8	7.9	7.10	8.1
8.2	8.3	8.4	8.5	9	10.1	10.2	10.3	10.4	10.5	11.1	11.2
11.3	12.1	12.2	12.3	12.4	13.1	13.2	13.3	13.4	14.1	14.2	15.1
15.2	15.3	16	17.1	17.2	18.1	18.2	18.3	18.4	19.1	19.2	19.3
19.4	19.5	19.6	19.7	19.8	19.9	19.10	19.11	19.12	20	21	22
23	24	25	26.1	26.2	27.1	27.2	27.3	28	29	30	31.1
31.2	31.3										

ვარდისფერი = მიღებული დებულებები

ვინაიდან საქართველოს არ მიუღია დამატებითი ოქმი, რომელიც ითვალისწინებს კოლექტიური საჩივრების სისტემას, ევროპის სოციალური ქარტიის შესაბამისად, საქართველო ვალდებულია, რომ 2024 წლიდან ყოველ ორ წელიწადში ერთხელ წარადგინოს ეროვნული ანგარიშები ორი ჯგუფიდან ერთ-ერთის მუხლებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესრულებაზე, სადაც აღწერს, თუ როგორ ასრულებს თავის ვალდებულებებს. სახელმწიფოს ევალება ანგარიშება ეროვნული კანონმდებლობის არა მხოლოდ სამართლებრივ შესაბამისობაზე ქარტიის დებულებებთან, არამედ პრაქტიკულ განხორციელებაზეც, შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაციის მიწოდებით.

2007-2022 წლებში საქართველომ 16 ანგარიში წარადგინა შესწორებული ქარტიის მიღებაზე ანგარიშგების 2023 წლამდე არსებული პროცედურის შესაბამისად. 2022 წლის 30 დეკემბერს წარდგენილი მე-16 ანგარიში მოიცავს სოციალური ქარტიის მიღებულ დებულებებს, რომლებიც უკავშირდება მე-4 თემატურ ჯგუფს „ბავშვები, ოჯახები და მიგრანტები“. ამ დებულებებზე დასკვნები, სავარაუდოდ, 2024 წლის იანვარში გამოქვეყნდება.

## ეროვნული ანგარიშების მომზადება – პრაქტიკული მითითებები და ინფორმაცია საქართველოსთვის

ანგარიშების სისტემა ფორმალურად რეგულირდება 1961 წლის ქარტიის 21-29 მუხლებით, ასევე, 1991 წლის ტურიზის ოქმის შესწორებებით (ETS N 142), რომელიც გამოიყენება მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე. მონიტორინგის სისტემის მნიშვნელობის ფარგლებში, საქართველომ რეგულარულად უნდა წარადგინოს ანგარიშები ქარტიის განხორციელებაზე კანონმდებლობასა და პრაქტიკაში. ამ ანგარიშებს განიხილავს სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი, რომელიც წყვეტს, შეესაბამება თუ არა ქვეყანაში არსებული მდგომარეობა ქარტიის დებულებებს. სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის მიერ ანგარიშების სისტემის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები, სახელწოდებით „დასკვნები“, ქვეყნდება ყოველწლიურად.

2023 წლამდე წევრი სახელმწიფოები ანგარიშებს ყოველწლიურად წარადგენდნენ. შესაბამისად, კომიტეტის გადაწყვეტილებებიც ყოველწლიურად ქვეყნდებოდა. 2023 წლიდან ანგარიშების პროცედურაში შევიდა ძირეული ცვლილებები, რომელთა მიზანია დიალოგის გაძლიერება ქარტიის ორგანოებსა და წევრ სახელმწიფოებს, ასევე, შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს შორის (ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები, ეროვნული თანასწორობის ორგანოები, პროფკავშირები და სამოქალაქო საზოგადოების სხვა ორგანიზაციები). ამ ცვლილებათა შესაბამისად, წევრმა სახელმწიფოებმა, რომელთაც არ აქვთ რატიფიცირებული 1995 წლის დამატებითი ოქმი კოლექტიური საჩივრების სისტემის შესახებ, ორ წელიწადში ერთხელ უნდა წარადგინონ ანგარიშები. ქვეყნები, რომლებიც შებოჭილნი არიან კოლექტიური საჩივრების პროცედურით, დებულებათა ორ ჯგუფზე ანგარიშს წარადგენენ ოთხ წელიწადში ერთხელ.

2019 წლიდან, იმისათვის, რომ დამატებით ფოკუსირებულიყო წევრ სახელმწიფოთა მიერ ანგარიშებაზე, ასევე, შემდგომ შეფასებებზე სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის მხრიდან და, ამავდროულად, შემსუბუქებინა ანგარიშების ტვირთი სახელმწიფოებისთვის, სოციალურ უფლებათა ევროპულმა კომიტეტმა მიიღო მიზნობრივი და სტრატეგიული მიდგომის პრაქტიკა და სახელმწიფოებს შესთავაზა, მხოლოდ მიზნობრივი კითხვებისთვის ეპასუხათ, ქარტიის თითოეულ მიღებულ დებულებაზე ანგარიშების ნაცვლად. პრაქტიკა ჩაერთო 2022 წლის რეფორმათა პაკეტში. 2022 წლის 27 სექტემბრის 1444-ე შეხვედრაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შემდეგ, პირველ და მეორე ჯგუფებთან დაკავშირებულ ეროვნულ ანგარიშებში საქართველომ სხვა სახელმწიფოთა მსგავსად უნდა უპასუხოს კითხვებს, რომლებიც შემუშავდება და გამოქვეყნდება ევროპის საბჭოს ვებგვერდზე<sup>5</sup>, თითოეული საანგარიშო პერიოდისთვის ცალკე. პასუხები უნდა გაეცეს მხოლოდ იმ კითხვებს, რომლებიც შეეხება საქართველოს მიერ მიღებულ დებულებებს.

გარდა ამისა, 2023 წლიდან, როდესაც ჩნდება ფართო, ტრანსვერსიული ან პანევროპული მასშტაბის კრიტიკული საკითხები, წევრ სახელმწიფოებს შეიძლება მოეთხოვოთ, რომ სოციალურ უფლებათა ევროპულ კომიტეტს შესასწავლად წარუდგინონ ad hoc ანგარიშები. ასეთი ანგარიშების თემებსა და ვადებზე გადაწყვეტილებას მიიღებენ სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი და სამთავრობო კომიტეტი.

**ამჟამად წევრ სახელმწიფოებს თავიანთი ანგარიშების შედგენა მოეთხოვებათ შემდეგი კალენდრის საფუძველზე:**

5 <https://www.coe.int/en/web/european-social-charter/national-reports>



წელი	ანგარიშის ჩაბარება	ECSR დასკვნები [1]
2023	შესაძლოა ad hoc ანგარიში	
2024	27 ქვეყანა აბარებს ანგარიშს პირველი ჯგუფის დებულებებზე	შესაძლოა ECSR-ის ანალიზი ad hoc ანგარიშების შესახებ [3]
2025	16 ქვეყანა, რომლებსაც მიღებული აქვთ კოლექტიური საჩივრების პროცედურა, აბარებს ანგარიშს პირველი ჯგუფის დებულებებზე	ECSR-ის დასკვნები 27 ქვეყნისთვის (პირველი ჯგუფის დებულებები)
2026	27 ქვეყანა აბარებს ანგარიშს მეორე ჯგუფის დებულებებზე	ECSR-ის დასკვნები 16 ქვეყნისთვის (პირველი ჯგუფის დებულებები)
2027	შესაძლოა ad hoc ანგარიში	ECSR-ის დასკვნები 27 ქვეყნისთვის (მეორე ჯგუფის დებულებები)
2028	27 ქვეყანა აგზავნის ანგარიშს პირველი ჯგუფის დებულებებზე	შესაძლოა ECSR-ის ანალიზი ad hoc ანგარიშების შესახებ
2029	16 ქვეყანა, რომლებსაც მიღებული აქვთ კოლექტიური საჩივრების პროცედურა, აბარებს ანგარიშს მეორე ჯგუფის დებულებებზე	ECSR-ის დასკვნები 27 ქვეყნისთვის (პირველი ჯგუფის დებულებები)
2030	27 ქვეყანა აბარებს ანგარიშს მეორე ჯგუფის დებულებებზე	ECSR-ის დასკვნები 16 ქვეყნისთვის (მეორე ჯგუფის დებულებები)

**ეროვნული ანგარიშის შემუშავების პროცესში**, როდესაც განიხილება კომიტეტის კითხვები ქარტიის თითოეული მიღებული დებულების მიხედვით, **ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია მის გამოსაყენებლად მიღებულ ზომებზე**, კერძოდ, შემდეგი კუთხით:

- ▶ **სამართლებრივი ჩარჩო** – ნებისმიერი კანონი ან რეგულაცია, კოლექტიური ხელშეკრულება ან სხვა დებულებები, რომლებიც ხელს უწყობს ასეთ გამოყენებას; საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ეროვნული პრეცედენტული სამართალი – სასამართლოებისა და მართლმსაჯულების სხვა ორგანოების შესაბამისი გადაწყვეტილებები;
- ▶ **სამართლებრივი ჩარჩოს განსახორციელებლად მიღებული ზომები (ადმინისტრაციული ზომები, პროგრამები, სამოქმედო გეგმები, პროექტები და ა.შ.);**
- ▶ **ნებისმიერი შესაბამისი ციფრი, სტატისტიკა ან სხვა ინფორმაცია**, რომლებითაც შესაძლებელი იქნება ამ დებულებათა გამოყენების შეფასება.

ანგარიშის შედგენისას მნიშვნელოვანია, ყურადღება მიექცეს შემდეგ საკითხებს:

- ▶ პასუხი გაეცემა მხოლოდ იმ კითხვებს, რომლებიც უკავშირდება საქართველოს მიერ მიღებულ დებულებებს;
- ▶ ანგარიშები ფოკუსირებული უნდა იყოს მათი წარდგენის დროისთვის არსებულ სიტუაციაზე, ასევე, ზომებზე, რომლებიც გატარდა ან გათვალისწინებულია ამ სიტუაციის გასაუმჯობესებლად ან შესაცვლელად.
- ▶ წევრ სახელმწიფოებს თავად შეუძლიათ გადაწყვიტა, თუ რა მოცულობის იქნება მათი

ანგარიშები, თუმცა, ანგარიშების სისტემის თანმიმდევრულობისა და თანმიმდევრობის უზრუნველსაყოფად, მათ საორიენტაციო მითითებები მიეწოდებათ მოსალოდნელი ან სასურველი მოცულობის შესახებ;

- ▶ ანგარიში უნდა წარედგინოს მისთვის განსაზღვრული ვადების დაცვით (2023 წელს კომიტეტმა მოითხოვა, რომ წევრმა სახელმწიფოებმა 31 დეკემბრამდე წარადგინონ მათი ad hoc ანგარიშები);
- ▶ თუ სრული სტატისტიკური მონაცემები ხელმიუწვდომელია, მხარე სახელმწიფოებს შეუძლიათ, მონაცემები ან შეფასებები წარადგინონ ad hoc კვლევებზე, სპეციალიზებულ ან შერჩევით კვლევებსა და მეცნიერულად დასაბუთებულ სხვა მეთოდებზე დაყრდნობით (თუ ამგვარად შეგროვებული ინფორმაცია სასარგებლოდ მიაჩნიათ) და უზრუნველყონ, რომ მონაცემთა შეგროვებისთვის საჭირო ადმინისტრაციული ძალისხმევა იყოს ინფორმაციის მიღების სურვილის თანაზომიერი;

ანგარიშის პროექტის შედგენისას, რეკომენდებულია შემდეგი წყაროების გაცნობა:

- ▶ ანგარიშში პასუხგასაცემი კითხვებისთვის – ევროპის საბჭოს ვებგვერდი: <https://www.coe.int/en/web/european-social-charter/national-reports>
- ▶ უკანასკნელი ანგარიშის შინაარსისთვის – ქვეყნის პროფილის ვებგვერდი საქართველოსთვის:
- ▶ <https://www.coe.int/en/web/european-social-charter/georgia>
- ▶ სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის დასკვნებისთვის შესაბამისი ჯგუფის შესახებ – ქვეყნის პროფილის ვებგვერდი საქართველოსთვის: <https://rm.coe.int/rapport-geo-en/1680a1c798>
- ▶ პრეცედენტული სამართლის გასაცნობად, რომელიც შეეხება სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის შესაბამის ჯგუფთან დაკავშირებულ დებულებებს, იხილეთ შემდეგი წყაროები:
  - პრეცედენტული სამართლის არსისთვის - სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის პრეცედენტული სამართლის კრებული (2022): <https://rm.coe.int/digest-ecsr-prems/1680ab46a6>
  - სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის ყველა დასკვნისთვის – ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მონაცემთა ბაზა: [https://hudoc.esc.coe.int/eng](https://hudoc.esc.coe.int/eng,აირჩიეთ „დასკვნები (ანგარიშების პროცედურა)“;”</a></li><li>• ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის ყველა რეზოლუციისა და რეკომენდაციისთვის – ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მონაცემთა ბაზა: <a href=) (აირჩიეთ „დასკვნების შედეგები“).

სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის მიერ მოთხოვნილი ad hoc ანგარიშის შედგენისას, ავტორებმა უნდა:

- ▶ დაადგინონ, რა კითხვები/საკითხები წამოიწია ECSR-მა ამ ანგარიშისთვის;
- ▶ მიაქციონ ყურადღება, რომ თითოეული კითხვა/ინფორმაციის მოთხოვნა, შედგენილი სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის მიერ, სამთავრობო კომიტეტთან თანამშრომლობით, შეიძლება დროის სხვადასხვა პერიოდზე მიუთითებდეს ინფორმაციის წარსადგენად;
- ▶ სათანადოდ უპასუხონ კომიტეტის კითხვებს მის მიერვე განსაზღვრულ ვადებში.

**Ad hoc ანგარიშები არ უნდა იყოს ქარტიასთან შესაბამისობის შესახებ დასკვნების საგანი.** ამის ნაცვლად, **ECSR-ს მოეთხოვება გამოვლენილ სიტუაციათა ზოგადი მიმოხილვა და ფართო**

**სამართლებრივი ანალიზი ქარტიის პერსპექტივიდან.** საჭიროების მიხედვით, ECSR-ის მიმოხილვა შეიძლება შეიცავდეს ზოგად ორიენტირებს ქარტიის გამოყენებაზე ასეთ ახალ ან კრიტიკულ საკითხებთან მიმართებით და ასახავდეს კრიტერიუმებს, რომელთა გამოყენებასაც აპირებს კომიტეტი დადგენისას, აკმაყოფილებს თუ არა ქარტიის მოთხოვნებს სიტუაცია კონკრეტულ წევრ სახელმწიფოში. შესაბამის შემთხვევებში, მიმოხილვა, ანალიზი და ორიენტირები შეიძლება იღებდეს გარკვეულ ფორმას, ან შეიცავდეს ECSR-ის განცხადებებს განმარტების შესახებ. შემდგომი დაკვირვება უნდა მოიცავდეს წევრ სახელმწიფოთა შორის დიალოგს (GC-ის ფარგლებში), რომელიც აერთიანებს შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს (სოციალური პარტნიორები და სამოქალაქო საზოგადოება) იმ ქმედებათა განსაზღვრისათვის, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს ქარტიიდან გამომდინარე ვალდებულებათა შესასრულებლად.

**2023 წელს,** მინისტრთა მოადგილეების გადაწყვეტილების შესაბამისად, რომელიც მიღებულია 2022 წლის 27 სექტემბერს და შეეხება ევროპის სოციალური ქარტიის მიხედვით ანგარიშების წარდგენის ახალ სისტემას, სოციალურ უფლებათა ევროპულმა კომიტეტმა და სამთავრობო კომიტეტმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ მოითხოვონ **ad hoc ანგარიში საარსებო მინიმუმის კრიზისზე ყველა წევრ სახელმწიფოში.** კომიტეტმა შეიმუშავა 10 კითხვა <sup>6</sup>, რომლებსაც პასუხი უნდა გასცეს ყველა ქვეყანამ, საქართველოს ჩათვლით:

1. გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია, ხერხდება თუ არა (და როგორ) კანონით დადგენილი მინიმალური ანაზღაურების რეგულარულად მორგება/ინდექსირება ცხოვრების ღირებულებაზე. გთხოვთ, მიუთითოთ, როდის მოხდა ეს ბოლოს, განსაუბრობით, მოხერხდა თუ არა 2021 წლის ბოლოდან.
2. გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია ნებისმიერ დამატებით ზომაზე, რომელიც მინიმალური ანაზღაურების მსყიდველობითუნარიანობის შესანარჩუნებლად გატარდა 2021 წლის ბოლოდან.
3. წევრი სახელმწიფოებისთვის, რომლებსაც არ აქვთ კანონით დადგენილი მინიმალური ანაზღაურება: გთხოვთ, აღწეროთ ნებისმიერი ზომა, რომელიც მინიმალური ანაზღაურების მსყიდველობითუნარიანობის შესანარჩუნებლად გატარდა 2021 წლის ბოლოდან.
4. გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია, გამოიწვია თუ არა ცხოვრების ღირებულების კრიზისმა სამსახურებრივი შეღავათების გაფართოება.
5. გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია სოციალური უსაფრთხოებისა და სოციალური დახმარების სისტემათა ცვლილებებზე 2021 წლის ბოლოდან. ეს უნდა მოიცავდეს ინფორმაციას შეღავათებისა და დახმარების ღონეებსა და შეღავათების განაწილებაზე.
6. გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია, ინდექსირებულია თუ არა სოციალური უსაფრთხოების შეღავათები და დახმარება ცხოვრების ღირებულებასთან, ასევე, კრძოდ როგორ ხდება შემოსავლის ჩამნაცვლებელი შეღავათების, მაგალითად, პენსიის ინდექსირება. გთხოვთ, მიუთითოთ, ბოლოს როდის მოხერხდა შეღავათებისა და დახმარების კორექტირება/ინდექსირება.
7. გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია, გატარდა თუ არა რაიმე სპეციალური ზომები 2021 წლის ბოლოდან, რათა მოქალაქეებმა შეძლონ ელექტროენერჯისა და საკვების ხარჯების დაფარვა (მაგ: ელექტროენერჯის, საწვავისა და ძირითადი საკვები პროდუქტების ფასების სუბსიდირება).
8. გთხოვთ, წარმოადგინოთ განახლებული ინფორმაცია სიღარიბის რისკის მაჩვენებლებზე, როგორც მთლიანად მოსახლეობისთვის, ასევე ბავშვების, სიღარიბის რისკქვეშ მყოფი ოჯახების, მუშლადული შესაძლებლობის მქონე პირებისა და ხანდაზმულებისთვის. გთხოვთ, აჩვენოთ ბოლო ხუთი წლის ტენდენცია, აგრეთვე, მომავალი წლების პროგნოზები.

6 Request for an ad hoc report on the cost of living crisis available at: <https://rm.coe.int/appendix-ad-hoc-report-questions/1680abb137>

9. გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია, თუ რა ზომები გატარდა სიღარიბესთან ბრძოლისადმი კოორდინირებული მიდგომის უზრუნველსაყოფად, როგორც მოითხოვს ქარტიის 30-ე მუხლი, ასევე, დახმარების უკიდურეს საშუალებაზე, მათ შორის, კვების ბანკებსა და უფასო სასადილოებზე დამოკიდებულების შესამცირებლად.

10. გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია ზომებზე, რომლებიც გატარდა კონსულტაციების გასავლელად ცხოვრების ღირებულების კრიზისით ყველაზე მეტად დაზარალებულ პირებთან, ან/და ორგანიზაციებთან, რომლებიც მათ ინტერესებს წარმოადგენენ კრიზისის საპასუხო ღონისძიებათა შემუშავებისას, ასევე, პროცესში მათი ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

ყველა წევრი სახელმწიფოს ad hoc ანგარიში ცხოვრების ღირებულების კრიზისზე ელექტრონული ფორმით უნდა გაიგზავნოს მისამართზე [DGI-ESC-Reporting-System@coe.int](mailto: DGI-ESC-Reporting-System@coe.int) 2023 წლის 31 დეკემბრამდე.

**თუ ეს აუცილებელია სიტუაციის სათანადოდ შეფასებისთვის, ანგარიშის შესწავლისას ECSR-მა შეიძლება მონაწილე სახელმწიფოს მიმართოს მეზღუდული რაოდენობის კონკრეტული კითხვებით (მაგ. განმარტებითი კითხვები).**

წარსულში გამოყენებული პრაქტიკისგან განსხვავებით, 2022 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე, კონკრეტულ დებულებაზე მიღებულ მოსაზრებებში ECSR-ს მოუწოდებენ, რომ არ დასვას დამატებითი კითხვები მომდევნო ანგარიშში ამ თემაზე პასუხის გასაცემად. სხვა საკითხებზე, რომლებიც შემდგომ განმარტებებს საჭიროებს ქარტიის განხორციელებასთან დაკავშირებით, პირდაპირი დიალოგი უნდა შედგეს ECSR-სა და ეროვნული ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოებს შორის. ყველა მოსაუბრეს იწვევენ ასეთ დიალოგში კონსტრუქციულად და თანამშრომლობითი სულისკვეთებით მონაწილეობისათვის. საჭიროების შემთხვევაში, დიალოგში შეიძლება ჩაერთონ სოციალური პარტნიორები და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებიც, როგორც ევროპულ, ასევე ეროვნულ დონეზე.

## ეროვნული ანგარიშის პროექტის შედგენა – პრაქტიკული მითითებები მე-2 მუხლის მაგალითებზე (მიზნობრივი კითხვები – დასკვნები 2022)

მიზნობრივი კითხვების განხილვის პრაქტიკის შესაბამისად, საქართველოს ანგარიშები ქარტიის კონკრეტულ დებულებაზე დასმული თითოეული კითხვისთვის უნდა იძლეოდეს ნებისმიერ შესაბამის ინფორმაციას მის გამოსაყენებლად მიღებულ ზომებზე იმ სფეროში, რომელსაც მიემართება კითხვა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია ევროპის შესწორებული სოციალური ქარტიის მე-2 მუხლის ტექსტი (ცხრილი N 1), ასევე, მაგალითი, თუ როგორ უპასუხა ქარტიის 2§§1–7 მუხლების შესაბამისად დასმულ კითხვებს ირლანდიამ მე-19 ეროვნულ ანგარიშში<sup>7</sup> ევროპის სოციალური ქარტიის განხორციელებაზე (წარდგენილია 2017 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის, ცხრილები N 2 და N 3).

### ცხრილი N 1 – ევროპის შესწორებული სოციალური ქარტიის ტექსტი

#### მუხლი 2 – უფლება შრომის სამართლიან პირობებზე

შრომის სამართლიან პირობებზე უფლების ეფექტიანად განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ:

1. უზრუნველყონ გონივრული რაოდენობის დღიური და ყოველკვირეული სამუშაო საათები და თანდათანობით შეამცირონ სამუშაო კვირა, რამდენადაც ამის საშუალებას იძლევა შრომის ნაყოფიერების ზრდა და სხვა შესაბამისი ფაქტორები;
2. უზრუნველყონ შრომის ანაზღაურება უქმე დღეებში;
3. უზრუნველყონ, სულ მცირე, ოთხკვირიანი ყოველწლიური ანა-ზღაურებადი შვებულება;
4. აღმოფხვრან რისკები, რომლებიც ახლავს საშიშპირობებიან და მავნე სამუშაოს, ხოლო სადაც ჯერჯერობით შეუძლებელია ამ რისკების აღმოფხვრა ან საკმარისად შემცირება, უზრუნველყონ სამუშაო საათების შემცირება ან დამატებითი ანაზღაურებადი შვებულება ასეთ სამუშაოში ჩართული მუშაკებისთვის;
5. უზრუნველყონ ყოველკვირეული დასვენების დრო, რომელიც, რამდენადაც შესაძლებელია, ემთხვევა ტრადიციითა თუ ჩვეულებით აღიარებულ დასვენების დღეს შესაბამის ქვეყანას ან რეგიონში;
6. უზრუნველყონ, რომ მუშაკებს რაც შეიძლება მალე, თუმცა შრო-მითი ურთიერთობის დაწყებიდან არაუგვიანეს ორი თვისა, წე-რილობითი ფორმით მიეწოდოთ ინფორმაცია ხელშეკრულების ან შრომითი ურთიერთობების არსებით პირობებზე.
7. უზრუნველყონ, რომ ღამის სამუშაოზე დასაქმებული მუშაკები სარგებლობდნენ შეღავათებით, რომლებიც ითვალისწინებს მათი სამუშაოს სპეციფიკას.



N2 ცხრილში წარმოდგენილია პასუხები კითხვებზე/საკითხებზე, რომლებიც ევროპის შესწორებული სოციალური ქარტიის 2§1 მუხლის შესაბამისად დაისვა ყველა ქვეყნის მიმართ, სადაც რატიფიცირებულია ქარტიის 2§1 მუხლი:

ცხრილი N2

**მუხლი 2 – უფლება შრომის სამართლიან პირობებზე**

**შრომის სამართლიან პირობებზე უფლების ეფექტიანად განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ:**

**1. უზრუნველყონ გონივრული რაოდენობის დღიური და ყოველკვირეული სამუშაო საათები და თანდათანობით შეამცირონ სამუშაო კვირა, რამდენადაც ამის საშუალებას იძლევა შრომის ნაყოფიერების ზრდა და სხვა შესაბამისი ფაქტორები.**

**ა). გთხოვთ, წარმოადგინოთ განახლებული სამართლებრივი ჩარჩო გონივრული სამუშაო საათების უზრუნველსაყოფად (ყოველკვირეული და ყოველდღიური სამუშაო საათები, დასვენების დრო, ...) და გამონაკლისები (მათ შორის, კანონიერი საფუძველი და დასაბუთება).**

**გთხოვთ, წარმოადგინოთ დეტალური ინფორმაცია აღსრულების ღონისძიებებსა და მონიტორინგის მექანიზმებზე, კერძოდ, შრომის ინსპექციის საქმიანობასთან მიმართებით (ინსპექტირებათა სტატისტიკა და მათი გავრცელება ეკონომიკური საქმიანობის სექტორების მიხედვით, დაწესებული სანქციები და ა.შ.).**

**რეაგირება**

1997 წლის კანონი „სამუშაო დროის ორგანიზების შესახებ“, რომელიც გადმოტანილია ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივიდან (2003/88/EC) „სამუშაო საათების ორგანიზების ზოგიერთი ასპექტის შესახებ“, ადგენს მაქსიმალურ ყოველკვირეულ სამუშაო საათებსა და დასვენების ყოველდღიურ პერიოდებს ირლანდიაში.

ჩვეულებრივ, დასაქმებულებს უფლება აქვთ, ჰქონდეთ:

- ▶ დასვენების ზედიზედ 11-საათიანი ყოველდღიური პერიოდი 24 საათის განმავლობაში;
- ▶ დასვენების ზედიზედ 24-საათიანი პერიოდი შვიდი დღის განმავლობაში, დასვენების ყოველდღიური პერიოდის შემდეგ;
- ▶ 15-წუთიანი შესვენება, თუ ნამუშევარია 4,5 საათზე მეტი;
- ▶ 30 წუთიანი შესვენება, თუ ნამუშევარია 6 საათზე მეტი, რაც შეიძლება მოიცავდეს პირველ შესვენებას;
- ▶ დასაქმებულს სამუშაო კვირაში შეუძლია იმუშაოს, საშუალოდ, 48 საათი. ეს საშუალო გამოითვლება საანგარიშო პერიოდში, რომელიც, გარემოებებიდან გამომდინარე, შეიძლება იყოს ოთხი, ექვსი ან თორმეტი თვე (იხ. ცხრილი ქვემოთ).

...

„სამუშაო დროის ორგანიზების შესახებ“ კანონის მე-11 მუხლი ადგენს, რომ მუშაკს უფლება აქვს, დაისვენოს ზედიზედ, სულ მცირე, 11 საათი ყოველი 24-საათიანი პერიოდის განმავლობაში, როდესაც ის მუშაობს.

კანონის მე-13 მუხლი ითვალისწინებს, რომ დასაქმებულს უნდა მიეცეს ზედიზედ 24-საათიანი დასვენება ყოველი 7 დღის განმავლობაში. ამ პერიოდს უშუალოდ უსწრებს წინ დასვენების ყოველდღიური პერიოდი. მე-13 მუხლი ასევე ითვალისწინებს, რომ დასაქმებულს უფლება აქვს, 7 დღის განმავლობაში პირველი დასვენების პერიოდის მინიჭების ნაცვლად, დასაქმებულს მომდევნო 7 დღის განმავლობაში მისცეს 2 დასვენების პერიოდი, რომელთაგან თითოეული გრძელდება ზედიზედ არანაკლებ 24 საათი.

კანონის მე-15 მუხლის თანახმად, დასაქმებულმა არ უნდა დაუშვას დასაქმებულის, საშუალოდ, 48 საათზე მეტი მუშაობა ყოველ 7-დღიან პერიოდში. საშუალო 48 საათი გამოითვლება საანგარიშო პერიოდში (გარემოებიდან გამომდინარე, ეს შეიძლება იყოს ოთხი, ექვსი ან თორმეტი თვე).

**ადსრულება და ინსპექტირება**

ჩვეულებრივ, დასვენების მინიმალური პერიოდებისა და სამსახურში შესვენების ინტერვალების, ასევე, სამუშაოს მაქსიმალური საშუალო ყოველკვირეული საათების დაცვა ეკისრება შრომით ურთიერთობათა კომისიის (WRC) ინსპექციას, რომელიც უფლებამოსილია კომისიის გენერალური დირექტორის მხრიდან, ვაჭრობისა და დასაქმების მინისტრის თანხმობით.

დარგობრივი დირექტივებითა და რეგულაციებით დადგენილი სხვა დარგობრივი სამუშაო საათების დაცვა ეკისრება დელეგირებულ სახელმწიფო უწყებებს, რომელთა კომპეტენცია მოიცავს კონკრეტული სექტორის უფრო ფართო ასპექტებს, როგორც მოცემულია ქვემოთ

სამუშაო საათების დაცვა მუშაკებისთვის სხვადასხვა სექტორში:

- ▶ საგზაო ტრანსპორტის სფეროში საქმიანობა შედის საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი ორგანოს (RSA) კომპეტენციაში;
- ▶ სამოქალაქო ავიაციის სფეროში საქმიანობა შედის ირლანდიის საავიაციო ორგანოს (IAA) კომპეტენციაში;
- ▶ საზღვაო თევზჭერის სფეროში საქმიანობა და სავაჭრო ნაოსნობა შედის საზღვაო კვლევითი სამსახურის (MSO) კომპეტენციაში.

ამ საკანონმდებლო ვალდებულებათა მუხსრულებლობა (დასაქმებულის მიერ, WRC-ის უფლებამოსილებების ფარგლებში) განიხილება, პირველ რიგში, დარღვევაზე შეტყობინების გაცემით, რომელშიც მითითებულია გამოვლენილი დარღვევები და მათ აღმოსაფხვრელად საჭირო ქმედებები.

თუ დარღვევები არ გამოსწორდება დადგენილ ვადაში, გაიცემა შეტყობინება შესაბამისობის შესახებ, რომელიც მოითხოვს გამოსასწორებელი ზომების მიღებას 42 დღის განმავლობაში. საბოლოო ჯამში, შეტყობინებასთან შეუსაბამობისგამო, სანქციის სახით შეიძლება აღიძრას სისხლისსამართლებრივი დევნა რაიონულ სასამართლოში:

შესაძლებელია, დანაშაულში ბრალდებულ პირს:

ა) შეკრებითობის პრინციპით მსჯავრდადებისას, შეეფარდოს A კლასის ჯარიმა, ან თავისუფლების აღკვეთა არაუმეტეს 6 თვის ვადით (ან ორივე ერთად);

ბ) საბრალდებო დასკვნით მსჯავრდადებისას, შეეფარდოს ჯარიმა, რომელიც არ აღემატება 50 000 ევროს, თავისუფლების აღკვეთა არაუმეტეს 3 წლის ვადით, ან ორივე ერთად.

WRC-ის საქმიანობის ბოლო სრული წლის განმავლობაში (2020) ჩატარდა 7687 ინსპექტირება (რომელთა ფარგლებშიც განიხილებოდა სამუშაო დროის კანონიერი ვალდებულებები) და გაიცა 41 შეტყობინება შესაბამისობის შესახებ. ინსპექტირება საბოლოოდ დაიხურა გამოვლენილ დარღვევათა აღმოფხვრის შემდეგ.

WRC-ის ინსპექტორები სტუმრობენ დასაქმების ადგილებს და ატარებენ გამოძიებას შრომით ურთიერთობათა კომისიის სახელით, რათა ისინი შეესაბამებოდეს თანასწორობასა და დასაქმებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობას. გარკვეულ გარემოებებში, შრომის სასამართლომ ინსპექტორს შეიძლება მოსთხოვოს გამოძიების ჩატარება მისი სახელით. ასეთი გამოძიებები მოიცავს დასაქმებასთან დაკავშირებული საბუღალტრო ჟურნალების, ჩანაწერებისა და დოკუმენტების შემოწმებას და გასაუბრებებს მოქმედ თუ ყოფილ თანამშრომლებსა და დამსაქმებლებთან (თუმცა არ შემოიფარგლება ამით).

WRC-ის ინსპექტორთა მიერ 2017-2020 წლებში ჩატარებულ ინსპექტირებათა დეტალური აღწერა მოცემულია 1-ელ დანართში, ეკონომიკის სექტორების მიხედვით.

(...)

*ბ). კომიტეტი მიესალმება კონკრეტულ ინფორმაციას ხელისუფლების ორგანოთა პროაქტიულ ქმედებებზე გონივრულ სამუშაო საათებთან მიმართებით (იქნება ეს ეროვნული, რეგიონული, ადგილობრივი, თუ დარგობრივი ორგანოები, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები და თანასწორობის ორგანოები), ასევე, შრომის ინსპექციის საქმიანობასა და სასამართლოში განხილულ საქმეთა შედეგებზე. გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია მიგნებებსა (მაგ: შრომის ინსპექტირების შედეგები, ან ეროვნული ტრიბუნალებისა თუ სასამართლოების მიერ განხილული საჩივრები) და გამოსასწორებელ ზომებზე, რომლებიც მიიღება საქმიანობის კონკრეტულ დარგთან მიმართებით, როგორცაა ჯანდაცვის სექტორი, კვების ან მასპინძლობის ინდუსტრია, სოფლის მეურნეობა, საშინაო შრომა და მოვლის სერვისები.*

### **რეაგირება**

#### **დარგობრივი კამპანიები**

ყოველწლიური დარგობრივი ინსპექტირების კამპანიები შრომით ურთიერთობათა კომისიის (WRC) საინსპექციო საქმიანობის რეგულარული მახასიათებელია. ბოლო წლებში კამპანიები განხორციელდა სოფლის მეურნეობის, მასპინძლობის, კვებისა და თევზაობის სექტორებში, ასევე, ხორცის გადამამუშავებელ მრეწველობაში.

WRC-ის ინსპექცია პროაქტიულად ურთიერთქმედებს სექტორებთან, რათა აამაღლოს დამსაქმებელთა ინფორმირებულობა შრომის კანონმდებლობით დადგენილ ვალდებულებებზე და ხელი შეუწყოს შესაბამისობისა და საუკეთესო პრაქტიკის მეთოდოლოგიათა დანერგვას.

ბოლო წლებში ინსპექციამ შეამოწმა საცხენოსნო და მასპინძლობის სექტორები, ასევე, საშინაო მუშაკთა დამსაქმებლები.

#### **კონკრეტული საქმეების შედეგები**

2020 წლის წლიურ ანგარიშში მოხსენებულია ორი ინციდენტი, რომლებიც უკავშირდება კანონს „სამუშაო დროის ორგანიზების შესახებ“ (OWTA). დეტალები მოცემულია ქვემოთ.



WRC-ის წლიური ანგარიშები შეიცავს WRC-ის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს (რომლებიც მიღებულია ინსპექტირების აქტივობათა შედეგად).

საანგარიშო პერიოდის წლიური ანგარიშები ხელმისაწვდომია ბმულზე [shorturl.at/BINWX](http://shorturl.at/BINWX)

**A Facilities Coordinator v. A Bakery [ADJ-00019188] (11.06.20)**

ეს იყო საჩივარი კომპენსაციის მოთხოვნის შესახებ, რომელიც წარმოიშობა ყოველწლიური შვებულების შედეგად, „სამუშაო დროის ორგანიზების შესახებ“ კანონის (1997) ფარგლებში. გადაწყვეტილების მიმღებმა პირმა დაადგინა შესაბამისობა ევროკავშირის კანონმდებლობის დებულებებთან და მომჩივანს მიაკუთვნა კომპენსაცია დამსაქმებლის მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობის გამო. წარმატების მისაღწევად, მომჩივანი ეყრდნობოდა ევროკავშირის კანონმდებლობას.

გადაწყვეტილების მიმღებმა პირმა დაასკვნა, რომ მომჩივანს უფლება ჰქონდა, მოეთხოვა დარჩენილი შვებულების 20/24 (ოცი ოცდამეოთხედი), რადგან ეს უფლება და მისი ზომა მომჩივნისთვის გათვალისწინებული იყო კანონითა და დირექტივით.

მომჩივანს მიეკუთვნა 6000 ევრო, აქედან 5215 ევრო - დამსაქმებლის მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობის გამო (როგორც სახელფასო დავალიანება), 785 ევრო კი - კანონით დადგენილი უფლების დარღვევისთვის, რომელიც არ იყო სახელფასო დავალიანება.

**Security Worker v Security Company [ADJ-00029014] (17.12.20)**

ეს იყო საჩივარი „სამუშაო დროის ორგანიზების შესახებ“ კანონის (1997) ფარგლებში, რომელიც შეეხებოდა მოქალაქის მიერ სამუშაოს ან ანაზღაურების არმიცემას მომჩივნისთვის, გარდა ცალკეული შემთხვევებისა განსაზღვრულ პერიოდში.

დაეყრდნო რა უდავო მტკიცებულებებს, გადაწყვეტილების მიმღებმა პირმა გადაწყვეტილება მიიღო მომჩივნის სასარგებლოდ და დაადგინა, რომ მან დაამტკიცა თავისი უფლება ანაზღაურებაზე 2020 წლის აპრილი-მაისის პერიოდისთვის, OWTA-ის შესაბამისად. მომჩივანს მიეკუთვნა 1572,75 ევრო.

**c). გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე გამოძახების რეჟიმის საათებსა და სამუშაოსთან მიმართებით (მათ შორის, მოქნილ კონტრაქტებზე) და როგორ განიხილება გამოძახების არაქტიური პერიოდები სამუშაო და დასვენების საათების, ასევე, ანაზღაურების თვალსაზრისით.**

**რეაგირება**

**გამოძახების პერიოდი**

1997 წლის კანონი „სამუშაო დროის ორგანიზების შესახებ“ „სამუშაო დროს“ განმარტავს, როგორც ნებისმიერ დროს, როცა დასაქმებული:

- ა) იმყოფება სამუშაოზე ან მისი დამსაქმებლის განკარგულების ქვეშ; და
- ბ) ახორციელებს ან ასრულებს მის სამუშაოსთან დაკავშირებულ საქმიანობას ან მოვალეობას.

ეს განმარტება მოიცავს ყველა ნამუშევარ საათს, მათ შორის, ჩვეულებრივი კონტრაქტით გათვალისწინებულ დროს, სამუშაოს დამის საათებში, ზეგანაკვეთურ სამუშაოს, ცვლაში მუშაობას, არარეგულარულ სამუშაოს და ნებისმიერ დამატებით ან გაუთვალისწინებულ საათებს, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას.

საბოლოო ჯამში, დამსაქმებელმა უნდა გაითვალისწინოს თანამშრომლის მიერ ნამუშევარი საათები (მათ შორის, სხვა დამსაქმებლისთვის), რათა არ დაარღვიოს OWTA-ის დებულებები.

ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს ბოლო გადაწყვეტილებებმა დაადგინა, რომ ლოდინის დრო უნდა ჩაითვალოს სრულ სამუშაო საათებში, თუ ამ პერიოდში დაწესებული შეზღუდვები მნიშვნელოვნად აისახება მის უნარზე, თავისუფლად მართოს საკუთარი დრო, რომლის განმავლობაშიც საჭირო არ არის მისი პროფესიული მომსახურება. ასეთი შეზღუდვების არარსებობის შემთხვევაში, სამუშაო დროდ უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ის სამუშაო საათები, რომელთა განმავლობაშიც შესრულდა ფაქტობრივი სამუშაო.

საბოლოო ჯამში, ჩაითვლება თუ არა გამოძახებაზე/ლოდინში დახარჯული დრო „სამუშაო დროდ“, დამოკიდებულია კონკრეტული თანამშრომლის დასაქმების მდგომარეობასა და მასზე დაწესებულ შეზღუდვებზე.

### **მოქნილი კონტრაქტი**

2018 წლის კანონმა „დასაქმების შესახებ“ (სხვადასხვა დებულებამ), რომელიც ძალაში შევიდა 2018 წლის 4 მარტს, შეასრულა სამთავრობო პროგრამით ნაკისრი ვალდებულებები - გადაეჭრა არარეგულარული დასაქმების ზრდის პრობლემა და გაეძლიერებინა არასტაბილური დასაქმების რეგულირება.

კანონით შესწორებები შევიდა 1997 წლის კანონში „სამუშაო დროის ორგანიზების შესახებ“ (OWTA), კერძოდ, მე-18 მუხლში, რათა აეკრძალა მოქნილი კონტრაქტები, გარდა ისეთი გარემოებებისა, როცა სამუშაო:

- არარეგულარულია;
- სრულდება საგანგებო გარემოებებში; ან
- სრულდება მოკლე ვადით და შეთავსებით, დამსაქმებლის რეგულარული არყოფნის ჩასანაცვლებლად.

ახალი კანონით ცვლილებები შედის OWTA-ის მე-18 მუხლშიც, რათა გარკვეულ გარემოებებში შემოიღოს ახალი უფლება მინიმალური ანაზღაურების შესახებ. ასეთი ახალი მინიმალური ანაზღაურება გადაიხდება ყოველთვის, როდესაც დასაქმებულს, რომელსაც ეხება მე-18 მუხლი, გამოიძახებენ სამუშაოდ და არ მოუწევს მოსალოდნელი სამუშაო საათებით მუშაობა.

მინიმალური ანაზღაურება თითოეულ შემოადინიშნულ შემთხვევაში იქნება სამკურ მეტი მინიმალური საათობრივი ანაზღაურების ეროვნულ განაკვეთზე, ან იმ განაკვეთზე, რომელიც დადგენილია ბრძანებაში დასაქმების რეგულირების შესახებ (კონკრეტული სექტორისთვის, ასეთის არსებობის შემთხვევაში და სანამ ის ძალაშია).

2018 წლის კანონმა შემოიღო ახალი უფლება იმ დასაქმებულთათვის, რომელთა შრომითი ხელშეკრულება არ ასახავს ჩვეულებრივ ნამუშევარი საათების რეალობას. ასეთ დასაქმებულებს უფლება აქვთ, მოითხოვონ საათების ჩართვა დიაპაზონში, რომელიც უკეთ ასახავს მათ მიერ ნამუშევარ საათებს 12-თვიან საანგარიშო პერიოდში.

თანამშრომელი წერილობით მიმართავს დამსაქმებელს, რათა ჩართოს საათების შესაბამის დიაპაზონში. დამსაქმებელს მოთხოვნის განსახილველად აქვს ოთხი კვირა. ეს მუხლი გონივრულ მიზეზებს ითვალისწინებს იმ დამსაქმებლებისთვის, რომლებმაც შეიძლება უარი თქვან თანამშრომლის მოთხოვნაზე რომელიმე შემდეგი მიზეზის გამო:

- ა) დასაქმებულის პრეტენზია არ დასტურდება ფაქტებით;
  - ბ) მნიშვნელოვანმა არასასურველმა ცვლილებებმა გავლენა მოახდინა ბიზნესზე (მაგ: მნიშვნელოვანი კონტრაქტის დაკარგვა);
  - გ) არსებობს საგანგებო გარემოებები (მაგ: ბიზნესი დაიხურა წყალდიდობის გამო); ან
  - დ) დასაქმებულმა ეს საათები იმუშავა ნამდვილად დროებითი მდგომარეობის გამო (მაგ: სხვა დასაქმებულის ჩანაცვლება დეკრეტული შვებულებისას).
- თუ პრეტენზია სადავოა ან უარყოფილია, დასაქმებულს შეუძლია, საჩივრით მიმართოს შრომით ურთიერთობათა კომისიას (WRC) შუამავლობისთვის, ან გადაწყვეტილების მისაღებად. თუ გადაწყვეტილების მიმღები პირი გადაწყვეტილებას მიიღებს დასაქმებულის სასარგებლოდ, კომპენსაცია იქნება მისი ჩასმა საათების შესაბამის ღიაპაზონში.

**d). გთხოვთ, წარმოადგინოთ შემდეგი ინფორმაცია: COVID-19-ის კრიზისის გავლენა სამართლიანი სამუშაო პირობების უფლებაზე და არასასურველი ზემოქმედების შესამცირებლად მიღებული ზოგადი ზომები. რაც შეეხება სამუშაო საათებს პანდემიის დროს, გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია გონივრული სამუშაო საათების უფლების განხორციელებაზე შემდეგ სექტორებში: ჯანდაცვა და სოციალური სამუშაო (ექთნები, ექიმები და ჯანდაცვის სხვა მუშაკები, მუშაკები რეზიდენტული ზრუნვის დაწესებულებებში და სოციალური მუშაკები, ასევე, დამხმარე მუშაკები, როგორცაა სამრეცხაოსპერსონალი და დამლაგებლები); სამართალდამცველი, თავდაცვის და სხვა მნიშვნელოვანი სახელმწიფო სამსახურები; განათლება; ტრანსპორტი (მათ შორის, მაგისტრალური გადაზიდვები, საზოგადოებრივი ტრანსპორტი და ადგილზე მიტანის მომსახურება).**

**რეაგირება**

**კანონი „სამუშაო დროის ორგანიზების შესახებ“**

„სამუშაო დროის ორგანიზების შესახებ“ 1997 წლის კანონის (OWTA) შესაბამისად, უმეტესობა დასაქმებულთათვის მაქსიმალურმა საშუალო სამუშაო კვირამ არ უნდა გადააჭარბოს 48 საათს. ეს არ ნიშნავს, რომ დასაქმებული ვერასდროს იმუშავებს კვირამი 48 საათზე მეტს, თუმცა კვირამი საათების საშუალო რაოდენობა შესაბამისი საანგარიშო პერიოდისთვის არ უნდა აღემატებოდეს 48 საათს.

თავდაცვის ძალებისა და ირლანდიის ეროვნული პოლიციის თანამშრომლებს ამჟამად კანონი არ ითვალისწინებს, მაგრამ მიმდინარეობს მუშაობა მათ მოსაქცევად მოქმედების სფეროს ფარგლებში.

გარდა ამისა, სპეციალური რეგულაციები არსებობს შემდეგი პირებისთვის:

- ▶ პრაქტიკანტი ექიმები (S.I. 494/2004) და (S.I. 553 of 2010);
- ▶ სამოქალაქო დაცვის სამსახურების წარმომადგენლები (S.I. 52, 1998 და S.I. 478, 2009) - ირლანდიისთვის ცნობილია, რომ ამ კანონმდებლობაში უნდა შევიდეს ცვლილებები, რათა ქვეყნის სამოქალაქო დაცვის სამსახურთა სამუშაო საათები შეესაბამებოდეს სამუშაო საათების შესახებ ღირეუტივის მოთხოვნებს. ამ საკითხზე მუშაობა გრძელდება;
- ▶ მოძრავ საგზაო ტრანსპორტთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩართული დასაქმებულები (S.I. 36/2012);
- ▶ ზღვაზე მომუშავე დასაქმებულები (S.I. 245/2014);
- ▶ სამოქალაქო ავიაციის პერსონალი (S.I. 507, 2006).

COVID-ის შედეგად, OWTA-ში ცვლილებები არ შესულა.

### **საზღვაო სექტორი**

საზღვაო სექტორში დასაქმებულებზე არ ვრცელდება „საშუალო დროის ორგანიზების შესახებ“ (1997) კანონით განსაზღვრული ზოგადი დებულებები, ვინაიდან მიიჩნევა, რომ ასეთი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სპეციფიკურ საშუალო და საყოფაცხოვრებო პირობებს სანაოსნო სექტორში და, შესაბამისად, საჭიროა უფრო კონკრეტული წესები.

ამ მიმართებით, სანაოსნო სფეროში საშუალო საათების მარეგულირებელი კანონმდებლობა გათვალისწინებულია ევროგაერთიანების („სავაჭრო ნაოსნობის შესახებ“) („საშუალო დროის ორგანიზების შესახებ“) რეგულაციებში 2003 S.I. N 532/2003, რომლებშიც ცვლილებები შევიდა („სავაჭრო ნაოსნობის შესახებ“) („საშუალო დროის ორგანიზების შესახებ“) რეგულაციებით (ცვლილებით) 2014 S.I. N 245/2014.

ეს წესები ადგენს მუშაობის მაქსიმალურ საათებს/დასვენების მინიმალურ საათებს, რომლებიც ვრცელდება ნაოსნობის სექტორის მუშაკებზე და უზრუნველყოფს როგორც ევროკავშირის კანონმდებლობის, ისე საზღვაო ნაოსნობაში შრომის შესახებ კონვენციის მოთხოვნათა შესრულებას.

Covid-19-ის პერიოდში არ არსებობდა სპეციალური ზომები ამ მოთხოვნებისგან გადასახრელად. მეზღვაურისთვის უზრუნველყოფილი იყო გარკვეული მოქნილი პირობები შრომითი ხელშეკრულების 6 თვით გასახანგრძლივებლად, თუ მისი ვადა ამოიწურა, მეზღვაურმა მიაღწია მსახურების მაქსიმალურ ვადას ან/და მისი რეპატრიაცია რთული აღმოჩნდა მოგზაურობის შეზღუდვის გამო.

გახანგრძლივება შესაძლებელი იყო მხოლოდ მეზღვაურის მკავიო წერილობითი ნებართვით და თავდაპირველი ხელშეკრულების ყველა პირობის მოქმედებით, თუმცა ეს გავლენას არ ახდენდა საშუალო საათების შესახებ რეგულაციის დაცვის მოთხოვნაზე.

### **ავიაციის სექტორი**

საჰაერო ხომალდის ეკიპაჟის ფრენის დროის შეზღუდვები დადგენილია ევროკავშირის რეგულაციით, კერძოდ, საჰაერო გადაზიდვების რეგულაციებით. ეს საკითხი მუდმივად განიხილება ევროპის დონეზე. როგორც კომპეტენტური ორგანო, ირლანდიის საავიაციო ორგანო (IAA) ჩართულია ამ პროცესში, ევროკავშირის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოსთან ერთად. ოპერატორები არ მუშაობენ სრული დატვირთვით COVID-ის კრიზისის შედეგების გამო და, შესაბამისად, არ ოპერირებენ პროდუქტიულობის ადრინდელ დონეზე.

### **უარყოფის უფლება**

წლის 1 აპრილს. ის არ იყო გამიზნული როგორც უშუალო პასუხი COVID-19-ზე, მაგრამ უნდა განვიხილოთ იმ ზომების უფრო ფართო ნაკრების ნაწილად, რომლებიც მიმართულია ზოგადად საშუალო გარემოს შეცვლაზე. ამრიგად, კოდექსს უფრო ფართო და გრძელვადიანი მნიშვნელობა აქვს.

გარდა ამისა, კოდექსი სასარგებლო ინსტრუმენტი იქნება დასაქმებულებისა და დამსაქმებლებისთვის COVID-ის კრიზისის დროს საშუალო ადგილის გამოწვევათა გადასაჭრელად.

უარყოფის უფლება მოიცავს სამ მთავარ ელემენტს:

1. დასაქმებულის უფლება, არ შეასრულოს რუტინული საშუალო არასაშუალო დროს;



II. უფლება, არ დაისაჯოს იმის გამო, რომ არასამუშაო დროს უარი თქვა სამუშაო საკითხების გადაწყვეტაზე;

III. მოვალეობა, პატივი სცეს სხვა პირის უფლებას უარყოფაზე (მაგ: არასამუშაო დროს რუტინული შეიღის არგაგზავნა ან არდარეკვა).

e). კომიტეტი მიესალმება დამატებით ზოგად ინფორმაციას COVID-19-ის პანდემიის საპასუხოდ მიღებულ ზომებზე, რომლებიც ხელს უწყობს გონივრული სამუშაო საათების უფლებით სარგებლობას (მაგ: მოქნილი სამუშაო საათები, დისტანციური მუშაობა, სხვა ზომები მომუშავე მშობლებისთვის, როდესაც სკოლები და ბაღები დახურულია და ა.შ.). გთხოვთ, მიუთითოთ ინფორმაცია ასეთი ზომების დასადგენად გამოყენებულ სამართლებრივ ინსტრუმენტებსა და თავად ზომების ხანგრძლივობაზე.

### რეაგირება

მთავრობამ დამსაქმებლებს სთხოვა, მაქსიმალურად მოქნილები იყვნენ COVID-19-ის დროს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის რეკომენდაციით, ბავშვზე ზრუნვისა და ძიძის სამსახურების ფუნქციონირება COVID-19-ის დროს მთავრობის პრიორიტეტი უნდა იყოს.

ირლანდიაში სამუშაო დროის გონივრული გამოყენებისთვის, მთავრობამ პროცესში ჩაუშვა „დისტანციური მუშაობის ეროვნული სტრატეგია“. დოკუმენტი გამოქვეყნდა 2021 წლის 15 იანვარს და მიზნად ისახავს, დისტანციური მუშაობა გახდეს ირლანდიის სამუშაო ადგილის მუდმივი მახასიათებელი, ისე, რომ მაქსიმალურად გაზარდოს ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი სარგებელი. სტრატეგია შეიცავს 15 აქტივობას, რომლებიც უნდა განხორციელდეს 2021 წლის განმავლობაში.

სტრატეგიის ერთ-ერთი საყრდენია დისტანციური მუშაობისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა. ამ მიმართულებით, სტრატეგია მოიცავს ქმედებებს, რათა შემუშავდეს პრაქტიკის კოდექსი უარყოფის უფლების შესახებ, ასევე, კანონმდებლობა, რომელიც დასაქმებულებს აძლევს დისტანციური მუშაობის მოთხოვნის უფლებას.

პრაქტიკის კოდექსი უარყოფის უფლების შესახებ ძალაშია 2021 წლის 1 აპრილიდან და ვრცელდება ყველა დასაქმებულზე, მათ შორის, შინიდან მომუშავე პირებზე. ის შეიცავს მითითებებს დასაქმებულის უფლებაზე, არ შეასრულოს სამუშაო არასამუშაო საათებში.

ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელმა ორგანომ (HSA) ასევე გამოსცა სახელმძღვანელო მითითებები შინიდან მუშაობის შესახებ. დოკუმენტი დამსაქმებლებსა და დასაქმებულებს ეხმარება შინიდან მუშაობის მოთხოვნათა გააზრებაში. სახელმძღვანელო შეიცავს შინიდან მუშაობის რისკების შეფასებას/საკონტროლო სიას, რათა დამსაქმებლებსა და დასაქმებულებს დაეხმაროს შინიდან მუშაობის პირობების შეფასებაში ონლაინ შესავსები ფორმით (რომელიც მოცემულია დოკუმენტში).

f). თუ წინა დასკვნა მიღებულია შეუსაბამობის შესახებ, გთხოვთ, განმარტოთ, გამოსწორდა თუ არა პრობლემა და როგორ.

თუ წინა დასკვნა გადავადდა, ან შესაბამისობის შესახებ დასკვნა მიღებულია ინფორმაციის მოლოდინში, გთხოვთ, უპასუხოთ წამოჭრილ კითხვებს.

თავის 2014 წლის დასკვნებში კომიტეტმა დაადგინა, რომ ირლანდიაში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამებოდა ქარტიის 2§1 მუხლს, ვინაიდან სავაჭრო ნაოსნობის სექტორში დაშვებული საბაზო საათების რაოდენობა კვირაში იყო 72 საათამდე. მან ასევე მოითხოვა დამატებითი ინფორმაცია.

გთხოვთ, ჩვენი რეაგირება იხილოთ ქვემოთ.

### **რეაგირება**

#### **სამუშაო საათები სავაჭრო ნაოსნობაში**

ირლანდიის კანონმდებლობა სამუშაო დროის შესახებ, კერძოდ, სავაჭრო ნაოსნობის სექტორთან დაკავშირებული ნაწილი, ჩამოყალიბებულია ევროგაერთიანების („სავაჭრო ნაოსნობის შესახებ“) („სამუშაო დროის ორგანიზების შესახებ“) რეგულაციებში 2003 S.I. 532/2003, რომლებშიც ცვლილებები შევიდა („სავაჭრო ნაოსნობის შესახებ“) („სამუშაო დროის ორგანიზების შესახებ“) რეგულაციებით (ცვლილებით) 2014 S.I. N 245/2014. ეს დოკუმენტები ადგენს დასვენების მინიმალურ დროს – არანაკლებ 10 საათს 24 საათის განმავლობაში და 77 საათს ნებისმიერი 7 დღის განმავლობაში.

ეს რეგულაციები ახორციელებს და სრულად შეესაბამება ევროპის საბჭოს 1999/63/EC დირექტივის დანართის მე-5 დებულებას (შესწორებულით), ასევე, ახორციელებს და შეესაბამება საზღვაო ნაოსნობაში შრომის კონვენციის A2.3.5 სტანდარტს.

ირლანდია კმაყოფილია იმით, რომ ქვეყანაში არსებული მდგომარეობა შეესაბამება საერთაშორისო და ევროკავშირის სამართალს, ჩვენი კანონმდებლობა კი აკმაყოფილებს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას.

#### **კვირაში მაქსიმალურად დასაშვები სამუშაო საათების რაოდენობა ირლანდიაში**

ირლანდიაში სამოქალაქო დაცვის სამსახურების სამუშაო საათებს არეგულირებს 1998 წლის კანონი S.I. 52 „სამუშაო დროის ორგანიზების შესახებ“ (გამონაკლისია სამოქალაქო დაცვის სამსახურები), ასევე, 1998 წლის რეგულაციები, რომლებიც ეროვნულ კანონმდებლობაში გადმოტანილია სამუშაო დროის შესახებ დირექტივის მე-17 მუხლიდან და 2009 წლის SI 478-დან. თუმცა, ირლანდიისთვის ცნობილია, რომ ამ კანონმდებლობაში უნდა შევიდეს ცვლილებები, რათა ირლანდიაში სამოქალაქო დაცვის სამსახურების სამუშაო დრო შეესაბამებოდეს სამუშაო საათების შესახებ დირექტივის მოთხოვნებს. ამ საკითხზე მუშაობა გრძელდება.

პრაქტიკანტი ექიმებისთვის მაქსიმალური სამუშაო საათების საშუალო რაოდენობა კვირაში შეადგენს 48 საათს და მოქმედებს 2009 წლის 1 აგვისტოდან. 2010 წლის S.I. 553-მა შემდგომი ცვლილებები შეიტანა 2004 წლის S.I. 494-ში და გაითვალისწინა გადახრები შესვენებისა და დასვენების დებულებებიდან, როდესაც უზრუნველყოფილია კომპენსაციური დასვენების ტოლფასი პერიოდები.

ირლანდია (ჯანდაცვის აღმასრულებელი სამსახურის მეშვეობით) აგრძელებს მონიტორინგს სამუშაო დროის შესახებ ევროპული დირექტივის ძირითად დებულებებთან შესაბამისობაზე, როცა საქმე ეხება სავადმყოფოს არაკონსულტანტ ექიმებს, საშუალო სამუშაო კვირასა და ყოველდღიურ/ყოველკვირულ შესვენებებს, რისთვისაც ყველა ამ ადგილიდან აგროვებს ყოველთვიურ მონაცემებს. ასევე აღიარებულია, რომ COVID-19-ის პანდემიის გამო, ყველა საბედისწილო პერსონალი განსაკუთრებულად არის დატვირთული.

#### **გამოძახების რეჟიმი/არააქტიური პერიოდები**

გარდა ამისა, კომიტეტმა იკითხა, თუ რა წესები ვრცელდება გამოძახების რეჟიმზე და ითვლება თუ არა ამ რეჟიმის არააქტიური პერიოდები სრულ ან ნაწილობრივ დასვენების პერიოდებად.

გთხოვთ, ჩვენი რეაგირება იხილოთ ქვემოთ:

როგორც აღინიშნა, 1997 წლის კანონი „სამუშაო დროის ორგანიზების შესახებ“ „სამუშაო დროს“ განმარტავს, როგორც ნებისმიერ დროს, როცა დასაქმებული:

ა) იმყოფება სამუშაოზე ან მისი დამსაქმებლის განკარგულების ქვეშ; და

ბ) ასრულებს თავის სამუშაოსთან დაკავშირებულ საქმიანობას ან მოვალეობას.

ეს განმარტება მოიცავს ყველა ნამუშევარ საათს, მათ შორის, ჩვეულებრივი კონტრაქტით გათვალისწინებულ დროს, დამით მუშაობას, ზეგანაკვეთურ სამუშაოს, ცვლაში მუშაობას, არარეგულარულ სამუშაოს და ნებისმიერ დამატებით ან გაუთვალისწინებელ საათებს, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას. საბოლოო ჯამში, დამსაქმებელმა უნდა გაითვალისწინოს თანამშრომლის მიერ ნამუშევარი საათები (მათ შორის, სხვა დამსაქმებლისთვის), რათა არ დაარღვიოს OWTA-ის დებულებები.

ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს ბოლო გადაწყვეტილებებმა დაადგინა, რომ ლოდიინის დრო უნდა ჩაითვალოს სრულ სამუშაო საათებში, თუ ამ პერიოდში დაწესებული შეზღუდვები მნიშვნელოვნად აისახება პირის უნარზე, თავისუფლად მართოს საკუთარი დრო, რომლის განმავლობაშიც საჭირო არ არის მისი პროფესიული მომსახურება. ასეთი შეზღუდვების არარსებობის შემთხვევაში, სამუშაო დროდ უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ის სამუშაო საათები, რომელთა განმავლობაშიც შესრულდა ფაქტობრივი სამუშაო.

საბოლოო ჯამში, ჩაითვლება თუ არა გამოძახებაზე/ლოდიინში დახარჯული დრო „სამუშაო დროდ“, დამოკიდებულია კონკრეტული თანამშრომლის დასაქმების მდგომარეობასა და მასზე დაწესებულ შეზღუდვებზე. შრომის სასამართლოს რეკომენდაცია (LCR 20837) განმარტავს, რომ დასაქმებულთა მიერ გამოძახების რეჟიმში გატარებული დრო (როცა ფაქტობრივად არ მუშაობენ) აღიარებული უნდა იყოს სამუშაო დროდ. შრომით ურთიერთობათა კომისიის ინსპექტორატი საინსპექციო საქმიანობისას, ჩვეულებრივ, სამუშაო დროდ განიხილავს საათებს, როდესაც თანამშრომელი იმყოფება დამსაქმებლის განკარგულებაში და დამსაქმებლის მოთხოვნით ხელმისაწვდომია სამუშაოს შესასრულებლად. ეს, ძირითადად, შეესაბამება ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებებს სამუშაო დროის შესახებ.

N3 ცხრილში მოცემულია პასუხები ევროპის სოციალური ქარტიის (შესწორებული) 2§§2-7 მუხლის შესაბამისად წამოჭრილ კითხვებზე/საკითხებზე, რომლებიც არ მიემართებოდა ყველა იმ ქვეყანას, სადაც რატიფიცირებულია აღნიშნული დებულებები:

**ცხრილი N3**

**მუხლი 2 – უფლება შრომის სამართლიან პირობებზე**

შრომის სამართლიან პირობებზე უფლების ფაქტობრივად განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ:

...

2. უზრუნველყონ შრომის ანაზღაურება უქმე დღეებში;
3. უზრუნველყონ, სულ მცირე, ოთხკვირიანი ყოველწლიური ანა-ზღაურებადი შვებულება;
4. აღმოფხვრან რისკები, რომლებიც ახლავს საშიშპირობებიან და მავნე სამუშაოს, ხოლო სადაც ჯერჯერობით შეუძლებელია ამ რისკების აღმოფხვრა ან საკმარისად შემცირება, უზრუნველყონ სამუშაო საათების შემცირება ან დამატებითი ანაზღაურებადი შვებულება ასეთ სამუშაოში ჩართული მუშაკებისთვის;

5. უზრუნველყონ ყოველკვირეული დასვენების დრო, რომელიც, რამდენადაც შესაძლებელია, ემთხვევა ტრადიციითა თუ ჩვეულებით აღიარებულ დასვენების დღეს შესაბამის ქვეყანასა ან რეგიონში;
6. უზრუნველყონ, რომ მუშაკებს რაც შეიძლება მალე, თუმცა შრო-მითი ურთიერთობის დაწყებიდან არაუგვიანეს ორი თვისა, წე-რილობითი ფორმით მიეწოდოს ინფორმაცია ხელშეკრულების ან შრომითი ურთიერთობების არსებით პირობებზე.
7. უზრუნველყონ, რომ დამის სამუშაოზე დასაქმებული მუშაკები სარგებლობდნენ შედავათებით, რომლებიც ითვალისწინებს მათი სამუშაოს სპეციფიკას.

ა) ინფორმაცია არარის მოთხოვნილი შემდეგ დებულებებზე (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი ეხება პანდემიასთან დაკავშირებულ სპეციალურ ზომებს ან სამუშაოს ორგანიზების ცვლილებებს პანდემიის შემდეგ): უქმე დღეები (მუხლი 2 § 2); ყოველწლიური შვებულება (2§ 3); შემცირებული სამუშაო საათები შინაგანად სახიფათო ან არაჯანსაღ პროფესიებში, კერძოდ, ჯანმრთელობის შეფასება, მათ შორის, ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ზემოქმედება (2§4); ყოველკვირეული დასვენების პერიოდი (2§5); წერილობითი ინფორმაცია ან სამუშაო საათებთან დაკავშირებული ზომები (2§6); დამით მუშაობასთან დაკავშირებული ზომები და ჯანმრთელობის შეფასება, მათ შორის, ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ზემოქმედება (2§7).

ბ) თუ მე-2 მუხლის 2-7 პუნქტების დებულებებთან მიმართებით წინა ჯერზე დაიდო დასკვნა შეუსაბამობის შესახებ, გთხოვთ, განმარტოთ, გამოსწორდა თუ არა ეს პრობლემა და როგორ. თუ წინა დასკვნა გადავადდა ან შესაბამისობის შესახებ დასკვნა მიღებულია ინფორმაციის მოლოდინში, გთხოვთ, უპასუხოთ წამოჭრილ კითხვებს.

**რეაგირება, რომელიც მოცემულია ირლანდიის 2021 წლის ეროვნულ ანგარიშში ევროპის შესწორებული სოციალური ქარტიის შესახებ<sup>9</sup>**

2§2 მუხლი - მოთხოვნილი ინფორმაცია:

ვინაიდან სოციალურ უფლებათა ევროპულმა კომიტეტმა დაადგინა, რომ ირლანდია აკმაყოფილებს 2.2 მუხლის მოთხოვნებს, ამ დებულებაზე ინფორმაცია არ არის მოთხოვნილი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საქმე ეხება პანდემიასთან დაკავშირებულ სპეციალური ზომებს ან სამუშაოს ორგანიზების ცვლილებას პანდემიის შემდეგ.

**რეაგირება**

კანონი „სამუშაო დროის ორგანიზების შესახებ“ (OWTA) ითვალისწინებს უქმე დღეებს. კერძოდ, გარკვეული დღეები შეიძლება დაწესდეს უქმეებად. ამჟამად ირლანდიაში ცხრა ოფიციალური უქმე დღეა, რომლებიც ჩამოთვლილია OWTA-ის მე-2 თავის მე-2 მუხლში.

დღესდღეობით განიხილება დამატებითი უქმე დღეების უზრუნველყოფა პანდემიის შემდეგ, როგორც წახალისება წინა ხაზზე მომუშავე პერსონალისთვის და ეკონომიკის გასაძლიერებლად.

2§3 მუხლი - მოთხოვნილი ინფორმაცია:

ვინაიდან ECSR-მა დაადგინა, რომ ირლანდია აკმაყოფილებს 2§3 მუხლის მოთხოვნებს, ამ დებულებაზე ინფორმაცია არ არის მოთხოვნილი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საქმე ეხება პანდემიასთან დაკავშირებულ სპეციალური ზომებს ან სამუშაოს ორგანიზების ცვლილებას პანდემიის შემდეგ.



**რეაგირება**

*Covid-19-ის პანდემიის შედეგად, დასაქმებულის წლიური შვებულების უფლებაში ცვლილებები არ შესულა. 1997 წლის კანონი „სამუშაო დროის ორგანიზების შესახებ“ ისევ ითვალისწინებს, სულ მცირე, ოთხკვირიან შვებულებას წელიწადში..*

**2§4 მუხლი - მოთხოვნილი ინფორმაცია:**

*სოციალურ უფლებათა ევროპულმა კომიტეტმა მოითხოვა ინფორმაცია ამ მუხლის შესახებ, როცა საქმე ეხებოდა პანდემიასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სპეციალურ ზომას ან ორგანიზებაში ცვლილებებს პანდემიის შემდეგ.*

**რეაგირება**

*პანდემიასა და სამუშაოს ორგანიზებაში ცვლილებებთან დაკავშირებული სპეციალური ზომები გათვალისწინებულია შრომის უსაფრთხოების ეროვნულ ოქმში. სახელმძღვანელო მითითებები ვრცელდება საქმიანობის ყველა სექტორზე.*

**შესაბამობა 2§4 მუხლთან**

*თავის 2014 წლის დასკვნებში კომიტეტმა დაადგინა, რომ ირლანდიაში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 2§4 მუხლს, ვინაიდან არ დადგენილა, რომ მუშაკებს, რომლებსაც ექმნებათ ჯანმრთელობის პროფესიული რისკები, რისკის აღმოფხვრის არსებული პოლიტიკის მიუხედავად, უფლება აქვთ შესაბამის საკომპენსაციო ზომებზე.*

*გთხოვთ, ჩვენი რეაგირება იხილოთ ქვემოთ.*

**რეაგირება**

*ირლანდიაში შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობა არ ეხება კომპენსაციას მუშაკის მიერ რისკის შემოქმედებისთვის.*

*როგორც წინა ანგარიშში იყო მოხსენებული, ირლანდია კვლავაც რჩება იმ პოზიციაზე, რომ შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის პრობლემების გადასაჭრელად, საუკეთესო გზა არის საფრთხის განსაზღვრა, რისკის შეფასება და, შედეგად, მისი მართვა, და არა დასაქმებულთათვის ფინანსური ანაზღაურების ან დამატებითი შვებულების მიცემა საშიში სამუშაოს შესრულებისთვის.*

*ეს ეფუძნება პრევენციის ზოგად პრინციპებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია ევროკავშირის დირექტივაში 89/391/EC „სამუშაო ადგილზე მუშაკთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესების წამახალისებელი ზომების დანერგვის შესახებ“ და 2005 წლის კანონში „სამუშაო ადგილზე უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესახებ“ (თავი 3).*

## ინფორმაციის წყაროები

---

ეროვნული ანგარიშების მოსამზადებლად გამოყენებული ინფორმაცია გამოთხოვილი უნდა იყოს ხელისუფლების ორგანოებისგან, ასევე, ღია საინფორმაციო წყაროებიდან (ოფიციალური ვებსაიტები, პუბლიკაციები და განსახილველ საკითხებთან დაკავშირებული ანგარიშები). დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ანგარიშში გაშუქებულ საკითხებში სპეციალიზებულ ორგანიზაციებსა და პროფესიონალებთან კონსულტაციით.

თუ მოთხოვნილია სტატისტიკური მონაცემები ნებისმიერი დებულებისთვის, ან ხელმიუწვდომელია სრული სტატისტიკური მონაცემები, ანგარიშის შემდგენლებს შეუძლიათ, მონაცემები ან შეფასებები დააყრდნონ სპეციალურ კვლევებს, სპეციალიზებულ თუ შერჩევით კვლევებს, ან სხვა მეცნიერულად დასაბუთებულ მეთოდებს, თუ ამგვარად შეგროვებულ ინფორმაციას სასარგებლოდ მიიჩნევენ. ამასთანავე, მონაცემთა შესაგროვებლად საჭირო ადმინისტრაციული ძალისხმევა უნდა იყოს ინფორმაციის მიღების სურვილის თანაზომიერი.

### ეროვნული წყაროები (არასრული):

- ▶ ანგარიში სამთავრობო ინსტიტუტებისა და სააგენტოების შესახებ;
- ▶ სახალხო დამცველის (ან მონიტორინგის სხვა მექანიზმების) ანგარიშები;
- ▶ სტატისტიკა და მონაცემები, ოფიციალური განცხადებები;
- ▶ ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების, არასამთავრობო ორგანიზაციების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და სამეცნიერო წრეების ანგარიშები.

## ანგარიშის მომზადებაში ჩართული სხვადასხვა უწყების კონტაქტები და მოტივაცია

**ანგარიში უნდა მომზადდეს საქართველოს შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისა და დაწესებულებების კონსოლიდირებული მუშაობით.**

პროცესში ჩართულ მონაწილეთა მთავარი მოტივაცია უნდა იყოს საქართველოს დაახლოება სოციალური სტანდარტების დაცვასთან, ასევე, ევროპის (შესწორებული) სოციალური ქარტიის მოთხოვნათა უკეთ გააზრება, რათა პრაქტიკაში სოციალური უფლებები განხორციელდეს ევროპის საბჭოს სტანდარტთა შესაბამისად.

პერიოდული ანგარიშგება ევროპის სოციალური ქარტიის განხორციელებაზე საქართველოს დაეხმარება, რომ შეაფასოს შესაბამისობა სოციალურ უფლებათა სტანდარტებთან, კერძოდ, ისეთი გზებით, როგორცაა თვითშეფასება, ეროვნული დიალოგის ხელშეწყობა, და წვდომა სხვა ევროპული ქვეყნების საერთაშორისო ექსპერტთა რჩევებსა და გამოცდილებაზე. პერიოდული ანგარიშების მომზადების ეროვნული პროცესი საქართველოს საშუალებას აძლევს, რომ შეაჯამოს და კრიტიკულად შეაფასოს სოციალურ უფლებებსა და შესაბამის სტანდარტებთან მიმართებით არსებული ვითარება. ამით მას ეძლევა შესაძლებლობა:

- ▶ ყოვლისმომცველად მიმოიხილოს ზომები, რომლებიც მიღებულია შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის, პოლიტიკის, პროგრამებისა და პრაქტიკის დასაახლოებლად ევროპის სოციალური ქარტიის შესაბამის დებულებებთან; მონიტორინგი გაუწიოს ევროპის სოციალური ქარტიით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობასა და მათ განხორციელებაში მიღწეულ პროგრესს საქართველოში;
- ▶ განსაზღვროს პრობლემები და ხარვეზები, ასევე, მიღწევები განხორციელების კუთხით;
- ▶ დაგეგმოს, შეადგინოს და მიიღოს შესაბამისი კანონები, პოლიტიკა და პროგრამები ევროპის სოციალური ქარტიასთან შესაბამისობის გასაუმჯობესებლად.

საქართველოს ეროვნული ანგარიში უნდა გახდეს მთავარი მიუკერძოებელი დოკუმენტი ანგარიშგების პროცესში და აწვდიდეს **ფოკუსირებულ ინფორმაციასა და ანალიზს** ევროპის სოციალური ქარტიის **განხორციელების სტატუსზე**, ასევე, **პრობლემურ საკითხებსა და ხარვეზებზე**.

ქარტიის ფარგლებში ანგარიშგება საქართველოს უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს, რომ გააუმჯობესოს კოორდინაცია მთავრობის შიგნით, ასევე, კონსულტაციები, დიალოგი და პარტნიორობა ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებსა (NHRI) და სამოქალაქო საზოგადოებასთან, კანონმდებლობის, პოლიტიკისა და პრაქტიკის შესაფასებლად. ნებისმიერი ასეთი დიალოგი უნდა წარიმართოს თანამშრომლობისა და ურთიერთპატივისცემის კონსტრუქციული სულისკვეთებით, რათა ხელი შეუწყოს ყველა შესაბამის პირს ქარტიით დაცული სოციალური უფლებებით სარგებლობაში.

ანგარიშგების მონაწილეობითი და საკონსულტაციო პროცესი ამადლებს საზოგადოების ცნობიერებას ქარტიით გათვალისწინებულ სოციალურ უფლებებზე; საზოგადოებას აწვდის

ინფორმაციას საქართველოს მიერ ქარტიის შესასრულებლად გატარებული ზომებზე; პარტნიორობას მოუწოდებს, გააუმჯობესოს ქარტიის განხორციელება; ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარისგან (მათ შორის, მთავრობისგან) ითხოვს ჩართულობას, იდეებს, წინადადებებსა და კვალიფიციურ რჩევებს ქარტიის უკეთ შესასრულებლად. და რაც მთავარია, ეროვნული ანგარიშების პროცესში მონაწილეობით, შესაბამისი სამინისტროები და დაწესებულებები, ასევე, დამოუკიდებელი დაინტერესებული მხარეები, პასუხისმგებლობას იღებენ ანგარიშებაზე, რის შედეგადაც ისინი აქტიურად დაკონსტრუქციულად მონაწილეობენ ქარტიის დებულებათა შესრულებაში.

#### **ანგარიშების სარგებელი**

- ▶ ევროპის სოციალურ ქარტიასთან შესაბამისობის თვითშეფასება;
- ▶ ეროვნული დიალოგის სტიმულირება ევროპული სოციალური სტანდარტების დანერგვაზე.

#### **ანგარიშების ეფექტიან ეროვნულ მექანიზმს უნდა ჰქონდეს შემდეგი ძირითადი შესაძლებლობები:**

- ▶ **ქარტიის შესაბამისად, ანგარიშების პროცესში ჩართული ყველა მონაწილის კოორდინაცია.** ეს მოიცავს შესაძლებლობას/უფლებამოსილებას, რომ ორგანიზება და კოორდინაცია გაეწიოს ინფორმაციისა და მონაცემების შეგროვებას სამთავრობო უწყებებისგან, ასევე, სხვა სახელმწიფო სუბიექტებისგან, როგორცაა შესაბამისი სამინისტროები, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ანგარიშგებასა და რეკომენდაციათა შესრულებაზე მონიტორინგის სამსახურები. აღნიშნული მოითხოვს, მაგალითად, ყოველწლიური სამუშაო გეგმების შემუშავებას, ყველა შესაბამისი სამინისტროს ჩართულობით.
- ▶ **კონსულტაციების გაწევა ანგარიშების ეროვნულ მექანიზმზე,** მაგალითად, შემდეგი ფორმით: ცენტრალური ჰუნქტის გამოყოფა სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციისთვის; რეგულარული შეხვედრები სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან; ელფოსტის ადრესატთა სიის შედგენა და ა.შ.

## წარმოდგენილი მასალების კოორდინაცია და სინთეზი

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო პასუხისმგებელია, რომ თითოეული საანგარიშო პერიოდისთვის მომზადდეს ეროვნული ანგარიშები ევროპის სოციალური ქარტიის დებულებათა შესრულებაზე. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს ოფიციალურ ანგარიშებთან ერთად, შესაძლოა, ალტერნატიული ანგარიშებიც მომზადდეს სხვადასხვა შემდგენლის ძალისხმევით. მაგალითად, 2023 წელს ორი ალტერნატიული ანგარიში/კომენტარები წარადგინეს საქართველოს ხელისუფლების 2022 წლის 30 დეკემბრის მე-16 ეროვნულ ანგარიშზე ევროპის სოციალური ქარტიის განხორციელების შესახებ: ერთი - საქართველოს სახალხო დამცველის ოფისმა, ხოლო მეორე - ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, სოციალური სამართლიანობის ცენტრმა და ორგანიზაციამ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის“<sup>10</sup>

ქარტიაზე ანგარიშების მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, ანგარიშის შემდგენლებმა ანგარიშების პროცესი უნდა გახადონ რაც შეიძლება ქმედითი და ეფექტიანი. ამისათვის უნდა გადაიდგას შვიდი პრაქტიკული ნაბიჯი, რომელთა მიზანია მეთოდოლოგიის შეთავაზება ანგარიშების მომზადების გასამარტივებლად:

1. დაგეგმვა და ორგანიზება
2. ძირითადი საკითხების განსაზღვრა
3. ინფორმაციისა და მონაცემების შეგროვება
4. მონაცემთა ანალიზი და ანგარიშის პროექტის შედგენა
5. კოორდინაცია და კონსულტაცია შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან
6. ანგარიშის დასრულება და დამტკიცება
7. ანგარიშის წარდგენა

### დაგეგმვა და ორგანიზება

ანგარიშის შედგენაზე ძირითადი პასუხისმგებლობა მკაფიოდ ეკისრება ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს. ანგარიშების პროცესი მოითხოვს ყველა შესაბამისი სამინისტროსა თუ ორგანოს მონაწილეობასა და ვალდებულებას, უმაღლესი დონის ხელმძღვანელობიდან ოპერატიული დონის პერსონალამდე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოლიტიკური ხელმძღვანელობის ინტერესი და მხარდაჭერა ანგარიშისადმი საერთო მიდგომის უზრუნველსაყოფად, აგრეთვე, ძლიერი სიგნალის გაგზავნა ყველა შესაბამისი დარგობრივი სამინისტროსა და სამთავრობო უწყებისთვის, რომ ითანამშრომლონ ანგარიშის მომზადებასა და შესაბამისი რეკომენდაციების შესრულებაში. ეს დაეხმარება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ანგარიშების ჯგუფს, რომ ეფექტიანად შეასრულოს თავისი ამოცანა.

ანგარიშის მომზადება შრომატევადი პროცესია, რომელიც მოითხოვს ძირითადად ადამიანურ რესურსებში ინვესტირებას. ეფექტიანი ანგარიშის შედგენის პროცესს, როგორც წესი, სჭირდება

10 <https://www.coe.int/en/web/european-social-charter/georgia>



6-დან 12 თვემდე. ხელმისაწვდომი რესურსების საუკეთესოდ გამოყენებისათვის, აღნიშნულ სამინისტროს ეძლევა რეკომენდაცია, ყურადღებით დაგეგმოს ანგარიშგების პროცესი.

ასევე რეკომენდებულია, ანგარიშის თითოეული ნაწილის მოსამზადებლად შემუშავდეს კონკრეტული სამუშაო გეგმა, მკაფიო ვადების მითითებით (მონაცემთა შეგროვების, პროექტის შედგენისა თუ შეხვედრებისთვის); ამასთანავე, განაწილდეს პასუხისმგებლობები ანგარიშის მომზადების პროცესში ჩართულ სხვადასხვა სუბიექტს შორის (მაგ: ცენტრალური პუნქტები სამინისტროებში ინფორმაციის გასაცვლელად), მათ შორის, კონსტრუქციულ დიალოგში მონაწილეობისათვის.

### ■ ძირითადი საკითხების განსაზღვრა

ინფორმაციისა და მონაცემთა შეგროვების პროცედურის დაწყებამდე, პროექტის შემდგენელთა ჯგუფმა უნდა შეიმუშაოს შესაბამისი საკითხების სია, რომლებზეც ყურადღება გამახვილდება ანგარიშში. ამ სიის საფუძველზე, პროექტის ჯგუფი ადგენს ანგარიშის მოსამზადებლად საჭირო ინფორმაციის სიას (უკვე არსებული კანონმდებლობა და პოლიტიკა, პროგრამები ქარტიის კონკრეტულ დებულებათა შესასრულებლად და საკითხები, რომლებსაც მეტი ყურადღება მიექცევა ანგარიშში).

პროექტის შემდგენელთა ჯგუფმა უნდა იცოდეს, ვის აქვს ეს ინფორმაცია და რა ფორმით. ამიტომ, მას შეიძლება სურდეს ინფორმაციის ყველა მნიშვნელოვანი წყაროს შეტანა სიაში, შესაბამისი სამთავრობო უწყებების ჩათვლით, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეთ კონკრეტული ანგარიშის მოსამზადებლად საჭირო ინფორმაცია.

### ■ ინფორმაციისა და მონაცემების შეგროვება

ანგარიშის მოსამზადებლად საჭირო მონაცემებისა და ინფორმაციის შეგროვებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კითხვებს, რომლებიც მიემართება ევროპის სოციალური ქარტიის გამოყენების სფეროს კონკრეტულ საანგარიშგებო ციკლში. მათ აქვეყნებს სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი.

იმისათვის, რომ განისაზღვროს ანგარიშის პროექტის შესადგენად საჭირო ყველა მოთხოვნა, პროექტის შემდგენელთა ჯგუფის წევრები სრულად უნდა იცნობდნენ სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის დასკვნებს, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეზოლუციებს, ასევე, მის რეკომენდაციებს საქართველოსთან მიმართებით.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციების გასაცნობად, იხილეთ შემდეგი ბმული: [https://hudoc.esc.coe.int/eng/#{%22sort%22:\[%22ESCPublicationDate%20Descending%22\],\[%22ESCDcType%22:\[%22FOND%22,%22Conclusion%22,%22Ob%22\],\[%22ESCStatePart%22:\[%22GEO%22\]}](https://hudoc.esc.coe.int/eng/#{%22sort%22:[%22ESCPublicationDate%20Descending%22],[%22ESCDcType%22:[%22FOND%22,%22Conclusion%22,%22Ob%22],[%22ESCStatePart%22:[%22GEO%22]})

პროექტის შემდგენელთა ჯგუფი უნდა იცნობდეს წყაროებსაც, რომლებიც შეიძლება სასარგებლო იყოს ანგარიშში ჩასართავი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების განსაზღვრისთვის (მაგ: შესაბამისი ანგარიშები სამთავრობო ინსტიტუტების/უწყებებისა და მონიტორინგის მექანიზმებისგან; სტატისტიკა და მონაცემები (მათ შორის, სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციებისგან) ქვეყანაში კონკრეტული კუთხით არსებულ მდგომარეობაზე; ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების, არასამთავრობო ორგანიზაციების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და სამეცნიერო წრეების ოფიციალური განცხადებები, ანგარიშები და ა.შ.).

### ■ მონაცემთა ანალიზი და ანგარიშის პროექტის შედგენა

ანგარიშისთვის საჭირო ინფორმაციის შეგროვების შემდეგ, პროექტის შემდგენელთა ჯგუფი იწყებს ინფორმაციის გაანალიზებას და ანგარიშის წერას. უპირველეს ყოვლისა, ჯგუფმა უნდა შეისწავლოს კანონები, პოლიტიკა და პრაქტიკა, რათა დადგინდეს, რამდენად მიემართება ისინი ანგარიშში განსახილველ საკითხებს, ქარტიის დებულებათა შესაბამისად. დოკუმენტში ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია აღნიშნული ზომების ზეგავლენაზე.

**კოორდინაცია და კონსულტაცია შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან**

შემდგენლებს შეიძლება მიეცეთ რეკომენდაცია, რომ განიხილონ პროექტის დაინტერესებულ მხარეთა შორის გავრცელების გზები. ამგვარი საჯარო კონსულტაციები შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან – მათ შორის, ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებთან, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან – უნდა იძლეოდეს ანგარიშის პროექტზე უკუკავშირის შესაძლებლობას. ეს პროცესი, მიუხედავად იმისა, რომ შრომატევადია, გააუმჯობესებს ანგარიშის ხარისხს.

**ალტერნატიული ანგარიშები**

**განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დაინტერესებულ მხარეთა მიერ (მაგ: არასამთავრობო ორგანიზაციები, ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები) მომზადებულ ალტერნატიულ (ჩრდილოვან) ანგარიშებს.**

2023 წელს ორი ალტერნატიული ანგარიში/კომენტარები წარადგინეს საქართველოს ხელისუფლების 2022 წლის 30 დეკემბრის მე-16 ეროვნულ ანგარიშზე ევროპის სოციალური ქარტიის განხორციელების შესახებ: ერთი - საქართველოს სახალხო დამცველის ოფისმა, ხოლო მეორე - ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, სოციალური სამართლიანობის ცენტრმა და ორგანიზაციამ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის.“<sup>11</sup>

**2023 წლის ალტერნატიული ანგარიშის/კომენტარების გასაცნობად, იხილეთ ბმული:**

<https://rm.coe.int/comments-public-defender-s-office-of-georgia-16-nr-2023/1680ac56c8>

<https://rm.coe.int/comments-gyla-sjc-phr-georgia-16-nr-2023/1680ac56c9>

**ანგარიშის დასრულება და დამტკიცება**

სხვა დაინტერესებულ მხარეებთან შიდა კოორდინაციისა და კონსულტაციის შემდეგ, შემდგენელთა ჯგუფმა უნდა გადახედოს ანგარიშის პროექტს (მიღებული კომენტარებისა და გამომხაურებების საფუძველზე) და მოამზადოს საბოლოო ვერსია.

**ანგარიშის წარდგენა**

ანგარიში ელექტრონული ფორმით უნდა გაიგზავნოს მისამართზე [DGI-ESC-Reporting-System@coe.int](mailto:DGI-ESC-Reporting-System@coe.int).

**ყოველწლიური ანგარიშის მომზადების მთავარ მონაწილეთა რუკა**

თემატური ჯგუფები	თანამშრომლობა შესაბამის სამინისტროებთან, სააგენტოებსა და ინსტიტუტებთან
<p><b>ჯგუფი 1</b> (მუხლები 1, 2, 3, 4, 5, 6, 8, 9, 10, 18, 19, 20, 21, 22, 24, 25, 28, 29)</p>	<p>საბოლოო ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირი და პროცესის კოორდინატორია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შემდეგ ორგანოებთან თანამშრომლობით:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>▶ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო</li> <li>▶ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო</li> <li>▶ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო</li> <li>▶ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო</li> <li>▶ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო</li> <li>▶ სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური</li> <li>▶ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური</li> <li>▶ სოციალური მომსახურების სამსახური</li> <li>▶ საქართველოს მედიატორთა ასოციაცია</li> <li>▶ საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება</li> <li>▶ საქართველოს დამსაქმებელთა გაერთიანება</li> </ul>

11 <https://www.coe.int/en/web/european-social-charter/georgia>

**ჯგუფი 2**

**(მუხლები 7, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 23, 26, 27, 30, 31)**

საბოლოო ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირი და პროცესის კოორდინატორია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შემდეგ ორგანოებთან თანამშრომლობით:

- ▶ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
- ▶ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
- ▶ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
- ▶ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
- ▶ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო
- ▶ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
- ▶ სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური
- ▶ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
- ▶ საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება
- ▶ საქართველოს დამსაქმებელთა გაერთიანება

## პრაქტიკული სირთულეები (საბოლოო ვადების დაცვა, ენობრივი პრობლემები და ა.შ.)

ევროპის სოციალური ქარტიის ფარგლებში ანგარიშის მომზადება მთელ რიგ პრაქტიკულ სირთულეებსა და გამოწვევებს უკავშირდება. განვსაზღვროთ ზოგიერთი მათგანი:

### ადამიანური შესაძლებლობები

არასაკმარისი ადამიანური რესურსები ანგარიშის მოსამზადებლად. ანგარიშის მომზადების პროცესში ჩართულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მხოლოდ 2-3 თანამშრომელი. გარდა ამისა, ისინი ასრულებენ სხვა ფუნქციებსაც, რაც დიდ პრობლემას უქმნის ანგარიშის მომზადების ხარისხსა და პროცესის კოორდინაციას. ამ პრობლემის გადასაჭრელად, აუცილებელია პროცესზე პასუხისმგებელ პირთა შესაძლებლობების გაძლიერება შესაბამისი ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების მეშვეობით. ამასთანავე, რეკომენდებულია, გაძლიერდეს ანგარიშის მომზადების სხვადასხვა კომპონენტის კოორდინაცია და სამუშაო ჯგუფებში აქტიურად ჩაერთონ ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც. სხვადასხვა ორგანიზაციის მხრიდან რამდენიმე ალტერნატიული ანგარიშის მომზადების ნაცვლად, ძალისხმევა უნდა ფოკუსირდეს ერთიანი, მაღალხარისხიანი ანგარიშის მომზადებაზე, რომელიც სრულ ინფორმაციას მიაწვდის საქართველოში ევროპის სოციალური ქარტიის განხორციელების სტატუსზე.

### აუცილებელი ინფორმაციის მოპოვება

ანგარიშის მომზადებისას ხშირად ჩნდება ინფორმაციის მოპოვების სირთულეები. ცენტრალური აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი მთავრობების ორგანოები არ აწვდიან შესაბამის ინფორმაციას, ან ამ ინფორმაციის შინაარსი შეიძლება არ აკმაყოფილებდეს ანგარიშის მოსამზადებლად საჭირო მოთხოვნებს/ფარგლებს. პრობლემის გადასაჭრელად, აუცილებელია, გაძლიერდეს ყველა სახის კონსულტაცია, სხვადასხვა სამინისტროსა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა ჩართულობა პროცესში, ასევე, შესაბამისი ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები ანგარიშის პროექტის შემდგენელთათვის.

### ინფორმაციის კონსოლიდაცია

ხშირად რთულია სხვადასხვა სამინისტროდან და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოდან მიღებული ინფორმაციის გაერთიანება, რადგან ის შეიძლება წარმოდგენილი იყოს სხვადასხვა ფორმატით და განსხვავებული მოცულობის შინაარსით. ამ პრობლემის გადასაჭრელად, რეკომენდებულია, მომზადდეს ერთიანი ფორმა, კითხვების ნაკრები, ან თუნდაც გარკვეული მითითებები მოთხოვნილი ინფორმაციისა და მონაცემების ფორმატსა და მოცულობაზე. ეს მიდგომა მოგვცემთ ინფორმაციის უნიფიცირების საშუალებას, ასევე, გაამარტივებს ანგარიშის მოსამზადებლად საჭირო მონაცემთა დამუშავებასა და კონსოლიდაციას. ვიდრე დაცული იქნება სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის მიზნობრივ კითხვებზე პასუხის გაცემის პრაქტიკა, შესაძლოა, რეკომენდებული იყოს ამ კითხვების შეტანა ერთიან ფორმაში/კითხვარში, რომელიც იგზავნება ყველა სამინისტროში, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებსა და სხვა ინსტიტუტებში.

### ■ საბოლოო ვადების დაცვა

ანგარიშგების დროულობა მნიშვნელოვანი საკითხია საქართველოსთვის, რათა შეასრულოს ევროპის სოციალური ქარტიის განხორციელების სტატუსსა და პროგრესზე ანგარიშგების ვალდებულებები. მაგალითად, მე-15 ანგარიში მან, 2021 წლის 31 დეკემბრის ნაცვლად, წარადგინა 2022 წლის იანვარში, ანუ დაგვიანებით, ბოლო, მე-16 ანგარიში კი გაგზავნა დროულად - 2022 წლის 30 დეკემბერს.

### ■ ენობრივი სირთულები

ხშირად იქმნება სირთულები საქართველოსთან დაკავშირებული ანგარიშების, მათზე დასკვნებისა და რეკომენდაციების თარგმნისას. ამ პრობლემის გადასაჭრელად, რეკომენდებულია ახალი რესურსების კვლევა საქართველოს საერთაშორისო ტექნიკური განვითარების პროექტების ფარგლებში. გარდა ამისა, საჭირო ინფორმაციის თარგმნის საკითხის გადასაჭრელად, შეიძლება რეკომენდებული იყოს პროცესში საგარეო საქმეთა სამინისტროს ჩართვა, ასევე, ნებისმიერი შესაბამისი დახმარება დონორთა მიერ დროებით საფუძველზე დაფინანსებული სხვადასხვა პროექტიდან და რესურსიდან, რომლებიც მიზნობრივ ტექნიკურ მხარდაჭერას/დახმარებას უწევენ საქართველოს.



## ანგარიშგება პირველი ჯგუფის მიხედვით

**პირველი ჯგუფის დებულებებში შედის:** შრომის უფლება (მუხლი 1), უფლება შრომის სამართლიან პირობებზე (მუხლი 2); უფლება უსაფრთხო და ჯანსაღ სამუშაო გარემოზე (მუხლი 3); უფლება შრომის სამართლიან ანაზღაურებაზე (მუხლი 4); ორგანიზების უფლება (მუხლი 5); კოლექტიური მოლაპარაკების უფლება (მუხლი 6); დასაქმებულ ქალთა უფლება დედობის დაცვაზე (მუხლი 8); პროფესიული ორიენტაციის უფლება (მუხლი 9), პროფესიული მომზადების უფლება (მუხლი 10); სხვა მხარეთა ტერიტორიაზე ანაზღაურებადი საქმიანობის უფლება (მუხლი 18); შრომითი მიგრანტებისა და მათი ოჯახების უფლება დაცვასა და დანმარებაზე (მუხლი 19); თანაბარი შესაძლებლობებითა და თანასწორი მოპყრობით სარგებლობის უფლება დასაქმებისა და პროფესიული საქმიანობის სფეროში, სქესის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე (მუხლი 20); ინფორმაციისა და კონსულტაციის მიღების უფლება (მუხლი 21); სამუშაო პირობებისა და სამუშაო გარემოს განსაზღვრასა და გაუმჯობესებაში მონაწილეობის მიღების უფლება (მუხლი 22); დაცვის უფლება შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევებში (მუხლი 24); მუშაკთა უფლება თავიანთი მოთხოვნების დაცვაზე დამსაქმებლის გადახდისუუნარობის შემთხვევაში (მუხლი 25); მუშაკთა წარმომადგენლების უფლება დაცვასა და შეღავათებზე საწარმოში (მუხლი 28); ინფორმაციისა და კონსულტაციის მიღების უფლება კოლექტიური დათხოვნის პროცედურებში (მუხლი 29).

**ზემოაღნიშნული ჯგუფიდან საქართველომ მიიღო ყველა დებულება, გარდა მუხლებისა: 253, 254, 256, 3, 451, 455, 851, 852, 9, 1051, 1053, 1055, 21, 22, 24, 25 და 28.**

საქართველოსთვის პირველი ჯგუფის დებულებებზე ანგარიშგების უახლოესი ვადაა 2024 წელი - ეროვნული ანგარიში მან უნდა წარადგინოს 2024 წლის 31 დეკემბრამდე და პასუხობდეს კითხვებს, რომლებსაც შეადგენს და თავის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოაქვეყნებს სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი 2024 წელს.

## ანგარიშგება მეორე ჯგუფის მიხედვით

**მეორე ჯგუფის დებულებებში შედის:** ბავშვებისა და ახალგაზრდების უფლება დაცვაზე (მუხლი 7); ჯანმრთელობის დაცვის უფლება (მუხლი 11), სოციალური უზრუნველყოფის უფლება (მუხლი 12), სოციალური და სამედიცინო დახმარების უფლება (მუხლი 13), სოციალური უზრუნველყოფის სამსახურებით სარგებლობის უფლება (მუხლი 14); შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებლობის, სოციალური ინტეგრაციისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება (მუხლი 15); ოჯახის უფლება სოციალურ, იურიდიულ და ეკონომიკურ დაცვაზე (მუხლი 16); ბავშვებისა და ახალგაზრდების უფლება სოციალურ, იურიდიულ და ეკონომიკურ დაცვაზე (მუხლი 17); ხანდაზმულ პირთა უფლება სოციალურ დაცვაზე (მუხლი 23); სამუშაო ადგილზე ღირსების დაცვის უფლება (მუხლი 26); ოჯახური ვალდებულებების მქონე მუშაკთა უფლება თანაბარ შესაძლებლობებსა და თანასწორ მოპყრობაზე (მუხლი 27); სიღარიბისა და სოციალური გარიყულობისაგან დაცვის უფლება (მუხლი 30); უფლება საცხოვრებელზე (მუხლი 31).

**ზემოაღნიშნული ჯგუფიდან საქართველომ მიიღო ყველა დებულება, გარდა მუხლებისა 12§2, 12§4, 13, 15§1, 15§2, 16, 17§2, 23, 30 და 31.**

საქართველოსთვის მეორე ჯგუფის დებულებებზე ანგარიშგების უახლოესი ვადაა 2026 წელი - ეროვნული ანგარიში მან უნდა წარადგინოს 2026 წლის 31 დეკემბრამდე და პასუხობდეს კითხვებს, რომლებსაც შეადგენს და თავის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოაქვეყნებს სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი, სავარაუდოდ, 2026 წელს.

## ანგარიშგების გამოცდილება 2023 წლამდე არსებული პროცედურის მიხედვით - ბოლო ანგარიში მე-3 თემატურ ჯგუფზე „შრომითი უფლებები“ (ეროვნული ანგარიში 2021 – დასკვნები 2022)

**შრომითი უფლებები (ევროპის სოციალური ქარტიის მე-3 თემატური ჯგუფი)** მოიცავს შემდეგ საკითხებს: უფლება შრომის სამართლიან პირობებზე (მუხლი 2), უფლება შრომის სამართლიან ანაზღაურებაზე (მუხლი 4), ორგანიზების უფლება (მუხლი 5), კოლექტიური მოლაპარაკების უფლება (მუხლი 6), ინფორმაციისა და კონსულტაციის მიღების უფლება (მუხლი 21), სამუშაო პირობებისა და სამუშაო გარემოს განსაზღვრასა და გაუმჯობესებაში მონაწილეობის უფლება (მუხლი 22), სამუშაო ადგილზე ღირსების დაცვის უფლება (მუხლი 26), მუშაკთა წარმომადგენლების უფლება დაცვასა და შეთავაზებზე საწარმოში (მუხლი 28) და ინფორმაციისა და კონსულტაციის მიღების უფლება კოლექტიური დათხოვნის პროცედურებში (მუხლი 29).

**ზემოაღნიშნული ჯგუფიდან საქართველომ მიიღო ევროპის სოციალური ქარტიის ყველა დებულება, გარდა მუხლებისა: 2§3, 2§4, 2§6, 4§1, 4§5, 21, 22 და 28.**

ბოლო ანგარიში ამ საკითხზე (მე-15 ეროვნული ანგარიში ევროპის სოციალური ქარტიის განხორციელებაზე) საქართველომ წარადგინა 2022 წლის 13 იანვარს.<sup>12</sup> საანგარიშო პერიოდი გრძელდებოდა 2017 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრამდე. დასკვნები მე-3 ჯგუფის დებულებებზე გამოქვეყნდა 2023 წლის იანვარში. აღნიშნულ დასკვნებში სოციალურ უფლებათა ევროპულმა კომიტეტმა გამოაქვეყნა:

■ **11 დასკვნა შეუსაბამობის შესახებ:**

მუხლები 2§1, 2§2, 2§7, 4§3, 4§4, 6§1, 6§2, 6§4, 26§1, 26§2 და 29.

**2 დასკვნა შეფასების გადავადებაზე, ინფორმაციის არარსებობის გამო:**

მუხლები 4§2 და 5

■ **დასკვნები შესაბამისობის შესახებ, კონკრეტული ინფორმაციის მიღებამდე.**

არცერთი

**დასკვნები შეუსაბამობის შესახებ:**

<sup>12</sup> საქართველოს მთავრობა, მე-11 ეროვნული ანგარიში ევროპის სოციალური ქარტიის განხორციელების შესახებ, 03.11.2017, ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://rm.coe.int/11th-national-report-from-georgia/168077630a>.

### მუხლი 2§1

„კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული ვითარება არ შეესაბამება ქარტიის 2§1 მუხლს, ვინაიდან არ არსებობს შესაბამისი უწყება, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს ყოველდღიური და ყოველკვირეული სამუშაო დროის ლიმიტების დაცვას პრაქტიკაში.“

### მუხლი 2§2

„კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული ვითარება არ შეესაბამება ქარტიის 2§2 მუხლს, ვინაიდან სახელმწიფო უქმე დღეებში შესრულებული სამუშაო ადეკვატურად არ ანაზღაურდება.“

### მუხლი 2§7

„კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული ვითარება არ შეესაბამება ქარტიის 2§7 მუხლს, ვინაიდან დამის სამუშაოზე დასაქმებულებს ფაქტობრივად არ უტარდებათ სავალდებულო რეგულარული სამედიცინო შემოწმება.“

### მუხლი 4§3

„კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული ვითარება არ შეესაბამება ქარტიის 4§3 მუხლს ვინაიდან:

- ▶ არ არსებობს აშკარა საკანონმდებლო გარანტია ქალებისა და კაცების თანაბარი სამუშაოს ან თანაბარი ღირებულების სამუშაო თანაბრად ანაზღაურებისათვის;
- ▶ ჯერ არ დადგენილა, რომ თანაბარ ანაზღაურებასთან დაკავშირებულ დავებში კანონმდებლობა იძლევა კომპანიებს შორის ანაზღაურების შედარების უფლებას.“

### მუხლი 4§4

კომიტეტი ითვალისწინებს, რომ საქართველოში არსებული ვითარება არ შეესაბამება ქარტიის 4§4 მუხლს, ვინაიდან:

- ▶ შრომის კოდექსი არ ადგენს განსხვავებულ შეტყობინების პერიოდებს ხელშეკრულებათა შეწყვეტისთვის, არც სტაჟის პროპორციულ ანაზღაურებას სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევაში;
- ▶ შეტყობინების ვადა არ არის გათვალისწინებული, როდესაც შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა განპირობებულია ლიკვიდაციის საქმისწარმოების დაწყებით და დასაქმებული იურიდიული პირია.

### მუხლი 6§1

„კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული ვითარება არ შეესაბამება ქარტიის 6§1 მუხლს, ვინაიდან:

- ▶ არ ტარდება ერთობლივი კონსულტაციები სხვადასხვა დონეზე;
- ▶ ერთობლივი კონსულტაციები არ მოიცავს დასაქმებულებისა და დასაქმებულებისთვის მნიშვნელოვან ყველა საკითხს;
- ▶ ერთობლივი კონსულტაციები არ ტარდება საჯარო სექტორში, მათ შორის, საჯარო სამსახურში.“

**მუხლი 6§2**

„კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული ვითარება არ შეესაბამება ქარტიის 6§2 მუხლს, ვინაიდან:

- ▶ საკმარისად არ ეწყობა ხელი კოლექტიურ მოლაპარაკებას;
- ▶ დამსაქმებელს შეუძლია, ცალმხრივად უგულებელყოს კოლექტიური ხელშეკრულება.“

**მუხლი 6§4**

„კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული ვითარება არ შეესაბამება ქარტიის 6§4 მუხლს, ვინაიდან ჰოლიციას არ აქვს გაფიცვის უფლება.“

**მუხლი 26§1**

„კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული ვითარება არ შეესაბამება ქარტიის 26§1 მუხლს, ვინაიდან დამსაქმებელთა ჰასუხისმგებლობის არსებული ჩარჩო არ ითვალისწინებს საკმარის და ეფექტიან სამართლებრივ საშუალებებს სექსუალური შევიწროების შემთხვევებში, სადაც ჩართულია მესამე მხარე.“

**მუხლი 26§2**

„კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული ვითარება არ შეესაბამება ქარტიის 26§2 მუხლს, ვინაიდან დამსაქმებელთა ჰასუხისმგებლობის არსებული ჩარჩო არ ითვალისწინებს საკმარის და ეფექტიან სამართლებრივ საშუალებებს მორალური (ფსიქოლოგიური) შევიწროების შემთხვევებში, სადაც ჩართულია მესამე მხარე.“

**მუხლი 29**

„კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული ვითარება არ შეესაბამება ქარტიის 29 -ე მუხლს, ვინაიდან შიდაკანონმდებლობა არ ითვალისწინებს სანქციებს, როდესაც დამსაქმებელი არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს კოლექტიური გათავისუფლების პროცედურებში.“

**დასკვნები შეფასების გადავალდებაზე, ინფორმაციის არარსებობის გამო:****მუხლი 4§2**

„ანგარიშში ნათქვამია, რომ შრომის კოდექსი ითვალისწინებს გაზრდილ საათობრივ ანაზღაურებას ზეგანაკვეთური სამუშაოსთვის, თუმცა გადახდის ფორმა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით. შრომის კოდექსი ასევე ითვალისწინებს, რომ მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ დამატებით პროპორციულ დასვენების პერიოდზე ზეგანაკვეთური სამუშაოს კომპენსირებისთვის. კომიტეტი ითხოვს, რომ შემდეგ ანგარიშში განიმარტოს, როგორ გამოითვლება ეს დამატებითი დასვენების პერიოდი“.

„ანგარიში აღნიშნავს, რომ საჯარო სამსახურის შესახებ კანონის 61(1) მუხლის თანახმად, ზეგანაკვეთური სამუშაო მოხელემ უნდა შეასრულოს მხოლოდ ზემდგომის წერილობითი ინსტრუქციების საფუძველზე და ანაზღაურდეს ან გაზრდილი ხელფასის გადახდით (ერთჯერადი გაზრდა არ უნდა აღემატებოდეს ერთი თვის ანაზღაურებას კონკრეტული პოზიციისთვის, გაზრდის საერთო მოცულობა კი - წლიური ხელფასის 20%-ს), ან ზეგანაკვეთური სამუშაოს პროპორციული დამატებითი დასვენების დღეების მიცემით. კომიტეტი ითხოვს, რომ შემდეგ ანგარიშში განიმარტოს, როგორ გამოითვლება ეს დამატებითი დასვენების პერიოდი“.

„კომიტეტი აღნიშნავს, რომ არ წარდგენია ინფორმაცია, არსებობს თუ არა რაიმე გამონაკლისები ზეგანაკვეთური სამუშაოს გაზრდილი ანაზღაურებიდან და რომელი კატეგორიის მუშაკებს ეხება ეს. კომიტეტი ითხოვს მოთხოვნას ამ ინფორმაციის მიწოდებაზე, მანამდე კი ინარჩუნებს თავის პოზიციას აღნიშნულ საკითხთან მიმართებით“.



## მუხლი 5

„კომიტეტის წინა დასკვნით, არ ჩანს, რომ პოლიციის წევრები, რომლებიც დასაქმებულნი არიან შინაგან საქმეთა, საბაჟო და საგადასახადო სისტემებში, ასევე, სასამართლო ორგანოებსა და პროკურატურაში, სარგებლობენ ორგანიზების უფლებით (დასკვნები 2018).

ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, კომიტეტს ესმის, რომ პროფკავშირების შესახებ კანონის თანახმად, ამ სექტორების თავისებურებანი გასათვალისწინებელია ამ უწყებებში პროფესიული კავშირების ჩამოყალიბებისას. ეს, ფაქტობრივად, ნიშნავს, რომ აღნიშნულ უწყებებში პროფესიული კავშირების ჩამოყალიბებაზე შეიძლება ვრცელდებოდეს შეზღუდვები. თუმცა, ანგარიშში ნათქვამია, რომ არ გამოიყენება რაიმე შეზღუდვა პროფესიული კავშირის შექმნასა ან მასში გაწევრიანებაზე; შესაბამისად, პოლიციის თანამშრომლები, ასევე, შინაგან საქმეთა, საბაჟო თუ საგადასახადო სისტემებში, სასამართლო ორგანოებსა და პროკურატურაში დასაქმებული ადამიანები, სარგებლობენ ორგანიზების უფლებით. კომიტეტი სვამს კითხვას, პრაქტიკაში თუ დაუარსებიათ ზემოაღნიშნული სექტორების მუშაკებს პროფესიული კავშირები, ან თუ გაწევრიანებულან მათში“.

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ წარდგენილი კომენტარებიდან კომიტეტი აღნიშნავს, რომ მართალია, საჯარო მოხელეებს აქვთ პროფესიული კავშირების შექმნისა და მათში გაწევრიანების უფლება, თუმცა ასეთი კავშირები საჯარო სამსახურში არ არსებობს. კომიტეტი ითხოვს, რომ მომდევნო ანგარიშში ამომწურავი ინფორმაცია წარედგინოს ამ კუთხით“.

## ანგარიშების გამოცდილება 2023 წლამდე არსებული პროცედურის მიხედვით - ბოლო ანგარიში მე-4 თემატურ ჯგუფზე „ბავშვები, ოჯახები და მიგრანტები“ (ეროვნული ანგარიში 2022 – ბოლოს გამოქვეყნებული დასკვნები 2019)

ბავშვები, ოჯახები და მიგრანტები (მე-4 თემატური ჯგუფი ევროპის სოციალური ქარტიის ფარგლებში) მოიცავს შემდეგ საკითხებს: ბავშვებისა და ახალგაზრდების უფლება დაცვაზე (მუხლი 7); დასაქმებულ ქალთა უფლება დედობის დაცვაზე (მუხლი 8); ოჯახის უფლება სოციალურ, იურიდიულ და ეკონომიკურ დაცვაზე (მუხლი 16); ბავშვებისა და ახალგაზრდების უფლება სოციალურ, იურიდიულ და ეკონომიკურ დაცვაზე (მუხლი 17); შრომითი მიგრანტებისა და მათი ოჯახების უფლება დაცვასა და დახმარებაზე (მუხლი 19); ოჯახური ვალდებულებების მქონე მუშაკთა უფლება თანაბარ შესაძლებლობებსა და თანასწორ მოპყრობაზე (მუხლი 27); უფლება საცხოვრებელზე (მუხლი 31).

ზემოაღნიშნული ჯგუფიდან საქართველომ მიიღო ევროპის სოციალური ქარტიის ყველა დებულება, გარდა მუხლებისა: 8§§1 და 2, 16, 17§2 და 31.

**ბოლო ანგარიში ამ საკითხზე (მე-16 ეროვნული ანგარიში ევროპის სოციალური ქარტიის განხორციელებაზე)** საქართველომ წარადგინა 2022 წლის 30 დეკემბერს. საანგარიშო პერიოდი გაგრძელდა 2018 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრამდე. დასკვნები ამ ანგარიშზე გამოქვეყნდება 2023 წლის იანვარში. **წინა ანგარიში ბავშვების, ოჯახებისა და მიგრანტების შესახებ** (მე-12-ე ეროვნული ანგარიში ევროპის სოციალური ქარტიის განხორციელებაზე) საქართველომ წარადგინა 2018 წლის 31 ოქტომბერს. საანგარიშო პერიოდი გაგრძელდა 2014 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრამდე. დასკვნები მე-4 ჯგუფის დებულებებზე გამოქვეყნდა 2019 წელს. კერძოდ, სოციალურ უფლებათა ევროპულმა კომიტეტმა გამოაქვეყნა:

■ **19 დასკვნა შეუსაბამობის შესახებ:**

მუხლები 7§1, 7§2, 7§3, 7§4, 7§5, 7§6, 7§8, 7§9, 7§10, 8§4, 8§5, 17§1, 19§1, 19§4, 19§6, 19§10, 19§11, 27§1, 27§2

■ **5 დასკვნა შეფასების გადავადებაზე, ინფორმაციის არარსებობის გამო:**

მუხლები 7§7, 19§2, 19§7, 19§9 და 19§12

■ **დასკვნები შესაბამისობის შესახებ, კონკრეტული ინფორმაციის მიღებამდე.**

მუხლი 19§3

**დასკვნები შეუსაბამობის შესახებ:**

**მუხლი 7§1**

„კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 7§1 მუხლს, ვინაიდან:

- ▶ 15 წლამდე ასაკის პირთა დასაქმების აკრძალვა არ ვრცელდება ყველა ეკონომიკურ სექტორზე და ეკონომიკური საქმიანობის ყველა ფორმაზე;
- ▶ 15 წლამდე ასაკის ბავშვებს უფლება აქვთ, გადაჭარბებული ხანგრძლივობით შეასრულონ მსუბუქი სამუშაო, რის გამოც ის ვერ ჩაითვლება მსუბუქ სამუშაოდ;
- ▶ შრომის ინსპექციები, რომლებითაც მოწმდება არასრულწლოვანთა შრომის მარეგულირებელი წესების პრაქტიკაში დაცვა, იყო ძალიან შეზღუდული და საანგარიშო პერიოდში მხოლოდ დამსაქმებლის თანხმობით ჩატარდა“.

**მუხლი 7§2**

„კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 7§2 მუხლს, ვინაიდან შრომის ინსპექციები, რომლებითაც მოწმდება 18 წლამდე ასაკის ახალგაზრდების სახიფათო ან მავნე სამუშაოებზე დასაქმების ამკრძალველ რეგულაციათა პრაქტიკაში დაცვა, ძალიან შეზღუდული იყო და საანგარიშო პერიოდში მხოლოდ დამსაქმებლის თანხმობით ჩატარდა“.

**მუხლი 7§3**

„კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 7§3 მუხლს, ვინაიდან:

- ▶ იმ ბავშვებისთვის ნებადართული მსუბუქი სამუშაოს ყოველდღიური და ყოველკვირეული ხანგრძლივობა, რომლებზეც ვრცელდება სავალდებულო განათლება, გადაჭარბებულია და ასეთი სამუშაო ვერ ჩაითვლება მსუბუქად;
- ▶ შრომის ინსპექციები, რომლებითაც მოწმდება შრომითი რეგულაციების დაცვა იმ ბავშვებისთვის, რომლებზეც ჯერ კიდევ ვრცელდება სავალდებულო განათლება, ძალიან შეზღუდული იყო და საანგარიშო პერიოდში მხოლოდ დამსაქმებლის თანხმობით ჩატარდა“.

**მუხლი 7§4**

„კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 7§4 მუხლს, ვინაიდან შრომის ინსპექციები, რომლებითაც მოწმდება, თუ როგორ არის დაცული პრაქტიკაში დასაქმების რეგულაციები იმ 18 წლამდე ახალგაზრდებისთვის, რომლებსაც აღარ ეხებათ სავალდებულო განათლება, ძალიან შეზღუდული იყო და საანგარიშო პერიოდში მხოლოდ დამსაქმებლის თანხმობით ჩატარდა“.

**მუხლი 7§5**

„კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 7§5 მუხლს, ვინაიდან არ დადგენილა, რომ:

- ▶ ახალგაზრდა მუშაკებისთვის გადახდილი მინიმალური ხელფასი სამართლიანია.
- ▶ სტაჟიორებისთვის გადახდილი მინიმალური ხელფასი სამართლიანია“.

**მუხლი 7§6**

„კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 7§6 მუხლს, ვინაიდან პროფესიულ მომზადებაზე დახარჯული დრო არ მიიჩნევა ჩვეულებრივი სამუშაო დროის ნაწილად“.

**მუხლი 7§8**

„კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 7§8 მუხლს, ვინაიდან არ დადგენილა, რომ არსებობდა შრომის ინსპექტირების ქმედითი და ეფექტიანი სისტემა, რომელიც მონიტორინგს გაუწევს 18 წლამდე ასაკის ახალგაზრდების დამის საათებში მუშაობის ამკრძალველ რეგულაციათა პრაქტიკაში დაცვას“.

**მუხლი 7§9**

„კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 7§9 მუხლს, ვინაიდან არ დადგენილა, რომ ეროვნული კანონმდებლობითა და რეგულაციებით განსაზღვრულ პროფესიებში დასაქმებისას 18 წლამდე ასაკის ახალგაზრდებს უტარდებათ პირველადი სამედიცინო გამოკვლევა, შემდგომში კი - რეგულარული სამედიცინო გამოკვლევები“.

**მუხლი 7§10**

„კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 7§10 მუხლს, ვინაიდან:

- ▶ არ არის კრიმინალიზებული სექსუალური ექსპლუატაციის ყველა ფორმა;
- ▶ ბავშვების მნიშვნელოვანი ნაწილი ჩართულია ბავშვთა შრომასა და საშიშროებებიან სამუშაოებში“.

**მუხლი 8§4**

„კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 8§4 მუხლს, ვინაიდან არ დადგენილა, რომ დამით მუშაობასთან დაკავშირებული რეგულაციები საკმარისად იცავს ორსულ, ახალნამშობიარებ ან მეტუტურ დასაქმებულ ქალებს“.

**მუხლი 8§5**

„კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 8§5 მუხლს, ვინაიდან არ არსებობს სათანადო რეგულაციები ორსული, ახალნამშობიარები ან მეტუტური ქალების არაჯანსაღ ან მძიმე სამუშაოზე დასაქმების შესახებ“.

**მუხლი 17§1**

„კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 17§1 მუხლს, ვინაიდან ფიზიკური დასჯის ყველა ფორმა არ იკრძალება ყველა გარემოში“.

**მუხლი 19§1**

„კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 19§1 მუხლს, ვინაიდან არ დადგენილა, რომ გატარდა ადეკვატური ზომები ემიგრაციასა და იმიგრაციასთან დაკავშირებული ცრუ პროპაგანდის წინააღმდეგ“.

**მუხლი 19§4**

„კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 19§4 მუხლს, ვინაიდან არ დადგენილა, რომ:

- ▶ ქვეყანაში ლეგალურად მობინადრე შრომით მიგრანტებს მოქალაქეებზე არანაკლებ ხელსაყრელად ეპყრობიან საცხოვრებელთან მიმართებით;
- ▶ თანასწორობის უფლება, რომელიც მიემართება დასაქმებას, ორგანიზებასა და დაბინავებას, ექვემდებარება მონიტორინგის ან სასამართლო კონტროლის ეფექტიან მექანიზმს“.

**მუხლი 19§6**

„კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 19§6 მუხლს, ვინაიდან:

- ▶ არ დადგენილა, რომ სახელმწიფო შეძლებისდაგვარად უწყობს ხელს შრომით მიგრანტთა ოჯახების გაერთიანებას;
- ▶ შრომითი მიგრანტის ოჯახის წევრებს არ ენიჭებათ ქვეყანაში დარჩენის დამოუკიდებელი უფლება ოჯახის გაერთიანების უფლებით სარგებლობის შემდეგ“.

**მუხლი 19§10**

„კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 19§10 მუხლს, ვინაიდან შეუსაბამობის საფუძვლები 19§1, 19§4, 19§6 და 19§11 მუხლების შესაბამისად ვრცელდება თვითდასაქმებულ მიგრანტებზეც“.

**მუხლი 19§11**

„კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 19§11 მუხლს, ვინაიდან არ დადგენილა, რომ სახელმწიფო შესაბამისად წახალისებს და უწყობს ხელს ეროვნული ენის სწავლებას შრომითი მიგრანტებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის“.

**მუხლი 27§1**

„კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 27§1 მუხლს, ვინაიდან კანონმდებლობა კონკრეტულად არ ითვალისწინებს სამუშაო და პირადი ცხოვრების შეჯერების ხელშეწყობას იმ პირთათვის, რომელთაც ოჯახური პასუხისმგებლობები აქვთ“.

**მუხლი 27§2**

„კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 27§2 მუხლს, ვინაიდან:

- ▶ მამებს არ აქვთ დეკრეტული შვებულების ნაწილით სარგებლობის უფლება ინდივიდუალურად, გადაცემის უფლების გარეშე;
- ▶ არ შექმნილა მექანიზმი დეკრეტულ შვებულებაში მყოფი მშობლებისთვის დამატებითი ანაზღაურების მისაცემად, 183 დღის ან დამატებითი შვებულების შემდეგ“.



**დასკვნები შეფასების გადავადებაზე, ინფორმაციის არარსებობის გამო:****მუხლი 7§7**

„წინა დასკვნებში (2011 და 2015) კომიტეტმა გაიმეორა, რომ 7§7 მუხლის გამოყენებისას 18 წლამდე ასაკის ახალგაზრდებს უნდა მიეცეთ არანაკლებ ოთხკვირიანი ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება. გამოიყენება იგივე წესები, როგორც განსაზღვრულია ზრდასრულთა წლიური ანაზღაურებადი შვებულების შემთხვევაში (2§3 მუხლი). მაგალითად, 18 წლამდე ასაკის დასაქმებულ პირებს არ უნდა შეეძლოთ, უარის თქმა ყოველწლიურ ანაზღაურებად შვებულებაზე; შვებულებაში ყოფნისას ავადმყოფობის ან უბედური შემთხვევის დროს, მათ უნდა ჰქონდეთ უფლება, სხვა დროს აიღონ დაკარგული შვებულება. ანგარიში მკაფიო პასუხს არ იძლევა ამ კითხვაზე“.

„კომიტეტი იხსენებს, რომ მე-7 მუხლის დამაკმაყოფილებელი გამოყენება ვერ მოხერხდება მხოლოდ კანონმდებლობის მოქმედებით, თუ მას არ ახლავს ფაქტობრივი გამოყენება და მკაცრი ზედამხედველობაც. ამიტომ ის ითხოვს, რომ მომდევნო ანგარიშში მიაწოდონ ინფორმაცია ხელისუფლების ორგანოების მონიტორინგულ საქმიანობაზე, გამოვლენილ დარღვევათა რაოდენობასა და ბუნებაზე, ასევე, ანაზღაურებადი შვებულების რეგულაციათა დარღვევისთვის დაწესებულ სანქციებზე“.

**მუხლი 19§2**

„კომიტეტი წინა ანგარიშებიდან აღნიშნავს, რომ უცხოელებს სამედიცინო დახმარება უტარდებათ „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. თუმცა, მისი მტკიცებით, შემდეგი ანგარიში ადასტურებს, რომ ყველა შრომით მიგრანტს, განურჩევლად სტატუსისა, შეუძლია სამედიცინო მომსახურებით სარგებლობა გადაუდებელ შემთხვევებში. ის ხაზს უსვამს, რომ თუ მომდევნო ანგარიშში არ აისახება ყოვლისმომცველი ინფორმაცია აღნიშნულ საკითხზე, ვერაფერი მიუთითებს, რომ მდგომარეობა შეესაბამება ქარტიას ამ კუთხით“.

კომიტეტი აღნიშნავს, რომ საანგარიშო პერიოდში არ მისწოდებია ცნობები შრომით მიგრანტთა ფართომასშტაბიან დაქირავებაზე. ის კითხულობს, თუ რა მოთხოვნები აქვთ დამსაქმებლებს ჯანმრთელობის დაზღვევის, უსაფრთხოებისა და სოციალური პირობების უზრუნველსაყოფად, იკვთება თუ არა ასეთი დაქირავება და არსებობს თუ არა მექანიზმი საჩივრების მონიტორინგისთვის და, საჭიროების შემთხვევაში, მათ განსახილველად“.

**მუხლი 19§7**

„თავის წინა დასკვნებში (დასკვნები 2015) კომიტეტმა გაიგო, რომ მიგრანტებზე ვრცელდება ისეთივე კრიტერიუმები, როგორც მოქალაქეებზე, შესაბამისად, მათ შეუძლიათ იურიდიული დახმარებით სარგებლობა, თუ ამას მართლმსაჯულების ინტერესები მოითხოვს. მან იკითხა, ვრცელდება თუ არა დახმარება თარჯიმნის მომსახურებაზე, რათა დავის მონაწილე მხარე სრულად აცნობიერებდეს სიტუაციას საქმეებში, როცა მოპასუხეს არ ესმის საქმისწარმოების ენა. უკანასკნელი ანგარიში ამ საკითხს არ ეხებოდა. კომიტეტი იმეორებს თავის მოთხოვნას და მიაჩნია, რომ თუ მომდევნო ანგარიშში არ მიეწოდება საჭირო ინფორმაცია, ვერაფერი მიუთითებს, რომ მდგომარეობა შეესაბამება ქარტიას.“

**მუხლი 19§9**

„წინა დასკვნაში (დასკვნები 2015) კომიტეტმა მიუთითა თავის განცხადებაზე 19§9 მუხლის განმარტების შესახებ (დასკვნები 2011), რომელიც ადასტურებს, რომ შემოსავლისა და დანაზოგის გადაცემის უფლება მოიცავს შრომით მიგრანტთა მოძრავი ქონების გადაცემის უფლებას. მან იკითხა, იყო თუ არა რაიმე შეზღუდვა ამ მხრივ. ვინაიდან ანგარიშში ამაზე პასუხი არ არის გაცემული, კომიტეტმა გაიმეორა თავისი კითხვა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ თუ მომდევნო ანგარიშში არ მიეწოდება ყოვლისმომცველი ინფორმაცია ამ საკითხზე, ვერაფერი მიუთითებს, რომ სიტუაცია შეესაბამება ქარტიას აღნიშნული კუთხით“.

### მუხლი 19§12

კომიტეტს ჯერ არ მისწოდებია შემდეგი ინფორმაცია (რაც ხელს უშლის ყოვლისმომცველი შეფასების გაკეთებაში, აკმაყოფილებს თუ არა მდგომარეობა 19§12 მუხლის მოთხოვნებს):

- ▶ რა დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამები არსებობს უცხო ენების სწავლებისთვის;
- ▶ მშობლიური ენის გაკვეთილებზე ხელმისაწვდომობა შრომით მიგრანტთა ბავშვებისთვის სასკოლო სისტემის გარეთ;
- ▶ სხვა ორგანოები, როგორცაა ადგილობრივი გაერთიანებები, კულტურული ცენტრები ან კერძო ინიციატივები, რომლებიც შრომით მიგრანტთა ბავშვებს ასწავლიან წარმოშობის ქვეყნის ენას;
- ▶ ასწავლის თუ არა რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაცია მიგრანტთა ენებს და იღებენ თუ არა ისინი მხარდაჭერას.

თუ მომდევნო ანგარიშში არ მიეწოდება საჭირო ინფორმაცია, კომიტეტი მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკმარისი ინფორმაცია საჩვენებლად, რომ საქართველოში ამ კუთხით არსებული მდგომარეობა შეესაბამება ქარტიის 19§2 მუხლს“.

**დასკვნები შესაბამისობის შესახებ, კონკრეტული ინფორმაციის მიღებამდე:**

### მუხლი 19§3

„კომიტეტი ასევე აღნიშნავს, რომ მიგრაციის 2016-2020 წლების სტრატეგია, რომელიც მიმართულია საქართველოს მოქალაქეთა დაბრუნებისა და რეინტეგრაციის ხელშეწყობაზე, განხორციელების პროცესშია. მომდევნო ანგარიშში ის მოითხოვს უფრო დეტალური ინფორმაციის მიწოდებას, თუ რა სახის კონტაქტებსა და ინფორმაციის გაცვლას აწესებენ მიგრაციის სამსახურები ემიგრაციისა და მიგრაციის ქვეყნებში და სცდება თუ არა ამ სამსახურების თანამშრომლობა მხოლოდ სოციალური უსაფრთხოების ფარგლებს (მაგ: ოჯახურ საკითხებში)“.

## ანგარიშგების გამოცდილება 2023 წლამდე არსებული პროცედურის მიხედვით - ბოლო ანგარიში 1-ელ თემატურ ჯგუფზე „დასაქმება, მომზადება და თანაბარი შესაძლებლობები“

დასაქმება, მომზადება და თანაბარი შესაძლებლობები (1-ლი თემატური ჯგუფი ევროპის სოციალური ქარტიის ფარგლებში) მოიცავს შემდეგ საკითხებს: შრომის უფლება (მუხლი 1), პროფესიული ორიენტაციის უფლება (მუხლი 9), პროფესიული მომზადების უფლება (მუხლი 10), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებლობის, სოციალური ინტეგრაციისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება (მუხლი 15), სხვა მხარეთა ტერიტორიაზე ანაზღაურებადი საქმიანობის უფლება (მუხლი 18), თანაბარი შესაძლებლობებითა და თანასწორი მოპყრობით სარგებლობის უფლება დასაქმებისა და პროფესიული საქმიანობის სფეროში, სქესის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე (მუხლი 20), დაცვის უფლება შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში (მუხლი 24), მუშაკთა უფლება თავიანთი მოთხოვნების დაცვაზე დამსაქმებლის გადახდისუნარობის შემთხვევაში (მუხლი 25).

ზემოაღნიშნული ჯგუფიდან საქართველომ მიიღო ევროპის სოციალური ქარტიის ყველა დებულება, გარდა მუხლებისა: 9, 10§1, 10§3, 10§5, 15§§1-2, 24 და 25.

**ბოლო ანგარიში ამ საკითხზე (მე-13 ეროვნული ანგარიში ევროპის სოციალური ქარტიის განხორციელებაზე)** საქართველომ წარადგინა 2020 წლის 6 იანვარს.<sup>13</sup> საანგარიშო პერიოდი გაგრძელდა 2015 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე. დასკვნები 1-ლი ჯგუფის დებულებებზე გამოქვეყნდა 2021 წლის მარტში. კერძოდ, სოციალურ უფლებათა ევროპულმა კომიტეტმა გამოაქვეყნა:

■ 6 დასკვნა შეუსაბამობის შესახებ:

მუხლები 1§3, 1§4, 10§2, 10§4, 15§3, 20

■ 2 დასკვნა შეფასების გადავადებაზე, ინფორმაციის არარსებობის გამო:

მუხლები 1§1 და 1§2

■ დასკვნები შესაბამისობის შესახებ, კონკრეტული ინფორმაციის მიღებამდე.

არცერთი

13 საქართველოს მთავრობა, მე-13 ეროვნული ანგარიში ევროპის სოციალური ქარტიის განხორციელების შესახებ (საანგარიშო პერიოდი: 01.01.2015 - 31.12.2018), 6.1.2020, ხელმისაწვდომია ბმულზე <https://rm.coe.int/rap-cha-geo-13-2020/16809ccd1e>.

**დასკვნები შეუსაბამობის შესახებ:**

**მუხლი 153**

„კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 153 მუხლს, ვინაიდან არ დადგენილა, რომ დასაქმების სამსახურები ეფექტიანად მუშაობენ“.

**მუხლი 154**

„კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 154 მუხლს, ვინაიდან:

- ▶ არ არის გარანტირებული უწყვეტი პროფესიული მომზადება მუშაკებისთვის;
- ▶ არ დადგენილა, რომ გარანტირებულია მუშლადული შესაძლებლობის მქონე პირთა პროფესიული ორიენტაციისა და მომზადების უფლება“.

**მუხლი 1052**

„კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 1052 მუხლს, ვინაიდან არ დადგენილა, რომ არსებობს სტაჟირების/შეგირდობის ეფექტიანი სისტემა“.

**მუხლი 1054**

„კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 1054 მუხლს, ვინაიდან:

- ▶ გრძელვადიან უმუშევართა გადამზადებისა და რეინტეგრაციის სპეციალური ზომები ფაქტობრივად არ იყო გათვალისწინებული ან ხელშეწყობილი;
- ▶ გრძელვადიან უმუშევართა მომზადებასა და გადამზადებაზე წვდომა თანაბრად არ იყო გარანტირებული სხვა მხარე სახელმწიფოთა მოქალაქეებისთვის, რომლებიც ლეგალურად ბინადრობენ საქართველოში“.

**მუხლი 1553**

„კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 1553 მუხლს, ვინაიდან არ დადგენილა, რომ:

- ▶ მუშლადული შესაძლებლობის მქონე პირებს აქვთ ეფექტიანი წვდომა საცხოვრებელზე;
- ▶ მუშლადული შესაძლებლობის მქონე პირებს აქვთ ეფექტიანი წვდომა ტრანსპორტზე;
- ▶ მუშლადული შესაძლებლობის მქონე პირებს აქვთ ეფექტიანი წვდომა საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე“.

**მუხლი 20**

„კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 20(c) მუხლს, ვინაიდან:

- ▶ კანონით მკაფიოდ არ არის გარანტირებული თანაბარი ანაზღაურება ქალებისა და კაცების თანაბარი სამუშაოსთვის ან თანაბარი ღირებულების სამუშაოსთვის;
- ▶ არ შესრულებულა ვალდებულება, რომელიც მოიცავს გაზომვადი პროგრესის მიღწევას ანაზღაურებაში გენდერული ნიშნით სხვაობის შესამცირებლად“.

**დასკვნები შეფასების გადავადებაზე, ინფორმაციის არარსებობის გამო:****მუხლი 1§1**

„მთავრობა იტყობინება, რომ ამ მიზნების მისაღწევად, 2015 წლიდან ყოველწლიურად ხორციელდება სამი სახელმწიფო პროგრამა: i) დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების პროგრამა, რომლის მიზანია შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკისა და დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებების შემუშავება-განხორციელება (2015-2018 წლების ბიუჯეტი – დაახლოებით, 2.4 მილიონი ლარი, ანუ 700 000 ევრო); ii) სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამა (2015-2018 წლების ბიუჯეტი – დაახლოებით, 8 მილიონი ლარი, ანუ 2.3 მილიონი ევრო); iii) შრომის ბაზრის ანალიზისა და საინფორმაციო სისტემის დანერგვისა და განვითარების პროგრამა (2015-2018 წლების ბიუჯეტი – დაახლოებით 2 მილიონი ლარი, ანუ 578 000 ევრო). კომიტეტი ითხოვს, რომ მომდევნო ანგარიშში მიეწოდოს ინფორმაცია ამ პროგრამების ძირითად შედეგებზე“.

„დაბოლოს, მთავრობა იუწყება, რომ შრომის ბაზრის აქტიურ პოლიტიკაზე სახელმწიფო დანახარჯები სტაბილურად არის მშპ-ის 0.01%, რასაც კომიტეტი უკიდურესად დაბალ მაჩვენებლად მიიჩნევს. კომიტეტი აღნიშნავს, რომ მთავრობის ანგარიშში არარსებობს მოწოდებული ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე: ა) სხვადასხვა აქტიურ ღონისძიებებში (კერძოდ, მომზადებასა და გადამზადებაში) მონაწილე ადამიანთა რაოდენობა; და ბ) აქტივაციის საერთო კოეფიციენტი (ანუ აქტიურ ღონისძიებებში მონაწილეთა საშუალო რაოდენობა უმუშევართა საერთო რაოდენობის პროცენტული წილის სახით). ამიტომ, კომიტეტი იმეორებს თავის მოთხოვნას ამ ინფორმაციასთან დაკავშირებით.“

„კომიტეტი იმეორებს თავის მოთხოვნას, რომ მომდევნო ანგარიშში უნდა მიეთითოს, გაეწევა თუ არა მონიტორინგი დასაქმების პოლიტიკას და როგორ ფასდება მისი ეფექტიანობა“.

**მუხლი 1§2**

„კომიტეტი იაზრებს, რომ ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციით დასტურდება, რომ საჯარო სამსახურში დასაქმება შეუძლიათ მხოლოდ ქვეყნის მოქალაქეებს და ითხოვს ამ საკითხის მკაფიოდ განმარტებას. ის კვლავ კითხულობს, რა პროფესიული შენარჩუნებული საქართველოს მოქალაქეებისთვის; ასევე, იმეორებს კითხვას, არსებობს თუ არა ზოგადად დისკრიმინაციის აკრძალვიდან გამონაკლისები ნამდვილ პროფესიულ მოთხოვნებთან მიმართებით. ამავდროულად კომიტეტი ინარჩუნებს თავის პოზიციას ამ საკითხის შესახებ“.

„კომიტეტი ითხოვს, მომდევნო ანგარიშში მიეწოდოს სტატისტიკა ეთნიკურ უმცირესობათა დასაქმებაზე საჯარო და კერძო სექტორში, საჯარო დაწესებულებებში მათი წარმომადგენლობის ჩათვლით. აღნიშნული ინფორმაციის მიღებამდე, კომიტეტი ინარჩუნებს თავის პოზიციას ამ საკითხის შესახებ“.

„ანგარიში ჰასუნს არ სცემს კომიტეტის მოთხოვნას, მიეწოდებინათ ინფორმაცია კანონმდებლობასა და პრაქტიკულ ზომებზე, რომლებიც მიემართება ბრძოლას კონკრეტულად შეზღუდული შესაძლებლობის, რასის, სექსუალური ორიენტაციის, ასაკის, პოლიტიკური შეხედულების ან რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციასთან (გარდა დასტურისა, რომ ეს აკრძალულია კანონით). აახლებს რა თავის მოთხოვნას, კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ თუ მომდევნო ანგარიშში არ მიეწოდება შესაბამისი და ამომწურავი ინფორმაცია, ვერაფერი მიუთითებს, რომ მდგომარეობა შეესაბამება ქარტიას ამ ასპექტებში“.

„რაც შეეხება დისკრიმინაციას სექსუალური ორიენტაციისა და რელიგიის ნიშნით, კომიტეტმა მიუთითა ECRI-ის (ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ) ანგარიშზე, რომლის მიხედვითაც, რელიგიური უმცირესობებისა და ლგბტ თემის სიტუაცია გაუარესდა უკანასკნელი წლების განმავლობაში, ხოლო ხელისუფლების ორგანოებს არ გაუკეთებიათ ის, რაც ევალუბოდათ ამ საკითხის გადასაჭრელად. ამიტომ, კომიტეტი ითხოვს, რომ შემდეგ ანგარიშში ჰასუნს გასცეს კონკრეტულად ამ კომენტარებს“.



„ანგარიში არ აკონკრეტებს, თუ რა სანქციები შეიძლება გამოიყენებოდეს დამსაქმებელთა მიმართ დასაქმებისას დისკრიმინაციის შემთხვევაში და იმეორებს კითხვას, რომელიც ამ მიმართებით დასვა თავის წინა დასკვნაში (იხ. დასკვნები 2016): კერძოდ, რამდენად ყურადღებით მოწმდება საშუალო ადგილზე დისკრიმინაციის ამკრძალავ სამართლებრივ დებულებათა დარღვევა, ადეკვატურია თუ არა სასჯელები, და თუ ადეკვატურია, აღსრულებენ თუ არა მათ ეფექტიანად შრომის ინსპექტორები“.

„ანგარიშშიარარისწარმოდგენილიგანახლებულისტატისტიკურიმონაცემებიდისკრიმინაციის შესახებ საჩივრების რაოდენობაზე. კომიტეტი ითხოვს, რომ ეს ინფორმაცია, რომელიც ღირებულია სამართლებრივ საშუალებათა ეფექტიანობის შესაფასებლად, წარედგინოს მომდევნო ანგარიშში“.

„ანგარიშში არ იყო ინფორმაცია განვითარებებზე შრომის საზედამხებელო ორგანოსთან მიმართებით. ამ კუთხით, კომიტეტი ეყრდნობა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 2017 წლის დაკვირვებებს (CEACR) და აღნიშნავს, რომ 2015 წელს შეიქმნა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი. კომიტეტი აახლებს თავის მოთხოვნას, რომ მომდევნო ანგარიშში წარედგინოს შემდეგი ინფორმაცია: ამ საზედამხებელო ორგანოს როლი დისკრიმინაციაზე მონიტორინგში, კერძოდ, როგორ უზრუნველყოფს ის ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის ეფექტიან აღსრულებას დასაქმებასა და პროფესიულ საქმიანობაში; ასევე, დაკისრებული სანქციები და სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფილი საშუალებები. ის მიიჩნევს, რომ თუ მოთხოვნილი ინფორმაცია არ მიეწოდება, ვერაფერი მიუთითებს, რომ მდგომარეობა შეესაბამება ქართლის 152 მუხლს ამ საკითხში“.

„ამიტომ, კომიტეტი ითხოვს, რომ მომდევნო ანგარიშში მიეწოდოს ინფორმაცია აღნიშნული სისხლის სამართლის კანონმდებლობის პრაქტიკაში გამოყენებაზე. ანგარიშში უნდა წარედგინოს ინფორმაცია (მათ შორის, სტატისტიკური მონაცემები და პრეცედენტული სამართლის მაგალითები) იძულებითი შრომის, მონობისა და მონობის თანამედროვე პირობების დევნასა და დასჯაზე მომდევნო საანგარიშო პერიოდში, რათა შეფასდეს, თუ როგორ განიმარტება და გამოიყენება კანონმდებლობა“.

„კომიტეტი აღნიშნავს, რომ მიმდინარე ანგარიში არ სცემს პასუხს მის კითხვას, მოიცავს თუ არა საქართველოს კანონმდებლობა ზომებს, რომელთა მიზანია, კომპანიებს აიძულოს ანგარიშება თავიანთ მიწოდების ჯაჭვებში იძულებითი შრომისა და ექსპლუატაციის გამოსაძიებელ მოქმედებებზე. შესაბამისად, კომიტეტი ითხოვს, რომ მომდევნო ანგარიშში წარედგინოს შესაბამისი ინფორმაცია“.

დაბოლოს, კომიტეტმა ანგარიშის მიხედვით აღნიშნა, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს კონკრეტულ მოთხოვნებს სახელმწიფო შესყიდვებში იძულებითი შრომის ან თანამედროვე მონობის გამოსავლენად. ამიტომ ის ითხოვს, რომ მომდევნო ანგარიშში მიუთითოს, თუ რა ზომებია გათვალისწინებული სახელმწიფო შესყიდვებში იძულებითი შრომის ასაცილებლად“.

„კომიტეტი ასევე ითხოვს დადასტურებას, რომ არსებული სამართლებრივი ჩარჩო უზრუნველყოფს იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის მსხვერპლთათვის - მათ შორის, მიგრანტებისთვის - წვდომას სამართლებრივი დაცვის ქმედით საშუალებებზე (სისხლის სამართლის, სამოქალაქო ან შრომის სასამართლოებსა და სხვა მექანიზმებში), რომლებიც შექმნილია მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, დაკარგული ხელფასებისა და გადაუხდელი სოციალური უზრუნველყოფის შენატანების ჩათვლით. კომიტეტი ასევე ითხოვს სტატისტიკას დაზარალებულთა რაოდენობაზე და მიკუთვნებული თანხების მაგალითებს“.

„თავის წინა დასკვნაში (დასკვნები 2016) კომიტეტმა აღნიშნა, რომ ანგარიში არ პასუხობდა კითხვებს, რომლებიც მან წამოჭრა საშინაო შრომის შესახებ ქართლის 152 მუხლის ფარგლებში (2012 წლის დასკვნების ზოგადი შესავალი). მიმდინარე ანგარიში არ შეიცავს ინფორმაციას საშინაო შრომის შესახებ“.

„მომდევნო ანგარიშში კომიტეტი ითხოვს დადასტურებას, რომ შრომის ინსპექციის სამსახურებს

აქვთ კერძო სახლების ინსპექტირების სპეციალური უფლებამოსილება, რათა აიცილონ საშუალო პირობების დარღვევა საშინაო შრომის სექტორში (იხ. ასევე კითხვები 2012 წლის დასკვნების ზოგად შესავალში). ასეთ შემთხვევაში, ის მოითხოვს განახლებულ ინფორმაციას ჩატარებულ ინსპექციებსა და შრომის კანონმდებლობის გამოვლენილ დარღვევებზე“.

„კომიტეტი მომდევნო ანგარიშში ითხოვს დაზუსტებას, ითვლებიან თუ არა ციფრული კლასტორების ან გიგ ეკონომიკის მუშაკები დასაქმებულებად ან თვითდასაქმებულად. ასევე კითხულობს: მოიცავს თუ არა შრომის ინსპექციის სამსახურთა უფლებამოსილებები ექსპლუატაციისა და არასამართლიანი საშუალო პირობების პრევენციას ამკონკრეტულ სექტორში (თუ ასეა, რამდენი ინსპექტირება ჩატარდა); და აქვთ თუ არა წვდომა ამ სექტორის მუშაკებს სამართლებრივი დაცვის საშუალებებზე, კერძოდ, თავიანთი სტატუსის ან/და უსამართლო პრაქტიკის გასაჩივრებისთვის“.

„კომიტეტი ითვალისწინებს ანგარიშში წარმოდგენილ ინფორმაციას. მიუთითებს რა განცხადებაზე 1§2 მუხლის განმარტების შესახებ (დასკვნები 2012), ის ითხოვს, რომ მომდევნო ანგარიშში შევიდეს აქტუალური ინფორმაცია პატიმართა შრომის სოციალურ დაცვაზე პატიმრობის პერიოდში (საშუალო სივრცეში უბედურ შემთხვევების/საფრთხეების, უმუშევრობის, ჯანდაცვისა და ასაკობრივი პენსიის კუთხით). მას ასევე სურს დამატებითი ინფორმაციის მიღება იმ საშუაოს ტიპებზე, რომლის შესრულებაც პატიმრებს შეუძლიათ კერძო საწარმოებისთვის“.

## ანგარიშგების გამოცდილება 2023 წლამდე არსებული პროცედურის მიხედვით - ბოლო ანგარიში მე-2 თემატური ჯგუფზე „ჯანმრთელობა, სოციალური უზრუნველყოფა და სოციალური დაცვა“

ჯანმრთელობა, სოციალური უზრუნველყოფა და სოციალური დაცვა (მე-2 თემატური ჯგუფი ევროპის სოციალური ქარტიის ფარგლებში) მოიცავს შემდეგ საკითხებს: უფლება უსაფრთხო და ჯანსაღ სამუშაო გარემოზე (მუხლი 3), ჯანმრთელობის დაცვის უფლება (მუხლი 11), სოციალური უზრუნველყოფის უფლება (მუხლი 12), სოციალური და სამედიცინო დახმარების უფლება (მუხლი 13), სოციალური უზრუნველყოფის სამსახურებით სარგებლობის უფლება (მუხლი 14), ხანდაზმულ პირთა უფლება სოციალურ დაცვაზე (მუხლი 23) და სიღარიბისა და სოციალური გარიყულობისაგან დაცვის უფლება (მუხლი 30).

ზემოაღნიშნული ჯგუფიდან საქართველომ მიიღო ევროპის სოციალური ქარტიის ყველა დებულება, გარდა მუხლებისა: 3, 12§2 და 4, 13, 23 და 30.

ბოლო ანგარიში ამ საკითხზე (მე-14 ეროვნული ანგარიში ევროპის სოციალური ქარტიის განხორციელებაზე) საქართველომ წარადგინა 2021 წლის 26 იანვარს. საანგარიშო პერიოდი გაგრძელდა 2016 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრამდე. დასკვნები მე-2 ჯგუფის დებულებებზე, რომლებიც შეეხება 2021 წლის იანვარში წარდგენილ ანგარიშში წამოჭრილ საკითხებს, ჯერ არ გამოქვეყნებულა. ბოლო დასკვნები ამ ჯგუფზე („ჯანმრთელობა, სოციალური უზრუნველყოფა და სოციალური დაცვა“) გასაჯაროვდა 2017 წელს. კერძოდ, სოციალურ უფლებათა ევროპულმა კომიტეტმა გამოაქვეყნა:

■ 4 დასკვნა შეუსაბამობის შესახებ:

მუხლები 11§1, 11§2, 11§3 და 12§1

■ დასკვნები შეფასების გადავადებაზე, ინფორმაციის არარსებობის გამო:

არცერთი

■ დასკვნები შესაბამისობის შესახებ, კონკრეტული ინფორმაციის მიღებამდე.

მუხლები 14§1 და 14§2

**დასკვნები შეესაბამობის შესახებ:****მუხლი 11§1**

„კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 11§1 მუხლს, ვინაიდან ჩვილთა და დედათა სიკვდილიანობის შესამცირებლად მიღებული ზომები არასაკმარისია“.

**მუხლი 11§2**

„კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 11§2 მუხლს, ვინაიდან ორსული ქალებისა და ბავშვების კონსულტაციისა და გამოკვლევის ზომები არაადეკვატურია“.

**მუხლი 11§3**

„კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 11§3 მუხლს, ვინაიდან სოფლად უსაფრთხო სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობისთვის მიღებული ზომები არასაკმარისია“.

**მუხლი 12§1**

„კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 12§1 მუხლს, ვინაიდან:

- ▶ სოციალური უზრუნველყოფის სისტემა არ ფარავს საკმარისი რაოდენობის რისკებს: კერძოდ, არ არსებობს საოჯახო დახმარება, უმუშევრობის შემწეობა ან სამუშაო სივრცეში დაზიანებების/პროფესიული დაავადების შემწეობები;
- ▶ არ დადგენილა, რომ ავადმყოფობის მინიმალური შემწეობის დონე შესაბამისია“.

**დასკვნები შესაბამისობის შესახებ, კონკრეტული ინფორმაციის მიღებამდე:****მუხლი 14§1**

„კომიტეტის მითითებით, სოციალური მომსახურებებისთვის შეიძლება დაწესდეს საფასური, რომელიც არ იქნება ისეთი მაღალი, რომ ხელი შეუშალოს ეფექტიან წვდომას. ვისაც არ აქვს საჭირო რესურსები, მომსახურება უნდა მიეწოდებოდეს უფასოდ. კომიტეტი ითხოვს, რომ მომდევნო ანგარიშში ჩამოთვლილი იყოს მომსახურებები, რომლებზეც შეიძლება დაწესდეს საფასური, და მიეთითოს, არის თუ არა ეს მომსახურება უფასო მათთვის, ვისაც არ აქვს გადახდის საშუალება“.

**მუხლი 14§2**

„კომიტეტი ითვალისწინებს მოწოდებულ ინფორმაციას და, ვინაიდან არ წარდგენია განახლებული ინფორმაცია საჯარო ან/და კერძო დაფინანსებაზე, რომელიც გამოიყოს კერძო პირთა და ნებაყოფლობით ორგანიზაციათა მონაწილეობის წასახალისებლად სოციალური სერვისების შექმნასა და ფუნქციონირებაში, იმეორებს თავის მოთხოვნებს და ადგენს, რომ, თუ ასეთი ინფორმაცია არ მიეწოდება შემდეგ ანგარიშში, ვერაფერი მიუთითებს, რომ მდგომარეობა შეესაბამება ქარტიას“.

ევროპის სოციალური ქარტია მიღებულია 1961 წელს და გადაისინჯა 1996 წელს. ეს არის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ანალოგი ეკონომიკისა და სოციალური უფლებების სფეროში. ქარტიით გარანტირებულია ადამიანის უფლებათა ფართო სპექტრი, რომლებიც უკავშირდება დასაქმებას, საცხოვრებელს, ჯანმრთელობას, განათლებას, სოციალურ დაცვასა და კეთილდღეობას.

პანევროპულ დონეზე არცერთი სხვა სამართლებრივი ინსტრუმენტი არ იცავს სოციალურ უფლებებს ისე ფართოდ და სრულფასოვნად, როგორც ქარტია.

შესაბამისად, იგი განიხილება ევროპის სოციალურ კონსტიტუციად და ადამიანის უფლებათა სისტემის განუყოფელი ნაწილია კონტინენტზე.

[www.coe.int/socialcharter](http://www.coe.int/socialcharter)

[www.coe.int](http://www.coe.int)

ევროპის საბჭო ადამიანის უფლებათა წამყვანი ორგანიზაციაა კონტინენტზე. იგი შედგება 46 სახელმწიფოსგან, ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყნის ჩათვლით. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, ხელშეკრულებას, რომელიც შექმნილია ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დასაცავად. ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში კონვენციის შესრულებას ზედამხედველობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო.

KAT



European  
Social  
Charter

Charte  
sociale  
européenne

COUNCIL OF EUROPE



CONSEIL DE L'EUROPE